პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყაზბეგი
ეროვნული
ბიბლიოთეკა


# ლელო

№035 (12 412) 13 თებერვალი ოთხშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი


# სკანდალი!

## ზესტაფონი საქართველოს ჩემპიონატში აღარ ითამაშებს

3

## ქვირქველია რუსეთში მიდის



2

## ახალი ფურცელი



3

რა გარანტიებს ითხოვს ტოპმიოლერი?

## სტიკი, შაკი, ზაზა და იაო

ზაზა ფაჩულიას კითხვა და პასუხი

11



## უცნობი ქართველი სირაძის კონტრაქტს ყიდულობს



ნალჩიკი: ტრამპლინი რუსულ გრანდამდე

2



## კალაძე პრეზიდენტი?

კორიერე დელა სერა საქართველოს ნაკრების კაპიტანზე

5

ტრანსფერები

# კვირკველია: დონეცკის ნაცვლად ყაზანში

## რუბინმა მეტალურგს ბოლო წამს აჯობა



დავით კვირკველია უკრაინას დაემშვიდობა

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს **დავით კვირკველიას** ლამის იგივე ისტორია შეემთხვა, რაც მცირე ხნის წინათ **დავით მუჯირს**. კვირკველია ზაპოროჟიეს "მეტალურგის" ვიცე-კაპიტანი გახლდათ და კლუბი შეგუებული იყო, რომ დათოს დონეცკის "მეტალურგში" უშვებდა.

თუმცა ლატვიის ნაკრებთან მატჩის შემდეგ, ვითარება რადიკალურად შეიცვალა. დათო ორი დღეა არცერთ უკრაინულ კლუბში არ ვარჯიშობს, არადა, მას ზაპოროჟიეშიც ელოდნენ და დონეცკშიც.

ჯერ კიდევ გუშინწინ უკრაინული "სპორტ-ექსპრესი" წერდა აღნიშნულ ტრანსფერზე - დათო კლუბს უკრაინაში იცვლიდა. გუშინ კი სიახლე გაჟღერდა - შესაძლოა, კვირკველია რუსეთში გადავიდესო.

*"დონეცკელთა მთავარი მწვრთნელი სერგეი იაშჩენკო ხმების დადასტურებას არ ჩქარობს:*

*- მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ კვირკველია ამჟამად ჩვენთან არ ვარჯიშობს. მე იმასაც ვერ გეტყვით, საერთოდაც, ჩვენთან გადმოვა თუ არა. დიახ, მისი დამატება გვსურდა და მოლაპარაკებებსაც ვაწარმოებდით, მაგრამ საქართველოს ნაკრებში გამგზავრების შემდეგ, მოულოდნელად, ვითარება "გაიყინა".*

მაშ, სად დაიკარგა კვირკველია? "სპორტ-ექსპრესის" ინფორმაციით, ნიჭიერი ქართველი მოთამაშის გამო დაწყებულ ვაჭრობაში, დონეცკის "მეტალურგის" გარდა, რუსეთის პრემიერლიგის რამდენიმე კლუბი ჩაერია. ამჟამად ის ერთ-ერთ მათგანში ისინჯება.

ინფორმაცია გადავამოწმეთ და საინტერესო ახალი ამბავი შევიტყვეთ: ის გუშინ მენეჯერს შეხვდა ტრანსფერთან დაკავშირებით. საქმეში რუსული კლუბი მართლა ჩაერთო - ყაზანის "რუბინი", რომელიც მას გაუსინჯავად, პირდაპირი კონტრაქტის გაფორმებას სთავაზობს.

საკითხი ფაქტობრივად გადაწყვეტილია და ყაზანელთა მთავარი მწვრთნელი **ყურბან ბერდიევი** კვირკველიას გადაბირებით ძალიანაა დაინტერესებული. როგორც შევიტყვეთ, თბილისში ლატვიის ნაკრებთან მატჩზე წარმომადგენელი არა მარტო დონეცკის "მეტალურგმა", არამედ, "რუბინმაც" მოავლინა. თუმცა დათომ ის შეხვედრა ტრავმის გამო გამოტოვა.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით სირაძე

# სირაძე სააგენტომ გამოისყიდა

## ნალჩიკი: ტრამპლინი რუსულ გრანდამდე

**დავით სირაძის** ნალჩიკის "სპარტაკში" შესაძლო ჩარიცხვაზე გუშინდელ ნომერში ვწერდით. ჩვენთვის კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე გახდა ცნობილი.

დათო სირაძის მეორე ბუნდესლიგის "პადერბორნიდან" გამოსყიდვა ფორმალური საკითხი იქნება, თუკი თავად გადაწყვეტს რუსეთში გადასვლას. მასში გერმანელები 170 ათასს ევროს ითხოვენ. მის გამოსყიდვას არა "სპარტაკი", არამედ, რუსეთში ახლახან დაარსებული სამენეჯერო ბიურო აპირებს, რომელიც საზოგადოებისთვის უცნობ ქართველს ეკუთვნის.

ის დათოზე საკმაოდ დიდ ფსონის დადებას აპირებს: გერმანელებისგან ქართველის გამოსყიდვის შემთხვევაში, მას ნალჩიკის "სპარტაკი" იწვევს. ინიციატივა ყაბარდოელთა მთავარ მწვრთნელის, **იური კრასნოჟანისგან** მოდის.

დათო "პადერბორნთან" ერთად ესპანეთში ემზადებოდა, გუშინ კი, მოსალაპარაკებლად. ნალჩიკელებთან გაემგზავრა. თუ პირობები მისაღები იქნება, ზაფხულამდე "სპარტაკს" დაეხმარება. დიდი შანსია, დათო კრასნოჟანთან დარჩეს. შესაძლოა, უკვე დღეს, "ლამანგას თასის" ფინალში დონეცკის "შახტიორის" წინააღმდეგ ნალჩიკელთა მაისურა პირველად მოირგოს.

ფეხბურთელს ერთადერთი ის აქვს საფიქრალი, შეეწყობა თუ არა "სპარტაკს" და ამიტომ მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. დათო და მისი ახალი მენეჯერი ნალჩიკის "სპარტაკს" ტრამპლინად განიხილავენ. თავის გამოჩენის შემთხვევაში, რუსეთის პრემიერლიგის რომელიმე ლიდერში გადაყვანას პირდებიან, რომლებთანაც უცნობ ქართველ მენეჯერს ახლო კავშირები გააჩნია.

**მერაბ მამულაშვილი**

# ბათუმში უძრაობაა, მესხეთი ბორჯომში ითამაშებს

## ვიტ ჯორჯია სტადიონის რეკონსტრუქციას იწყებს

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღანელობამ უმაღლესი ლიგის რამდენიმე გუნდის ინფრასტრუქტურა შეამოწმა. ამაზე ლიგის გენერალური მდივანი **პაატა ბურჯალიანი** გვესაუბრება.

*"ექვსი წელია ლიცენზირების პირობების შესრულებას ვითხოვთ. მკაცრი მოთხოვნებით უეფა ძალიან მალე იხელმძღვანელებს და ბევრი გუნდი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება. თუკი მდგომარეობას სასწრაფოდ არ გამოასწორებენ, მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში რამდენიმე გუნდს აღარ დავუშვებთ.*

*გუნდების ინფრასტრუქტურას საშეჯიბრო სამსახურის მენეჯერ შოთა ბაქრაძესთან ერთად ვამოწმებდი. ,,ცხინვალი" მეორე წრეში "ქართლის" სტადიონზე ითამაშებს. მისი მდგომარეობით კმაყოფილი დავრჩი. ადრე გასახდელები საშინელ დღეში იყო, ახლა სტადიონის ხელმძღვანელობას უმუშავია. დასავლეთ ტრიბუნაზე ხის სკამების ნაცვლად, ინდივიდუალურ სკამებს ამონტაჟებენ. იმედია, ჩვენს შენიშვნებსაც გაითვალისწინებენ.*

*ზუგდიდში სტადიონის მშენებლობა ჯერ კიდევ არ დასრულებულა, მინდორიც არასასურველ მდგომარეობაშია. თუმცა, სამუშაოები სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს.*

*საქმე ბათუმში ცუდადაა. ჩემპიონატს ,,ადელის" სტადიონზე დაასრულებენ, ამის უფლება მივეცით. მომავალ სეზონში კი თავის მართლება უკვე უეფას წინაშე მოუწევთ. თუ ვითარება არ შეიცვალა, ასეთ სავალალო პირობებში თამაშებს ველარ უმასპინძლებენ, ეს გამორიცხულია.*

*ანალოგიური ბედი კიდევ ბევრ გუნდს ელის, რადგან სტადიონები ელემენტარულ დონეზე ვერ მოაწესრიგეს. ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის შეხვედრებს ,,მესხეთი" ბორჯომის ცენტრალურ სტადიონზე გამართავს. "ბორჯომის" ხელმძღვანელობა თანახმაა და საკითხი გადაწყვეტილია.*

*დღეს "ვიტ ჯორჯიის" გენერალურ დირექტორს, მალხაზ კაკაურიძეს ველაპარაკე. ყველამ იცის, რომ მცხეთის სტადიონიც თანამედროვე სტადარტებს ვერ აკმაყოფილებს და ამიტომაც იყო, ბატონი მალხაზის ნათქვამმა ძალიან გამახარა - უახლოეს პერიოდში ტრიბუნაზე ინდივიდუალური სკამების დამონტაჟებას აპირებენ, რომელიც 1500 მაყურებელს დაიტევს. ამას გარდა, ადმინისტრაციულ შენობის აშენებასაც გეგმავენ. იმედია, ეს თვითმყოფადი გუნდი სტუმრებს მალე მიიღებს ახალ სტადიონზე."* - განაცხადა ბურჯალიანმა.

**მერაბ მამულაშვილი**



## თარიღი

**მევლუდ მიმინოშვილი.** დაიბადა 13.02.1942, სუჯუნა, აბაშა. ფეხბურთი. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. იმსაჯა ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ მატჩებში, ევროთასების მრავალ შეხვედრაში. სულ სსრკ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში იმსაჯა 99 მატჩი (1979-88), საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში - 9 (1990). სსრკ ხალხთა VIII სპარტაკიადის (1983) ფინალური მატჩის არბიტრი. ექვსჯერ დაასახელეს სსრკ ათ საუკეთესო მსაჯს შორის (1980, 81, 83, 85-87).

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# კოკაიას ნერვებმა, ჩემპიონატს კი გუნდმა უმტყუნა

## ზესტაფონი საქართველოს პირველობაზე აღარ ითამაშებს

საფეხბურთო კლუბმა "ზესტაფონმა" გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში წერილი შეიტანა - ეროვნულ ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე უსახსრობის გამო უარს ვამბობო - ასეთია საქმის ოფიციალური ავან-ჩავანი.

ცხადია, თავისი წილი სიმართლე ოფიციალურ ვერსიასაც აქვს, მაგრამ ამის მიღმა კიდევ რამდენიმე სიმართლე იმალება.

"ზესტაფონმა" უმაღლეს ლიგაში ადგილი ჯერ კიდევ მაშინ იყიდა, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **მერაბ ჟორდანია** იყო. შემდეგ ჟორდანია ფეხბურთს და ფედერაციას ჩამოაცილეს და ალბათ, "ზესტაფონმაც" სხვა გათვლები გააკეთა - კლუბის პრეზიდენტ **ილია კოკაიას** და ფედერაციის ახალ თავკაც **ნოდარ ახალკაცს** შორის საქმიანი, ახლო ურთიერთობა ჩამოყალიბდა, შეიძლება ითქვას, რომ შუამავალი ამ ურთიერთობისა **გაიოზ დარსაძე** იყო, ვინც ახალკაცის ხელდასმით საქართველოს ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელი შეიქნა. დარსაძე იმავდროულად "ზესტაფონში" საქმიანობდა, თუმცა ზუსტად რა სტატუსი ჰქონდა, დღემდე უცნობია.

"ზესტაფონი" საქართველოს ნაკრებთა საბაზო გუნდი გახდა. ყველა ასაკობრივი ნაკრებების ბირთვს "ზესტაფონში" გადასული ფეხბურთელები წარმოადგენდნენ, პირველ ნაკრებში "ამერიდან" "ზესტაფონში" გადასული გიორგი განუგრავა და ბექა გოცირიძე ხვდებოდნენ. "ზესტაფონმა" ბევრი ნიჭიერი ჭაბუკი აიყვანა თბილისის "ოლიმპიდან".

ყოველივე ეს, ცხადია, ბიზნესგეგმა იყო, მაგრამ კოკაია-დარსაძე-ახალკაცის სამკუთხედი ვერ იყო ტოლგვერდა და ლამაზი. გინდა ნაკრებში? მაშინ უნდა გადახვიდე "ზესტაფონში"! სამკუთხედის არსი ასე აღიქმებოდა. შედეგი კი არ ჰქონდა კარგი არც ეროვნულ ნაკრებს, არც ახალგაზრდულ ნაკრებებს და არც "ზესტაფონს" - კლუბმა ვერც ერთი ხმაურიანი ტრანსფერი ვერ განახორციელა და დღემდე უტიტულოდაა - არც ჩემპიონობა, არც თასი, მხოლოდ ევროტურნირებზე მონაწილეობა.

ფაქტია, კოკაიამ შექმნა კლუბი, დახარჯა ფული, აალორძინა ფეხბურთი ზესტაფონში, მოიწვია ლეგიონერები, "ზესტაფონი" პირველ ადგილზეა საშინაო მატჩებზე მაყურებელთა დასწრებით, კოკაიამ ზესტაფონის სტადიონისთვის (რომელიც მას არ ეკუთვნის) შეიძინა მინდვრის საფარი უცხოეთიდან - მიუხედავად ყველაფრისა, კოკაია მაინც უფრო ოდიოზურ ფიგურად დარჩა ქართულ ფეხბურთში, ვინძლო იმიტომ, რომ კარგად ვერ აარჩია, ვისთან დაეჭირა საქმე. ვისთვის დაეგდო ყური, ვინ ყოფილიყო მისი მრჩეველი.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ "ზესტაფონმა" აქამდე ვერც თასი მოიგო და ვერც ჩემპიონობა. არადა "ზესტაფონს" კარგი ფეხბურთელები ჰყავს, არც ფული აკლდა და არც გულშემატკივრების მხარდაჭერა.

საქმის კეთებას მხოლოდ ფულის დახარჯვა და ფედერაციის პრეზიდენტთან კომპანიონობა ვერ წაადგება. სამყარო განვითარებას ვერ შეწყვეტს და შენ თუ არ გაქვს უნარი ფეხი ყველაფერს დროულად აუწყო, მაშინ ისეთი მრჩეველი გჭირდება, ვინც ამაში დაგეხმარება - ასეთი კაცი კოკაიას გვერდში არ ედგა.

გუშინ ათასი ჭორ-მართალი გაისმა. ისიც ითქვა, კოკაია და ახალკაცი განუგრავას საკითხზე შელაპარაკდნენ და "ზესტაფონის" პრეზიდენტმაც ამის მერე მიიღო გადაწყვეტილება, გუნდი ჩემპიონატიდან და თასის გათამაშებიდან მოეხსნა.

ნახევარმცველი განუგრავა შარშან წავიდა "ზესტაფონიდან", ფსიქოლოგიურად დათრგუნული და ალბათ ფიზიკურადაც გამოფიტული. მას ხომ სამკუთხედი ყველგან ათამაშებდა - კლუბში, 19 და 21-წლამდელთა ნაკრებში, ეროვნულ გუნდში, თანაც ეს ხდებოდა 2005 წელს, როცა ის 16-17 წლის იყო. ახლა განუგრავა ჩეხური "მლადას" ფეხბურთელია და ვინ იცის, იქნებ ევროპულ ფეხბურთში კარგად გაითქვიფოს კიდეც. მისი ტრანსფერით კი საქართველოში სარგებელი ვერავინ ნახა.

გუშინვე ითქვაქ პროფლიგა და რამდენიმე კლუბი ყველანაირად ეცდებიან, კოკაიას გადაწყვეტილება გადაათქმევინონო. თუ ასე მოხდა, ეს კარგი საქმე იქნება - "ზესტაფონი" ნამდვილად სჭირდება ქართულ ფეხბურთს, ამ გუნდის გაქრობით ეროვნულ ჩემპიონატს ფეხბურთის ხმები, ხმაურიანი სტადიონი მოაკლდება. ბოლოს და ბოლოს, რა აზრი აქვს ფეხბურთს და ჩემპიონატს გულშემატკივრის გარეშე?

ცუდი იქნება, თუ ქართულ ფეხბურთს მხოლოდ სუბიექტი გამგეობების მიერ დაფინანსებული კლუბები შემორჩება, რომლებიც სეზონს სეზონზე გადააგორებენ და არ შეუძლიათ საინტერესო საკლუბო პოლიტიკის შექმნა.

დრო კი კოკაიას ურჩევს, კლუბში თუ მის მიღმა სულ სხვა ხალხთან დაიჭიროს საქმე.

**დავით თავართქილაძე**

# ახალი ფურცელი

ზოგადად, მწვრთნელები სახელმწიფო კანცელარიაში არ დადიან, ეს არ არის მათი საქმე. მაგრამ **კლაუს ტოპმიოლერი** და საქართველო განსაკუთრებული შემთხვევაა.

ფედერაციაში ჯერ გვითხრეს ტოპისთან ახალი კონტრაქტი ახალ წლამდე გაფორმდებაო. მერე ქვეყანა ათუხთუხდა და 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ლიად იყო ტოპმიოლერთან კონტრაქტის გაფორმების საკითხი.

ტოპმიოლერთან ამ დროისთვისაც არ არის კონტრაქტი გაფორმებული. ჰერ კლაუსი ამბობს, გარანტიები მინდაო. ცხადია, ის ფინანსურ გარანტიებს არ გულისხმობს, რადგან ეროვნულ ფედერაციასა და მწვრთნელს შორის მოწერილი კონტრაქტის გარანტია ფიფა გახლავთ - მწვრთნელი ნებისმიერ შემთხვევაში მიიღებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულს, როგორც ეს, მაგალითად, **ალენ ჟირესის** შემთხვევაში მოხდა - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ამ ხელმძღვანელობამ ის ვადამდე ადრე გაათავისუფლა, მაგრამ ფულის გადახდა მაინც მოუწია.

ახლა ის ვიკითხოთ, რა გარანტიებს თხოულობდა ან იქნებ კიდევ ითხოვს ჩვენი ეროვნულ გუნდის გერმანელი მწვრთნელი.

მწვრთნელის კომპეტენციაში ჩაურევლობა და ნაკრების ფეხბურთელებზე სწორი ინფორმაციის მიწოდება - არა გვგონია, ტოპი სხვა გარანტიებს ითხოვდეს, რამეთუ სხვა გარანტიას, ის უბრალოდ, ვერ მოითხოვს. სავარჯიშო პირობები და სხვა ორგანიზაციული საკითხები ფედერაციას წინა შესარჩევშიც მაღალ დონეზე ჰქონდა მოგვარებული.



ნოდარ ახალკაცი, კლაუს ტოპმიოლერი და რალფ მინგე

ტოპი და ფედერაციის ხელმძღვანელობა აქამდე ერთმანეთს კბილებით იცავდნენ. როცა 13 მაისს ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში **გიორგი ნემსაძემ ნოდარ ახალკაცი** დაამარცხა, ტოპიმ "ლელოს" უთხრა, ნემსაძის გუნდთან არ ვიმუშავებო. ახალკაცი და მისი გუნდიც გამუდმებით იცავდა ჰერ კლაუსს, რომლის გაწვრთნილმა საქართველომ წინა შესარჩევში მხოლოდ ფარერელ მეთევზეებს აჯობა.

როგორც უნდა იყოს, ტოპი გერმანელი, ნამდვილი ევროპელია და შესაბამისი პრინციპები აქვს. ის მწვრთნელია და მისი ხელობაა აქეთიქით იაროს სამუშაოდ, ფული აილოს და ერთი სამსახურიდან სხვაგან გადავიდეს, მაგრამ ახალ სამსახურს და ახალ ჯამაგირს სათანადო რეპუტაციაც სჭირდება.

საკუთარი პრინციპები ექნება ფედერაციის თავკაცსაც. არავისთვისაა სასიამოვნო, როცა შენი თანამდებობა ვიღაცის სურვილსა თუ ახირებაზეა დამოკიდებული - ასეთ დროს განსაკუთრებულად გინდა, რომ შენც რაღაცით გამოიჩინო თავი, შენც გიწევდნენ ანგარიშს, შენც უკარნახო რაღაცა სხვას - ეს უბრალოდ ადამიანის თვისებაა.

ყოველივე აქედან იმას უნდა ველოდოთ, რომ ფედერაციასა და ტოპის ურთიერთობა ახალი კონტრაქტის გარდა ახალი ფურცლითაც დაიწყება.

**დავით თავართქილაძე**

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

კლუბები

## ლოკომოტივმა დინამოს დუბლებს სძლია

**ლოკომოტივი-დინამო 2 2:0**

1:0 ბარბაქაძე (58), 2:0 გომელაური (70)

ლოკომოტივი: ალავიძე, გუშარაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, ფოფხაძე, ნიკოლაიშვილი, ბარბაქაძე, კაჭახიძე, გულორდავა, ალავერდაშვილი, ბახტაძე, დ. ჩაგელიშვილი.

დინამო 2: ლოსაბერიძე, მინდორაშვილი, კაკუბავა, ჩადუნელი, ტეტუნაშვილი, ჩიკვაიძე, შერაზადაშვილი, ქავთარაძე, ჯიშკარიანი, სიხარულიძე, კიკნაძე.

*შეცვლაზე შევიდნენ: ნადირაძე, ფირანიშვილი, ნემსაძე, კაჭკაჭიშვილი, ჭადაშვილი.*

გუშინ საბურთალოზე, "ოლიმპის" მოედანზე ორი ამხანაგური მატჩი გაიმართა. თურქული შეკრებიდან დაბრუნებული "ლოკომოტივი" დედაქალაქურ დერბიში "დინამო 2-ს" დაუპირისპირდა. **გიორგი კიკნაძისა** და **დავით კევლიშვილის** გუნდების ჭიდილის პირველი ნახევარი უგოლოდ დასრულდა.

შესვენების შემდეგ კი "ლოკომოტივმა" იძალა და მეტოქეს ორი უპასუხო გოლი გაუტანა. როგორც "ლოკომოტივის" თავკაცმა გიორგი კიკნაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, გრიპისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო გუნდს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა. კერძოდ, **სამხარაძე, კაიდარაშვილი, კვახაძე, გ. ჩხეტიანი, წულაძე, ქუხილავა** და სხვები. სწორედ ამიტომ იყო, მეორე ტაიმში "ლოკომოტივის" შემადგენლობაში ტესტირებაზე მყოფი ფეხბურთელები რომ გამოჩნდნენ.

**დავით ცაბაძე**

## მესხეთის ზავი სპარტაკთან

**სპარტაკი-მესხეთი 1:1**

1:0 ხიდეშელი (30), 1:1 კოშკაძე (52)

სპარტაკი: ქვილითაია, კუპრეიშვილი, ხაჭიპერაძე, ქომოკლიძე, მამუკაშვილი, ივანაშვილი, ძარია, თარხნიშვილი, ტყეშელაშვილი, გოგოხია, ხიდეშელი.

შეცვლაზე შევიდნენ: კოდალაევი, ქირიძე, დათუნაშვილი, თექთუმანიძე.

მესხეთი: სომხიშვილი, კობესაშვილი, ნადირაშვილი, თელიაშვილი, ლეკიშვილი, თაყაძე, კოშკაძე, გვირჯიშვილი, მუშკუდიანი, ლ. მერებაშვილი, მემარნიშვილი.

შეცვლაზე შევიდნენ: ძამუნაშვილი, გ. სუდაძე.

ქუთაისში, "ტორპედოსთან" მოგებული ამხანაგური მატჩის შემდეგ, უმაღლესი ლიგის დებიუტანტი ახალციხის "მესხეთი" დედაქალაქს ესტუმრა და კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა. **კობა თედიაშვილის** გუნდი ცხინვალის "სპარტაკს" გაეჯიბრა. შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა.

თამაში საინტერესოდ წარიმართა და ტაიმებში მეტოქეებმა თითო გოლი გაცვალეს. საწყის 45 წუთში "სპარტაკი" დაწინაურდა, ანგარიში **გოგა ხიდეშელმა** გახსნა. შესვენების შემდეგ კი **ალექსანდრე კოშკაძემ** მახვილი კუთხიდან ეფექტური გოლით გაათანაბრა ანგარიში.

დაბოლოს, გამცნობთ იმასაც, რომ მიმდინარე სეზონის მეორე წრეში "მესხეთი" საშინაო მატჩებს ახალციხის ნაცვლად, ბორჯომის ცენტრალურ სტადიონზე ჩაატარებს. საქმე ის გახლავთ, რომ ახალციხის სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყებაა დაგეგმილი. მეორე წრის კალენდარიც ისეა შედგენილი, რომ "ბორჯომისა" და "მესხეთის" საშინაო თამაშები ერთმანეთს არ ემთხვევა.

**დავით ცაბაძე**



გიორგი ყიფშიძე შეგირდთა მარცხს შეუნუხებია

## სიონმა დილასთან წააგო

შავიზღვისპირეთში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა ბოლნისის "სიონმა" გუშინ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. **გიორგი ყიფშიძის** გუნდი ქობულეთში გორის "დილას" ეთამაშა და რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, 1:3 წააგო. ბოლნისელთა კლუბის მენეჯერ **ჯემალ ჭიპაშვილის** ინფორმაციით, ყიფშიძემ საწყისი 20 წუთის შემდეგ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები მოხსნა და უმთავრესად იმ მოთამაშეებს მისცა თავის გამოჩენის შანსი, რომელთაც ძირითადში იშვიათად უწევთ თამაში. შეცვლაზე მოედანზე გამოჩნდნენ – **ზ. ჭელიძე, ავალიანი, ქარდავა, ნაყოფია, უგულავა, გაბრიჩიძე, ალფაიძე** და მეკარე **ბობლიაშვილი**.

ანგარიში გორელებმა გახსნეს. 39-ე წუთზე **კვიტაიშვილმა** წონასწორობა კი აღადგინა, მაგრამ "დილამ" მეორე ტაიმში კიდევ 2 გოლი გაიტანა და საბოლოოდ მოიგო კიდეც მატჩი.

"დილასთან" მატჩში ბოლნისელთა სასტარტო შემადგენლობა ასეთი გახლდათ:

**იაშვილი, კობაური, სვანიძე, ბოიომო, კ. ჩხეტიანი, ოქროპირიძე, კვიტაიშვილი, შავგულიძე, ბაჯელიძე, ბ. ნოზაძე, შ. ჯიქია.**

"სიონი" მომდევნო ამხანაგურ მატჩს ხვალ, 14 თებერვალს "ბათუმთან" გამართავს.

**დავით ცაბაძე**

## გაბაშვილთან შეხვედრას აზრი არ ჰქონდა



მამუკა კვარაცხელია არ ჩერდება

**მამუკა კვარაცხელიამ** გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ნაკრების გერმანელი მწვრთნელების პასუხისმგებლობის საკითხზე კიდევ ერთხელ ისაუბრა:

- სავალდებულო არაა ლატვიასთან ნაგება, ფეხბურთში გარკვეული ადამიანები დამღუპველ სანაკრებო პროცესებს ისედაც დაინახავდნენ. სამარცხვინოა, რომ ლატვიელები უკვე ტექნიკითაც გვჯობდნენ.

მე დიდი ხნის წინათ დავითვალე, რომ გერმანელმა მწვრთნელებმა და ნოდარ ახალკაცმა ქართულ ფეხბურთს ხუთი მილიონი დოლარის ზარალი მიაყენეს.

დღევანდელი შეკრების მთავარი მიზეზს გეტყვით - ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას კვლავ ვაპირებ. ნოდარ ახალკაცის პრეზიდენტობის ყოველი დღე ჩვენი ფეხბურთისთვის ზარალია. ფედერაცია დღეისათვის აბსოლუტურად გაკოტრებული ორგანიზაციაა. ამიტომაც შეუმცირეს ტოპმიოლერს ხელფასი და არა პრინციპულობის გამო...

- კლაუს ტოპმიოლერმა საინტერესო ინტერვიუ მისცა "24 საათს" ჩამოყვანის დროს - ნაკლებ ხელფასს რომ დავთანხმებულიყავი, მაშინ ფეხბურთელების აგენტობისთვის უნდა მომეკიდა ხელი. დიდი ანაზღაურებით ფეხბურთელების გაყიდვაზე აღარავინ იფიქრებსო. მალე რალფ მინგემ ტოპმიოლერი "გაყიდა", როდესაც გერმანულ კლუბში ქართველების წასვლის ინიციატორად დაასახელა...

- თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტზეც უნდა ვისაუბრო. მას არ უნდა ხელმძღვანელობდეს კაცი, რომელსაც ფეხბურთთან შეხება არ გააჩნია და ვინც 7 ნოემბრის ამბებში მონაწილეობდა. თანაც, ზაზა ბეგაშვილი უკვე ჩინეთში საქართველოს ელჩად ოფიციალურად დანიშნეს. გამომდინარე აქედან, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომში შევიტანე განცხადება, სადაც მის გადარჩევას ვითხოვ. თბილისის ფედერაცია უნდა იყოს ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი მძლავრი რეგიონული დასაყრდენი. აქედან შეიძლება ყველას ვაჩვენოთ, როგორ შეიძლება ფეხბურთის განვითარება.

თქვენთან შეხვედრის შემდეგ, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრ ნიკა ვაჩეიშვილთან შეხვედრას ვაპირებ. გიორგი გაბაშვილთან შეხვედრას აზრი არ ჰქონდა, რადგან ის თავად იყო ახალკაცის მხარდამჭერი და ტოპმიოლერის ჩამოყვანის ინიციატორი. ვაჩეიშვილს, როგორც ქართველ პატრიოტს და ქრისტიან კაცს, მსურს ავუხსნა, ნოდარ ახალკაცსა და კლაუს ტოპმიოლერს რატომ არ უნდა დაუჭიროს მხარი. მჯერა, გამიგებს და ჩემს სატკივარს გულთან ახლოს მიიტანს...

- საერთოდ, მივხვდი, ქართული ფეხბურთი ჩემზე მეტად არავის უყვარს. ლატვიასთან წაგებას ორი წელი ელოდნენ და ხმა ახლა ამოიღეს. კი მაგრამ, აქამდე სად იყავით?

- დღეს შევიტყვეთ, რომ "ზესტაფონი" დაიშალა. ასევე რომ გადაწყვიტონ თბილისის "დინამომ" და "ვიტ ჯორჯიამ", რაღა შეგვრჩება ხელში?

- ნოდარ ახალკაცის წინააღმდეგ ბრძოლას დღეიდან ახალი ძალით ვიწყებ, შემოვივლი მთელ საქართველოს და ყველას ავუხსნი, რატომ უნდა გავუშვათ ახალკაცი და ტოპმიოლერი. ინგლისის შემარცხვენელი ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი სლავენ ბილიჩი გაცილებით ნაკლებ ხელფასს იღებს, ვიდრე ჩვენი 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჰერბერტ ცანკერი. საერთოდაც, ტოპმიოლერზე მეტ თანხას მხოლოდ 10-15 მწვრთნელს თუ უხდიან...

- მალე წარმოგიდგენთ ჩემს გუნდს. დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებ ყაველაშვილთან, ჯამარაულთან და ყიფიანთან. გეტყვით იმასაც, რომ ჩემ გვერდით ბევრი ჟურნალისტი გამოჩნდება. დავრწმუნდი, ქართული ფეხბურთი მათზე მეტად არავის უყვარს.

**მერაბ მამულაშვილი**

## ჯაბა ისვენებს

სამ კვირაზე მეტია, ისპაჰანის "სეპაჰანის" დაცვას **ჯაბა მუჯირი** ველარ ამაგრებს. ცხადია, ამის მიზეზით დავინტერესდით და ჯაბას ირანში შევეხმიანეთ.

*"მუხლთან კუნთი რომ არის, ის მაქვს დაზიანებული, მსგავსი ტრავმა ადრეც მქონდა. ახლახან ერთხელაც ვიყავი ექიმებთან გამოკვლევაზე, მითხრეს, კიდევ სამი კვირა მოგიწევს უქმად ყოფნა, ვარჯიშს მანამდე ვერ განაახლებო"* - გვითხრა მუჯირმა.

**დავით თავართქილაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA CARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან

# მუჯირი თავის კლასს ლოკომოტივშიც დაამტკიცებს

**გუშინ** მოსკოვის "ლოკომოტივმა" ამხანაგურ მატჩში ხორვატულ "ოსიეკს" 1:0 სძლია. ქართველთაგან მოედანზე მხოლოდ რკინიგზელთა ახალწვეული დავით მუჯირი იყო, მალხაზ ასათიანს მიკროტრავმის გამო არ უთამაშია. ამ უკანასკნელს "სპორტ სევოდნიამ" ინტერვიუ ჩამოართვა, რომელსაც მცირე შემოკლებით შემოგთავაზებთ.

**- ფეხთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობთ. კონკრეტულად რა განუხებთ?**

- საქართველო-ლიტვის შეხვედრაში ტერფი დავიზიანე. არ მეგონა სერიოზული პრობლემა თუ იქნებოდა, მაგრამ ეს ადგილი გამისივდა და ბუცსაც კი ვერ ვიცვამ.

**- მოედანს როდის დაუბრუნდებით?**

- ორ-სამ დღეში საერთო ჯგუფთან ერთად განვაახლებ ვარჯიშს. თამაშსაც სულ მალე შევძლებ, ალბათ, ერთ კვირაში.

**- "ოსიეკთან" თამაშზე რას იტყვით?**

- ამ მატჩისთვის არ მიყურებია, ამ დროს განცალკევებით ვვარჯიშობდი ინდივიდუალური პროგრამით.

**- "ლოკომოტივი" უკვე მესამე შეკრებაზეა. კმაყოფილი ხართ გუნდის მომზადების დონით?**

- ფორმაში ნელ-ნელა შევდივართ, ყველაფერი რიგზეა.

**- ამბობენ, რომ რაშიდ რახიმოვის ვარჯიშები მძიმეა...**

- ყველა მწვრთნელს თავისი სტილი აქვს. ვერ ვიტყვი, რომ არ ვილლებით, მაგრამ სეზონს ფიზიკურად კარგად მომზადებულები უნდა შევხვდეთ და სამისოდ ყველაფერი კეთდება. რახიმოვი საკმაოდ საინტერესო სპეციალისტია, მასთან მუშაობა ყველას მოგვწონს.

**- საყვარელი ვარჯიში თუ გაქვთ?**

- ყველა ფეხბურთელს ბურთით ვარჯიში უფრო სიამოვნებს, მათ შორის მეც. "კვადრატს" სიამოვნებით ვთამაშობ.

**- დავით მუჯირზე რას იტყვით?**

- დავითი კარგი ფეხბურთელია, რაც სამარაში თვალნათლივ დაამტკიცა. შესანიშნავი ადამიანია, ჩვენ კარგი მეგობრები ვართ. დარწმუნებული ვარ, მუჯირი თავის შესაძლებლობებს "ლოკომოტივშიც" გამოავლენს.

*მოსკოვის "ლოკომოტივის" ოფიციალურ ვებგვერდზე მოძიებული ონლაინ რეპორტაჟის მიხედვით, მუჯირი თავდამსხმელების უკან, გამთამაშებლად გაამწესეს და საკმაოდ კარგადაც უთამაშია, თუმცა მოედანზე მხოლოდ საწყისი 45 წუთი დაჰყო. ხორვატთა წინააღმდეგ მუჯირმა 10 ნომრიანი მაისურით იასპარეზა. ჩანს, ამ ნომრით მოუწევს მას თამაში რუსეთის ჩემპიონატშიც. რუსები ხომ მას ლოსკოვის შემცვლელად მიიჩნევენ.*

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**


მალხაზ ასათიანი



ლეგიონერები

# კალაძე პრეზიდენტი?

## რაზე დაეკითხება რჩევას ქართველი მცველი ბერლუსკონის

**იტალიური** "კორიერე დელა სერა" შეეცადა მკითხველისთვის სხვა კუთხით დაენახვებინა ცნობილი ფეხბურთელები. გამოცემამ სერია ა-ს პოპულარულ ფეხბურთელთა საქმიანობა მიმოიხილა, უმთავრესი ადგილი კი "მილანის" მოთამაშეებს დაუთმო. ჩამონათვალში საქართველოს ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძეც** მოხვდა.

"კალაძე პრეზიდენტი?" – აი, ასეთი ქვესათაური უძღვის ტექსტს, რომელიც ქართველი ფეხბურთელის საქმიანობასა და სამომავლო გეგმებს ეხება.

*"კახა კალაძემ მილანში ძველი, დიდი ტრადიციების მქონე რესტორანი შეიძინა. ალადგინა და "ჯანინო" ამჟამად უკვე წარმატებით ფუნქციონირებს. სწორედ "ჯანინოში" აღნიშნავენ "მილანის" წარმატებებს კლუბის ბოსები სილვიო ბერლუსკონი და ადრიანო გალიანი...*

*ეს ქართველი ძალზედ წარმატებით უდგება საქმეს, თითოეულ დეტალს ზუსტად თვლის და საერთოდ მომავალს. კალაძე "ჯანინოს" გარდა უკრაინაში სასტუმროების ქსელს ფლობს, რომელსაც მისი სანდო პირი უძღვება. მას სურს საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, პოლიტიკურ განათლება ამერიკის შეერთებულ შტატებში დაეუფლოს და საქართველოს პრეზიდენტი გახდეს. ქართველმა მცველმა თავისი ჩანაფიქრი სამშობლოში, ერთ-ერთ ტელეარხთან საუბარშიც არ დამალა...*

*პოლიტიკური კარიერის სტარტზე, კალაძე ალბათ თავისი კლუბის პრეზიდენტს, პოლიტიკაში გამოცდილ ბერლუსკონისაც დაეკითხება რჩევას – იხუმრა ტურინის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთმა მრჩეველმა.*

*საერთოდ კი კალაძე პირველი სპორტსმენი არაა, რომელმაც პოლიტიკური საქმიანობა გადაწყვიტა. 2002 წელს ლიბერიის საპრეზიდენტო არჩევნებში, "მილანის" ყოფილი ფეხბურთელი ჟორჟ ვეა მონაწილეობდა. 2000 წელს კი აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ნბა-ს ყოფილმა კალათბურთელმა, ბილ ბრედლიმ მიიღო მონაწილეობა. საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ პოლიტიკაში საქმიანობის ყველაზე ნათელი მაგალითი იტალიაში ჯანი რივერა გახლდათ. ის რამდენიმე წლის განმავლობაში იტალიის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა",* - წერს "კორიერა დელა სერა"

**დავით ცაბაძე**


ჯაბა კანკავა

# ჯაბა კანკავა საუკეთესოებში

**უკრაინულმა** ინტერნეტგაზეთმა "ფუტბოლმა" გულშემატკივრებში გამოკითხვა ჩაატარა. მიზანი სხვადასხვა პოზიციაზე 2007 წლის საუკეთესო მოთამაშეების გამოვლენა გახლდათ. ნომინაციებში დასახელდნენ უკრაინის ჩემპიონატში მონაწილე ადგილობრივები და ლეგიონერები, აგრეთვე, სხვა ქვეყნებში გადასული უკრაინელები.

პირველობა არავის დაუთმო, პეტერბურგის "ზენიტის" საყდენმა ნახევარმცველმა **ანატოლი ტიმოშჩუკმა** (4174 ხმა), მეორეზე "დნეპრის" ერთ-ერთი ლიდერი **ოლეგ შელაევი** გავიდა (2648), მესამეზე კი დონეცკის "შახტიორის" პოლონელი ლეგიონერი **მარიუშ ლევანდოვსკი** (1358).

სასიხარულოა, რომ ამ სოლიდურ კამპანიაში საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელი **ჯაბა კანკავაც** აღმოჩნდა. ის მეხუთე ადგილზე გავიდა.

**მერაბ მამულაშვილი**

# თარგამაძის 90 წუთი

**სასიხარულოა**, რომ **დავით თარგამაძე** სისტემატურად ხვდება "ფრაიბურგის" ჭაბუკთა გუნდის ძირითად შემადგენლობაში. ჭაბუკთა ბუნდესლიგის გასულ ტურში "ფრაიბურგმა" "შტუტგარტერ კიკერსს" უმასპინძლა და ფრედ, 1:1 ითამაშა. მასპინძლები პირველი ტაიმის ბოლოს დაწინაურდნენ, სტუმრებმა კი მატჩის მიწურულს გაათანაბრეს. თარგამაძემ სრულად ითამაშა, იგი ამჯერად თავდამსხმელის პოზიციაზე გაამწესეს.

# ყაზახთა მწვრთნელი გადადგა

**2009 წლის** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თანაჯგუფელი ყაზახეთი გუშინ მთავარმა მწვრთნელმა დატოვა. იქაური სპორტული მიმომხილველების თქმით, **ევგენი იაროვენკომ** გადაწყვეტილება საკუთარი ინიციატივით მიიღო და სანაკრებო კარიერაზე წინ საკლუბო დააყენა.

*"უკვე ფედერაციის თავკაცებსაც შევატყობინე, რომ მინდა კონცენტრაცია კლუბში მუშაობას დავუთმო. აქამდე "ესილ-ბოგატირისა" და ახალგაზრდულს თავკაცობას ერთმანეთს ვუთავსებდი, თუმცა აშკარა იყო, კლუბში ბოლომდე დახარჯვის საშუალება არ მქონდა. ამიერიდან კი მთელ დროს მას დავუთმობ. წინ მძიმე ჩემპიონატია და ვფიქრობ, მართებული გადაწყვეტილება მივიღე"*, - უთხრა იაროვენკომ ჟურნალისტებს.

შეგახსენებთ, რომ ამ სპეციალისტის თავკაცობით ყაზახეთის ნაკრებმა მიმდინარე შესარჩევ ციკლში ერთადერთი გამარჯვება მოიპოვა და ისიც საქართველოსთან – 4:1.

**ლევან ჯანეზაშვილი**


დავით თარგამაძე

# დემეტრაძე თადარიგში, კაფუ კიევში?

**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა კიევის "არსენალმა" პოლონურ "ვიძევთან" ამხანაგური მატჩი 1:1 დაასრულა. **გიორგი დემეტრაძე** წინა საკონტროლო შეხვედრების მსგავსად, ვერც ამჯერად მოხვდა ძირითად შემადგენლობაში. "არსენალის" ოფიციალური ვებ გვერდის ცნობით, ჩვენებური მწვრთნელმა მინდორზე მეორე ტაიმში შეუშვა. იმ დროისთვის ანგარიში უკვე 1:1 იყო. გუშინვე, ამავე წყარომ ერთი ცოტა არ იყოს უცნაური ინფორმაციაც გაავრცელა. უკრაინული კლუბის თავკაცებს სეზონის ჩამთავრების შემდეგ, "მილანის" სახელგანთქმული ბრაზილიელი მცველის, **კაფუს** გადაბირება ჩაუფიქრებიათ და ამ საკითხზე სასაუბროდ ფეხბურთელთან შეხმიანებას უახლოეს დღეებში გეგმავენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**


გიორგი დემეტრაძე

# ლიტველი ქართველები თურქეთში

**რუსულ-უკრაინულ** კლუბებში მოთამაშე ქართველი ლეგიონერების უმეტესობამ იქაური ჩემპიონატებისთვის მოსამზადებელი შეკრებები თურქეთში გაიარა. ბევრმა უკვე ანთალიურ-ქემერული ვარჯიშები ჩაამთავრა კიდეც. ამ დღეებში კი შავი ზღვის სანაპირო კურორტს ლიტვურმა "კაუნასმაც" მიაშურა სამი ქართველითურთ. შეგახსენებთ, ლიტვის მოქმედი ჩემპიონის რიგებში **გივი კვარაცხელია, ნუკრი მანჩხავა** და **აკაკი ხუბუტია** ირიცხებიან. თურქული სამზადისის პერიოდში "კაუნასი" ამხანაგურ შეხვედრებში რუმინულ "ვასლუისს", უკრაინულ "დნიპროსა" და რუსულ "ურალანს" დაუპირისპირდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მილანი

# კაკა არჩევანის წინაშეა




კაკა

"მილანის" ფონდის გენერალური მდივანი, ახლო წარსულში კლუბის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, ბრაზილიელი **ლეონარდო** ფიქრობს, რომ "როსონერიმ", შესაძლოა, **კაკას** ოლიმპიური ოცნებები დაბლოკოს. მოგეხსენებათ, ამ ცოტა ხნის წინ "მილანის" ვარსკვლავმა ზაფხულის ოლიმპიადაზე თამაშის სურვილი გამოთქვა:

*"ბრაზილიის ნაკრებს არაფერი აკლია, გარდა ოლიმპიური ოქროსი. არის შანსი, ამ მიზანს პეკინის თამაშებზე მივაღწიოთ. საამისოდ, გუნდს ძლიერი ფეხბურთელები დასჭირდება. მე მზად ვარ, დავეხმარო ოლიმპიურ ნაკრებს. თავად ჩემთვისაც მეტად პრესტიჟულია ამ ჯილდოს მოგება".*

მაგრამ მხოლოდ კაკას სურვილი არ კმარა იმისთვის, რომ ოცნება რეალობად იქცეს. ბუნებრივია, სიტყვა "მილანსაც" ეთქმის, კლუბს, რომელიც ფეხბურთელს ხელფასს უხდის. საქმის არსი შემდეგშია: **კარლო ანჩელოტის** გუნდს, თუკი ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ საგზურს მოიპოვებს, ოლიმპიადის დღეებში საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები ელოდება.

*"თუ კაკას ბრაზილიის ოლიმპიურ გუნდში მიიწვევენ, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, თუ რა თქმა უნდა, "მილანი" სერია A-ს ფინიშზე ოთხეულში მოხვდება. მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგა დიდი ფინანსური წყაროა, ამიტომ, ჩვენ არ გვაქვს უფლება, თვით საკვალიფიკაციო ეტაპზეც კი უარი ვთქვათ ისეთ ფეხბურთელზე, როგორიცაა კაკა. ფიფას წესების თანახმად, კლუბი ვალდებულია, ფეხბურთელი ნაკრებში დადგენილი წესის მიხედვით გაუშვას. მაგრამ საქმე ისაა, რომ ოლიმპიური თამაშები ფიფას მიერ არაა ორგანიზებული, შესაბამისად, "მილანს" სრული უფლება აქვს, კაკა ოლიმპიადაზე სათამაშოდ არ გაათავისუფლოს"* - აცხადებს ლეონარდო.

ლოგიკური მსჯელობაა. თუმცა ლეონარდო იმასაც უშვებს, რომ შეთანხმება, შესაძლოა, **ზეპ ბლატერს, მიშელ პლატინისა** და ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტ **რიკარდო ტეიშეირას** შორისაც შედგეს. მაგრამ "მილანი"? ყოველ შემთხვევაში, კაკა არჩევანის წინაშე დგება. ან კლუბი და ჩემპიონთა ლიგა, ან ოლიმპიადა. ჩვენ თუ გვკითხავთ, არა გვგონია, "როსონერის" კაკას გარეშე ლიგაში მოხვედრა გაუჭირდეს.



რონალდო

# რონალდო: ბუცები ლურსმანზე?

## ანჩელოტიმ, ლივორნოსთან პალოსკის დააყენებო...

**რონალდოს** რთული წელი ჰქონდა, განსაკუთრებით სეზონის მეორე ნახევარი, რომელიც სულელური ტრავმის გამო მთლიანად გაუცდა. ვითარება დიდად არც 2008 წლის დადგომის შემდეგ გამოსწორებულა. გარკვეული დრო მან ბრაზილიაში გაატარა, სადაც იმკურნალა და დაბრუნებისთანავე ჩემპიონატში დუბლიც გამოაცხო. თუმცა "სიენასთან" გასული ტურის მატჩში ის კვლავ დაშავდა და შესაცვლელი გახდა. უკვე გარკვეულია, რომ "ლივორნოსთან" დღევანდელი დაპირისპირება, რომელიც დეკემბრიდანაა გადმოტანილი, რონალდოს გარეშე ჩაივლის. რაც შეეხება "პარმასთან" კალენდარულ მატჩსა და "არსენალთან" (ლონდონში) საჩემპიონთალიგო მერვედფინალს, ესეც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

"ფენომენის" კონტრაქტი ამ ზაფხულს იწურება. შესაბამისად, ის მონადინებულია, ახალი ხელშეკრულება დაიმსახუროს. პერმანენტული ტრავმების პირობებში "მილანს" გაუჭირდება მისთვის ამ ხელშეკრულების შეთავაზება. შესაბამისად, რონალდოს დარჩენის შანსები მცირდება. მიმომხილველთა ვარაუდით, "როსონერის" ხელმძღვანელობამ, შესაძლოა, თავი არც მოიკლას რონალდოსთვის, რადგან მას უკვე ჰყავს ახალი ვარსკვლავები **ალეშანდრე პატოსა** (რომელიც ახლა ასევე ტრავმირებულია) და **ალბერტო პალოსკის** სახით. ამ უკანასკნელმა "სიენასთან" ხსენებულ მატჩში ფურორი მოახდინა: მოედანზე შესვლიდან რამდენიმე წამში გამარჯვების გოლი გაიტანა და მთელი იტალია აალაპარაკა. მასზე უკვე თამამად საუბრობენ, როგორც მომავლის ფეხბურთელზე. პატოსი არ იყოს, პალოსკიც 18 წლისაა, მაგრამ ჯერ დალვინება სჭირდება. თუმცა **კარლო ანჩელოტი** არ გამორიცხავს, რომ ყმაწვილი "ლივორნოსთან" დღევანდელ მატჩში უკვე სასტარტოშიც დააყენოს.

ამასობაში კი ვრცელდება ინფორმაცია, რომ რონალდომ, შესაძლოა, სულაც თამაშისთვის თავის დანებებაზე იფიქროს. მსოფლიოს სამგზის საუკეთესო (ფიფას ვერსიით) ფეხბურთელი ადრე ამბობდა, რომ კარიერის ბოლო წლებს სამშობლოში დაასრულებდა. მასთან დაახლოებული წყაროები არ გამორიცხავენ იმასაც, რომ რონალდომ ნახევარი წელი სიმბოლურად "ფლამენგოში" გაატაროს, მერე კი ბუცებს ლურსმანზე მიუჩინოს ადგილი...

კატანიური ამბების გაგრძელება

# მატერაცის თამაშის უფლება არ ჰქონდაო...

ვერ გეტყვით, რამდენად სერიოზულადაა საქმე, მაგრამ არ არის გამორიცხული, "კატანიას" "ინტერთან" კვირის მატჩში, რომელიც ლიდერის სკანდალური გამარჯვებით (2:0) დასრულდა, მოგება ჩაეთვალოს. რაც შეეხება სკანდალს, ამაზე გუშინდელ ნომერში ვრცლად ვწერდით. მოგეხსენებათ, **ესტებან კამბიასომ** პირველი გოლი აშკარა თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანა, რაც ჯერ ვიდეოგარჩევამ დაადასტურა, მერე კი შეცდომა თავად არბიტრმა **სტეფანო ფარინამაც** აღიარა.

მოკლედ "კატანია" დაიჩაგრა. მოულოდნელად, სიცილიურ კლუბს გაუჩნდა შანსი, "ინტერზეც" და, გარკვეულწილად, არბიტრზეც შური იძიოს. გუშინ კლუბმა ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიაში შეიტანა სარჩელი, რომელშიც ასაბუთებს, რომ "ინტერს" არ ჰქონდა შემადგენლობაში **მარკო მატერაცის** დაყენების (ან შეცვლაზე შეყვანის) უფლება. როგორც იტყვიან, ეშმაკი დეტალებში იმალება. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის წესებში ნათქვამია, რომ თუ ფეხბურთელი ტრავმის გამო უარს იტყვის ნაკრებში თამაშზე, მას არ უნდა ჰქონდეს უფლება, მონაწილეობა მიიღოს კლუბის მომდევნო ოფიციალურ შეხვედრაში. წელის ტკივილის მომიზეზებით, მატერაციმ პორტუგალიასთან გასული ოთხშაბათის ამხანაგური მატჩი გამოტოვა. ჰქონდა თუ არა ფეხბურთელს ტრავმა, ეს არავინ იცის, გარდა თავად ფეხბურთელისა. შესაბამისად, თუ ზემოხსენებულ წესებს გავითვალისწინებთ, მატერაცის მართლაც არ უნდა ეთამაშა. ფეხბურთის ფედერაციამ საქმეში სპორტულ საქმეთა მოსამართლე **ჯამპაოლო ტოზელი** ჩართო. ფედერაციის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში ვკითხულობთ: *"მოსამართლე ტოზელმა საქმე განსახილველად მიიღო, მაგრამ ის მას შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას, როცა ყველა საბუთი და ინფორმაცია ხელთ ექნება".*

ის ფაქტი, რომ საქმეს მსვლელობა მიეცა, ნიშნავს, რომ კატანიელთა საჩივარი მთლად საფუძველს მოკლებული არ გახლავთ. საინტერესოა, სიცილიური კლუბის სპორტული დირექტორის **პიეტრო ლო მონაკოს** კომენტარი:

*"ეს არის წესი და მისი დაცვა ყველასთვის სავალდებულოა. ჩვენ გვყავს ფეხბურთელი ხუან ვარგასი, რომელიც ტრავმირებული იყო, მაგრამ მაინც გაემგზავრა პერუს ნაკრების განკარგულებაში. ტრავმის გამო, მას სანაკრებო მატჩში არ უთამაშია, ამიტომ, ჩვენ არ გვქონდა უფლება, "ტორინოსთან" მომდევნო შეხვედრაში დაგვეყენებინა".*

მიუხედავად იმისა, რომ განხილვა დაიწყო, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მატერაცის მიმართ სანქცია ნაკლებადაა მოსალოდნელი, სამაგიეროდ, შესაძლოა, "ინტერი" დაისაჯოს. უკიდურეს შემთხვევაში, არ გამორიცხავენ, რომ ჩემპიონს წაგებაც კი ჩაუთვალონ, თუმც ამის ალბათობა მიზერულია.



მარკო მატერაცი



ფრანჩესკო გვიდოლინი

პალერმო

# გვიდოლინი ისევ ნიჩაბზე

## შესაძლოა, ძამპარინიმ მწვრთნელი მეხუთედაც დაითხოვოს

"პალერმოს" პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინისთვის** მწვრთნელების ცვლა საყვარელი საქმიანობაა. არ დავიწყებთ იმის ჩამოთვლას, რამდენმა სპეციალისტმა გაიარა მის ხელში და რამდენს დაენგრა კარიერა. სიცილიელთა დღევანდელი დამრიგებელი **ფრანჩესკო გვიდოლინი** მათ შორის იშვიათი მოვლენაა. ძამპარინის ის ოთხჯერ ჰყავს გაგდებული, შარშანდელ სეზონში კი სულაც ორჯერ შედგა ამ დუეტის თანამშრომლობა, მაგრამ ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შესაძლოა, მათი გზები სამუდამოდ გაიყაროს. "ტორინოსთან" საკვირაო მარცხის (1:3) შემდეგ, რის გამოც "პალერმო" მე-10 საფეხურამდე დაქვეითდა, ოდიოზურმა პრეზიდენტმა მთელი ბოღმა გვიდოლინზე ამოანთხია.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ თუ აგებს გუნდი, მწვრთნელის ბრალია, წარმატება კი თითქმის ყოველთვის ფეხბურთელებს მიეწერებათ. ამ ჭეშმარიტებას ძამპარინიც აღიარებს. შესაბამისად, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ გვიდოლინი ნიჩაბზეა შემოდებული. ერთი მარცხიც და მოქნევას ბევრი არაფერი უნდა.

*"საშინლად იმედგაცრუებული ვარ, -* ამბობს ძამპარინი, *- არც კი ვიცი, რა ვქნა. ამ კვირიდან ყველამ თავდაუზოგავად უნდა იმუშაოს, თორემ გადარჩენისთვის მოგვიწევს ბრძოლა, ეს კი "პალერმოს" ამბიციებს არ შეეფერება".*

შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინ **აიმო დიანა** "პალერმოდან" "ტორინოში" გადავიდა. კვირის მატჩში ყოფილ გუნდს ერთი გოლი სწორედ დიანამ გაუტანა. იყოჩაღა (დუბლი) **დავიდ დი მიკელემაც**, რომელიც შარშან ასევე სიცილიური კლუბის ღირსებას იცავდა. ძამპარინი გაოგნებულია:

*"საკუთარ თავს ვეკითხები: როგორ მოხდა, რომ დიანამ და დი მიკელემ გაცილებით უკეთ ითამაშეს "ტორინოს" შემადგენლობაში, ვიდრე ჩვენთან თამაშობდნენ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ "პალერმოში" მათ რაღაც დავაკელით. პასუხისმგებლობა მწვრთნელმაც უნდა აიღოს. მაგალითად, ბარძალი აბსოლუტურად სხვა ფეხბურთს თამაშობს იტალიის ნაკრებში. ჩემი აზრით, გვიდოლინმა ტურინში სწორი ტაქტიკა არ აირჩია. აუცილებელი იყო დაცვის გაძლიერება, როცა ანგარიში ჩვენ მიგვყავდა".*

მაგრამ ძამპარინი იქვე აზუსტებს, რომ გვიდოლინის გაშვება არ სურს, თუმც ხაზს უსვამს, რომ ამ მომენტისთვის "პალერმო" სერია A-ში ყველაზე უსახურ ფეხბურთს თამაშობს. რაც მთავარია, ეს ყველაფერი შედეგებზეც აისახება: "ჩვენს ამჟამინდელ სატურნირო პოზიციას ყურადღებას ნუ მიაქცევთ. შესაძლოა, უცებ მე-17 ადგილზეც აღმოვჩნდეთ და რაც ყველაზე ცუდია, ამ გუნდში ვერ ვხედავ იმის პოტენციალს, რომ ასეთ შემთხვევაში გადარჩენა შევძლოთ. ამ მომენტისთვის, ბოლო ადგილზე მყოფი "კალიარიც" კი ჩვენზე უკეთ თამაშობს და გვიდოლინმა, პირველ რიგში, ამაზე უნდა იკისროს პასუხისმგებლობა. სატრანსფერო პერიოდის დროს ბევრ ჩვენს ფეხბურთელს მთხოვნელთა რიგები ედგა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ტალანტები მრავლად გვყავს. ამიტომ, შედეგიც უნდა გვქონდეს".

ცნობილი გახდა, რომ დღეს ძამპარინი კლუბის ბაზას ეწვევა და "პალერმოს" თითოეულ ფეხბურთელს ცალცალკე დაელაპარაკება. საგულისხმოა, რომ ნოემბერში, სწორედ ამგვარი შეხვედრის შემდეგ, მან კარისკენ მიუთითა მწვრთნელ **სტეფანო კოლანტუონოს** და გვიდოლინი აღაზევა. არადა, წინა დღეს აცხადებდა, კოლანტუონო ხელშეუხებელიაო. ასე რომ, გვიდოლინი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენსია

# ალბელდა სასამართლოთი იმუქრება

## პრეზიდენტი სოლერი მზადაა, ფინანსური უთანხმოება მოლაპარაკების გზით მოაგვაროს



დავიდ ალბელდა

"ვალენსიაში" საინტერესო ამბები ხდება. საქმე ისევ და ისევ გუნდისა და **დავიდ ალბელდას** დაპირისპირებას შეეხება. ყველამ ვიცით, 2007 წლის ნოემბერში "ღამურების" მთავარმა მწვრთნელმა **რონალდ კუმანმა** კაპიტანი პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა. ის გუნდიდან გააგდო... თუმცა ყველაფერს თავისი წესი აქვს. კუმანს მხოლოდ ის შეუძლია, რომელიმე შეგირდი ამა თუ იმ მიზეზის გამო ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდოს. კლუბიდან გაშვებას კი სხვა პროცედურები სჭირდება. ბუნებრივია, ალბელდას "ვალენსიასთან" კონტრაქტი აქვს გაფორმებული. აქამდე დავიდის მენეჯერი ხელშეკრულების უპირობოდ გაწყვეტის ინიციატივით გამოდიოდა. მას იმედი ჰქონდა, რომ ამის შემდეგ ნახევარმცველი რომელიმე ძლიერ კლუბში იოლად მოეწყობოდა. საქმე გაჭიანურდა და ვალენსიელმა თავშესაფარი ვერსად იპოვა. პრეზიდენტმა **ხუან ბაუტისტა სოლერმა** კი დავიდს კონტრაქტი შეუჩერა. კლუბის უმაღლესი ხელისუფალი იმით აპელირებდა, რომ საამისო მოთხოვნით თავად ფეხბურთელმა მიმართა. როგორც ირკვევა, სენიორ სოლერმა ნაჩქარევი ნაბიჯი გადადგა. კონტრაქტის გაწყვეტის ბრძანება მან მეორე მხარესთან საბოლოო დეტალების შეთანხმების გარეშე გამოსცა. ესპანელი ნახევარმცველი პრეზიდენტის ამ მიუტევებელ შეცდომას მისთვის სასიკეთოდ გამოიყენებს...

ორი დღის წინ "ვალენსიის" ბაზაზე ალბელდას ადვოკატები მივიდნენ და სოლერთან შეხვედრა მოითხოვეს. ბატონი ხუან ბაუტისტა იმ დროისთვის სამსახურში არ იმყოფებოდა. იურისტებმა მის თანაშემწეს მოახსენეს, რომ უახლოეს დღეებში სასამართლოში სარჩელს შეიტანენ. ბუნებრივია, სამუშაოზე დაბრუნებულ სოლერს ყველაფერი დაწვრილებით მოახსენეს. ის ძალიან შეწუხდა და დაუყოვნებლივ ალბელდას მენეჯერს დაუკავშირდა. "ღამურების" შეფი მათ მოლაპარაკებას სთავაზობს. მოსალაპარაკებელი მართლაც ძალიან ბევრია. საქმე ის არის, რომ კონტრაქტის თანახმად, მისი გაწყვეტის შემთხვევაში ხელშეკრულების დამრღვევი მხარე ვალდებულია, კომპენსაციის სახით 70 მილიონი ევრო გადაიხადოს. ვთქვათ, დავიდი "ვალენსიიდან" უკითხავად რომ წასულიყო, ან სულაც კარიერა დაესრულებინა, იურიდიული დოკუმენტის იმპერატიული მოთხოვნის საფუძველზე იძულებული გახდებოდა, სწორედ ეს თანხა გადაეხადა. ასევეა, საპირისპირო შემთხვევაშიც. ახლა "ვალენსიის" ხელმძღვანელობას მოუწევს იმისთვის ბრძოლა, რომ კლუბის ბიუჯეტს ეს კოლოსალური თანხა არ მოაკლდეს. ალბელდას იურისტებმა შესანიშნავად იციან, სასამართლო მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას გამოიტანს, თუმცა იმასაც აცნობიერებენ, რომ "ღამურებს" 70 მილიონის გადახდას არ დააკისრებენ. ადვოკატების ვარაუდით, ეს თანხა 18-20 მილიონით განისაზღვრება.

როგორც ჩანს, სოლერს დავის სასამართლომდე მისვლა არ სურს და დავიდს ურჩევს, საკამათო საკითხები მის კაბინეტში, მოლაპარაკების მაგიდასთან გადაწყვიტონ. პრეზიდენტმა პირდაპირ განაცხადა, მირჩევნია ხსენებული სავარაუდო თანხა პირდაპირ გადაგიხადოთ და სასამართლოში არ ვიაროთო. ალბელდამ მოსაფიქრებლად რამდენიმე დღე ითხოვა. მნიშვნელოვანია, მოლაპარაკების დაწყების შემთხვევაში პატივცემული ხუან ბაუტისტა რამდენად ადეკვატური იქნება. თუ რაიმე სახის, თუნდაც უმცირესი დაბრკოლება წარმოიქმნება, ალბელდა პრეზიდენტის კაბინეტის კარს გაიხურავს და მას სასამართლოში შეხვდება.

ჩელსი

# ვან დერ ვაარტი ლონდონს უახლოვდება?

## ბალაკი კმაყოფილია და უფრო მეტის მიღწევას აპირებს

"ჩელსი" რაფაელ ვან დერ ვაარტის ფრონტზე გააქტიურდა. **ავრამ გრანტს** "ჰამბურგის" კაპიტანთან კონტრაქტის გაფორმება სურს. გარიგება ზაფხულისათვის იგეგმება. "არისტოკრატების" ტექნიკური დირექტორი **ფრანკ არნესენი** ვან დერ ვაარტის აგენტს, **სორენ ლერბიუს** დაუკავშირდა და სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა. გასულ უქმეებზე "ლევერკუზენისა" და "ჰამბურგის" მატჩს (1:1) ლონდონელთა ემისარი **რაინერ ბონჰოფი** დაესწრო. შეხვედრის 27-ე წუთზე ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა სეზონის მე-10 გოლი მიითვალა. ის ბუნდესლიგის თანაბომბარდირია. 10 გოლი კიდევ ორ ფეხბურთელს, ბაიერნელ **ლუკა ტონისა** და ვერდერელ **დიეგოს** აქვთ გატანილი. "ჩელსის" გარდა, ვან დერ ვაარტს "ინტერი", "იუვენტუსი" და "ვალენსია" აკვირდებიან. იანვრის ტრანსფერებისას ყველაზე მეტად ტურინული გრანდი აქტიურობდა.

"ჩელსიზე" საუბარს **მიხაელ ბალაკის** კომენტარებით გავაგრძელებთ. გერმანელი ნახევარმცველი კარგ ფორმაშია. ის ყველა მატჩში ძირითად შემადგენლობაში თამაშობს და გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. აი, რა განუცხადა ფეხბურთელმა "სანს": *"ხანგრძლივი ტრავმისას თითქოს ყველას გავიწყებს. გამოჯანმრთელების შემდეგ ყველაფრის დამტკიცება თავიდან გიხდება. არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ძირითად შემადგენლობაში იოლად მოვხვდებოდი. დიდ კლუბში ვთამაშობ. აქ თითოეულ პოზიციაზე სასტიკი კონკურენციაა. მიხარია, რომ ავრამ გრანტი მენდობა, მაგრამ ნდობას გამართლება სჭირდება, რისთვისაც ყოველდღიური შრომაა საჭირო. გამიმართლა, რომ ჩემი დაბრუნებისას "ჩელსი" კარგი ფორმაში იყო. კლუბს ფეხი კარგად ავუწყვე და პრემიის სახით, რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლი გავიტანე. თავს შესანიშნავად ვგრძნობ. დარწმუნებული ვარ, უკეთ თამაშიც შემიძლია."*

"ჩელსის" პრემიერლიგის ლიდერ "არსენალისაგან" რვა ქულა აშორებს. გერმანელ ვარსკვლავს მიაჩნია, რომ სოლიდური ჩამორჩენის მიუხედავად, მის გუნდს ჩემპიონობის შანსი კიდევ აქვს: *"მეჩვენება, რომ "ჩელსის" შესაძლებლობებს ჯეროვნად არ აფასებენ. მხოლოდ "არსენალსა" და "მანჩესტერ იუნაიტედზე" საუბრობენ. ჩვენ კი აუტსაიდერებად მოგვიხსენიებენ. "ჩელსისათვის" აუტსაიდერობა უჩვეულო მდგომარეობაა, მაგრამ შეგვიძლია, დღევანდელი მდგომარეობა ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ. როდესაც ტრავმების გამო რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გამოგვაკლდა, ყველამ იფიქრა, რომ კრიზისი გარდაუვალი იყო. სინამდვილეში კლუბმა წაუგებელი მატჩების შთამბეჭდავი სერია ჩაატარა. "არსენალსა" და "მანჩესტერ იუნაიტედს" შინ ვეთამაშებით. ესეც ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს. წამყვანი ფეხბურთელები მინდორზე ბრუნდებიან. აფრიკის ერთა თასიც დასრულდა. ამ ფონზე "ჩელსის" ჩამოწერა დიდი შეცდომა იქნებოდა."*



რაფაელ ვან დერ ვაარტი შეიძლება ლონდონში გაემგზავროს



ქარიმ ბენზემა და ჰატემ ბენ არფა

მანჩესტერ იუნაიტედი

# 40 მილიონი ლიონს

## საფრანგეთის ჩემპიონები ბენზემასა და ბენ არფას კიდევ ორი წელი არ გაყიდიან...

"მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი **სერ ალექს ფერგიუსონი** "ლიონთან" დიდ გარიგებას გეგმავს. "ეშმაკების" თავკაცმა **ქარიმ ბენზემასა** და **ჰატემ ბენ არფას** ტრანსფერებისათვის 40 მილიონი გირვანქა გაამზადა. ერთ კვირაში ეს კლუბები ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში შეხვდებიან ერთმანეთს. პირველ მატჩში "მანჩესტერი" ესტუმრება "ლიონს". ფრანგი მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ მხარეები ამ შემთხვევით ისარგებლებენ და გარიგების გარკვევას შეეცდებიან. "ლიონის" პრეზიდენტი **ჟან მიშელ ოლა** ტრანსფერებზე მოლაპარაკებების დაწყებას კატეგორიულად გამორიცხავს. მან ჟურნალისტებს მისი და სერ ალექსის სატელეფონო საუბრის დეტალები გაუმხილა: *"სერ ალექსს რამდენიმე დღის წინ ველაპარაკე. დიახ, მან ბენზემასა და ბენ არფას ტრანსფერები ახსენა. მე მას ვუთხარი, რომ ამ ფეხბურთელების გაყიდვას არ ვაპირებთ. არც ახლა და არც მომდევნო ორი წლის განმავლობაში. გვინდა, მათ გარშემო ძლიერი კლუბი გავაკეთოთ. თუმცა არა, "იუნაიტედთან" გარიგება გამორიცხული არ არის. თუ ისინი შემოგვთავაზებენ კრისტიანო რონალდოსა ბენ არფას გაცვლას, სიამოვნებით დაველაპარაკებით. მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ ფულის დამატება მოუხდებათ."*

საეჭვოა, მოსიე ოლას კატეგორიულმა ტონმა ფერგის მადა დაუკარგოს. იანვრის ტრანსფერებისას ბენზემასა და ბენ არფას შეძენაზე ორი ლონდონური კლუბი, "ჩელსი" და "ტოტენჰემი" ფიქრობდა, მაგრამ მათ არ დაუკონკრეტებიათ, თუ რა თანხის გადახდას აპირებდნენ. ბენ არფასი რა მოგახსენოთ, მაგრამ ბენზემა მადრიდის "რეალმაც" მოკითხა. სპეკულაციების თანახმად, სამეფო კლუბი მზად იყო, 20 წლის თავდამსხმელის სანაცვლოდ 35 მილიონი ევრო გადაეხადა. მადრიდელებს ამ საკითხზე ახალი კომენტარები არ გაუკეთებიათ.

"მანჩესტერმა" კი, ამასობაში, საზაფხულო გეგმები გამოამზეურა. 19-26 ივნისს ეშმაკები სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრებიან. ერთკვირიანი ტურნეს განმავლობაში ისინი ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებენ. "იუნაიტედის" მეტოქეები "კაიზერ ჩიფსი" და "ორლანდო პაირეტსი" იქნებიან. მესამე მეტოქის ვინაობა რამდენიმე სამხრეთაფრიკული კლუბის ურთიერთშეხვედრებით გაირკვევა. "მენიუ" სამრეთ აფრიკაში 2006 წლის ზაფხულშიც იმყოფებოდა. ტურნეს მანჩესტერელთა გენერალური სპონსორი "ვოფადონი" სპონსორობს და ტურნირსაც ამ კომპანიის სახელი ჰქვია.

## სპარტაკის ხორვატები

ხორვატი მეკარე **სტიპე პლეტიკოშა** მოსკოვის "სპარტაკთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს. ზუსტად ერთი წლის წინ ხელმოწერილი შეთანხმება 2009 წლის ნოემბერში იწურება. შეთანხმების შემთხვევაში, ის მოსკოვში 2013 წლამდე დარჩება. მოსკოველებმა პლეტიკოშას ორ თანამემამულეს, 20 წლის თავდამსხმელ **ნიკოლა კალინიჩსა** და 22 წლის მარცხენა მცველ **პრვოე ჩალეს** დაადგეს თვალი. კალინიჩი სპლიტის "ჰაიდუკში" ასპარეზობს. ხორვატების თავკაცი **სლავენ ბილიჩი** მის წაყვანას ევროპის ჩემპიონატზეც აპირებს. ჩალე ზაგრების "დინამოს" საკუთრებაა. ორივე ფეხბურთელი ათლეტური აღნაგობისაა. მათი სიმაღლე 181 სანტიმეტრს შეადგენს.

## ლივორნო 20 მილიონად

"ლივორნოს" პრეზიდენტმა **ალდო სპინელიმ** საინტერესო განცხადება გააკეთა. ის მზადაა, კლუბი შელავათიან ფასში გაყიდოს. იტალიის პირველობაზე, 22 ტურის შემდეგ ტოსკანელებმა 22 ქულას მოუყარეს თავი და მე-15 ადგილზე იმყოფებიან. მათ სახიფათო ზონისაგან სამი ქულა ჰყოფთ, თუმცა ერთი თამაში თადარიგში აქვთ. 68 წლის სპინელი კლუბის სანაცვლოდ სულ რაღაც 20 მილიონ ევროს ითხოვს. მას ფეხბურთიდან წასვლა სურს. სენიორ ალდომ იტალიის საფეხბურთო საზოგადოებაში ფეთქებადი ხასიათით გაითქვა სახელი.

არსენალი

# ადებაიორი რეკორდისკენ

ორშაბათს "არსენალმა" მორიგი დაგეგმილი ქულები შემატა აქტივს. მან "ბლექბერნს" ორი უპასუხო გოლით მოუგო. "მეთოფეებმა" "მანჩესტერ იუნაიტედს" ხუთ ქულით გადაუსწრეს. შეგახსენებთ, "მენიუმ" ეს ხუთი ქულა ბოლო ორ ტურში გაანიავა. "მეთოფეთაგან" გოლები **ფილიპ სენდეროსმა** და **ემანუელ ადებაიორმა** გაიტანეს. ტოგოელმა თავდამსხმელმა ზედიზედ მეცხრე შეხვედრაში გამოიჩინა თავი. ის "არსენალის" ლეგენდარული თავდამსხმელის, **იან რაიტის** საკლუბო რეკორდს მიუახლოვდა. თავის დროზე რაიტმა ზედიზედ 12 მატჩში გაიტანა. ადებაიორს მისი მიღწევისაგან სამი მატჩი ლა აშორებს. არსენ ვენგერი: *"ის (ადებაიორი) ჩინებულ ფორმაშია. ყველამ ვიცით, რომ ნამდვილი ბომბარდირია და გოლების გატანა ეხერხება, მაგრამ ემანუელი მხოლოდ საკუთარი თავის გამორჩენისათვის არ თამაშობს. ის გუნდისთვისაც შრომობს და თანაგუნდელებს საქმეს უადვილებს."*

ვენგერმა სიტუაციის ზოგადი ანალიზიც შემოგვთავაზა: *"ამ უქმეებზე ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ წარიმართა. აუცილებლად უნდა მოგვეგო. მიხარია, რომ ამ აუცილებლობის ფაქტორმა ხელი არ შეგვიშალა. წინა ტურში ჩვენ ყველაზე გვიან ვითამაშეთ და მოვიგეთ. ახლაც ასე მოხდა. საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ დასკვნების გამოტანა ნაადრევია. ვითარება, შეიძლება, შეიცვალოს. საკმარისია, ოდნავ მოვეშვათ, რომ მეტოქეები დაუყოვნებლივ ისარგებლებენ. ამის მაგალითი იყო ის, რაც "მანჩესტერს" შეემთხვა. ამიტომ ჩვენსა და დანარჩენს კლუბებს შორის ქულათა სხვაობაზე ყურადღების გამახვილება ზედმეტად მიმაჩნია. ყველაფერი უნდა ვილონოთ იმისათვის, რომ თითოეული მატჩი მოვიგოთ და უპირატესობა გავზარდოთ. ვიცით, რომ შეგვიძლია, მაგრამ მიამიტები არ ვართ და ისიც კარგად მოგვეხსენება, რომ წინ კიდევ არა ერთი სირთული გველის."*



ემანუელ ადებაიორი

რეალი. ტრავმა

# რობინიოს ორი კვირა

## ბრაზილიელ თავდამსხმელს რომაული მატჩი გაუცდება

გუშინ, **რობინიოს** ტრავმის შესახებ მოგახსენებდით. გაჩნდა ეჭვი, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგის პირველ საპლეიოფო ორთაბრძოლამდე ვერ გამოჯანმრთელდებოდა. სამშაბათს რობინიოს **რამონ კალდერონის** კატეგორიული მოთხოვნით მადრიდის ტრავმატოლოგიურ კლინიკაში კომპიუტერული გამოკვლევა ჩაუტარეს. დიაგნოზი **ბერნდ შუსტერისთვის** მეტისმეტად შემაშფოთებელია. "რეალის" ფორვარდს რეაბილიტაციისთვის სულ მცირე 15 დღე დასჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მომავალ სამშაბათს "ოლიმპიკოზე" "რომას" წინააღმდეგ ვერ იასპარეზებს. არადა, გუშინ დილით რობინიო საწოლიდან ჩიტივით წამოფრინდა. იფიქრა, გადავრჩი არაფერი მჭირს და დღესვე ვივარჯიშებო, მაგრამ ბაზაზე მისულს გამოცდილმა **ალფონსო დელ კორალმა** მინდორზე გასვლა აუკრძალა. სამეფო კლუბის მთავარმა ექიმმა სამხრეთამერიკელი უმალ კლინიკაში გააქანა. მას ბარძაყის მეორე კუნთი უმნიშვნელოდ გაუწყდა. ექიმები ამბობენ, რომ ფეხბურთელებისთვის ეს ძალიან იშვიათი ტრავმაა. მსგავსი რამ ძირითადად ტანმოვარჯიშეებს ემართებათ. ტრავმატოლოგიურ კლინიკაში პაციენტს მკურნალობის რეჟიმი გააცნეს.



რობინიოს ორკვირიანი შვებულება გამოუწერეს

დელ კორალმა გადაწყვიტა, რომ რობინიოს რეაბილიტაცია მთლიანად კლინიკის მედიკოსებს მიანდოს: "გულწრფელად ვიტყვი, ჩემს პრაქტიკაში ასეთ ტრავმასთან საქმე არ მქონია. ზოგადი სამედიცინო განათლება საშუალებას მაძლევს, კარგად გავერკვე სიტუაციაში, მაგრამ თავს უფლებას ვერ მივცემ, რომ ბრაზილიელის მკურნალობა მე წარვმართო. უმჯობესია, ამ საქმეს ვიწრო სპეციალობის მქონე პროფესიონალებმა მოკიდონ ხელი. ჩვენი ფეხბურთელი მათ მითითებებს უსიტყვოდ დაემორჩილება. რამდენჯერაც საჭირო იქნება, კლინიკაში იმდენჯერ მივა. შესაძლოა, აკვათერაპიის კურსიც ჩაუტარონ. რა თქმა უნდა, უსაშველო და საგანგაშო არაფერია. უბრალოდ, ცუდი ის გახლავთ, რომ "რეალის" ფორვარდმა ტრავმა ძალიან საპასუხისმგებლო შეხვედრის წინ მიიღო. ჩემპიონთა ლიგას ჩვენი გუნდი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება. სამწუხაროდ, მომიწევს იმის აღიარება, რომ რობინიო რომში ვერ ითამაშებს. კლინიკაში კოლეგებმა მითხრეს, საუკეთესო შემთხვევაში ვარჯიშს 15 დღის შემდეგ განაახლებსო. "ოლიმპიკოზე" კი ზუსტად ერთ კვირაშია თამაში. ბერნდ შუსტერს ყველაფერი მოვუყევით. ის ძალიან შეწუხდა, მაგრამ ვერაფერს გავაწყობთ. რობინიოს ახლა დრო სჭირდება. დიახ, დრო და სხვა არაფერი."

მოგვიანებით ჟურნალისტებს თავად რობინიოც გაესაუბრა: "ამ დილით ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ საქმე ამდენად რთულად იყო. საწოლიდან ისე წამოვდექი, თითქოს ტრავმა საერთოდ არ მქონდა. სადარბაზოში გამოსულსღა გამახსენდა, რომ "ვალიადოლიდთან" მატჩში დავშავდი. თქვენ გგონიათ, ეს ფაქტი ტკივილმა გამახსენა? არამც და არამც, უბრალოდ, ჩავფიქრდი და თავში ტრავმა ამომიტივტივდა. გული მტკივა, რომ "რომასთან" ბიჭებს ვერ დავეხმარები. ვინც მიცნობს, ყველამ იცის, ფეხბურთის თამაშის გარეშე ბედნიერი ვერ ვიქნები. მით უმეტეს, მაშინ, როცა საკითხი პრინციპულ დაპირისპირებას შეეხება. რა გაეწყობა, ბედს უნდა შევეგუო. დარწმუნებული ვარ, სამეფო კლუბი იტალიაში უჩემოდაც ღირსეულად იასპარეზებს და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად მნიშვნელოვნად წაიწევს წინ. მიუხედავად ყველაფრისა, მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ."

ესპანეთის ნაკრები

# მორიგი შეტევა არაგონესზე

## მოხუცი მწვრთნელი ყველას ურჩევს, თავის საქმეს მიხედონ, ის რაულისა და გუტის საკითხს მხოლოდ საკუთარი შეხედულებებისამებრ გადაწყვეტს...

გასულ კვირას, "რეალმა" "ვალიადოლიდს" წირვა გამოუყვანა. სამეფო კლუბის დიდი ანგარიშით (7:0) გამარჯვებაში **რაულმა** და **გუტიმ** უდიდესი წვლილი შეიტანეს. თავად განსაჯეთ, გონსალეს ბლანკომ და ხოსე მარიამ დუბლები შეასრულეს. ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ორივე ფეხბურთელი ფანტასტიკურ ფორმაშია. როგორც მოსალოდნელი იყო, სამეფო კლუბის ვარსკვლავების თამაშით მოხიბლულმა გულშემატკივრებმა, სპეციალისტებმა, მიმომხილველებმა და სატელევიზიო კომენტატორებმა **ლუის არაგონესის** საწინააღმდეგო მოძრაობა ახალი ენერგიით წამოიწყეს. რა თქმა უნდა, ხვდებით, რომ საქმე რაულისა და გუტის ესპანეთის ეროვნულ გუნდში გამოძახების მოთხოვნას შეეხება. მოგეხსენებათ, არაგონესი მათ სამსახურზე ჯიუტად ამბობს უარს. მასმედია აქამდე სოციოლოგიურ კვლევებს ატარებდა და ნიშნის მოგებით წერდა, რომ "სელექსიონის" ინჩასების 97 პროცენტი ამ ბიჭების ნაკრებში თამაშს ითხოვს. სენიორ ლუისმა ეს გარემოებაც არ გაითვალისწინა და 6 თებერვალს გუნდი კვლავ რაულისა და გუტის გარეშე ათამაშა.

თითქოს, დაპირისპირებამ აბსოლუტურად უაზრო ხასიათი შეიძინა, მაგრამ პრესა მაინც არ ცხრება. ამჯერად პირენეელმა ჟურნალისტებმა ტაქტიკა შეცვალეს. ისედაც ცხადია, რომ გულშემატკივრებს "რეალის" ვარსკვლავების "სელექსიონის" შემადგენლობაში ხილვა სურთ. ამიტომ, ჩვენმა კოლეგებმა გადაწყვიტეს, საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი და პატივსაცემი ადამიანების საშუალებით არაგონესის საწინააღმდეგო განწყობა შექმნან. ამ გზით იმედოვნებენ, რომ ასაკოვანი მწვრთნელი დაძაბულობას ვერ გაუძლებს, გატყდება და მადრიდელებს დაუძახებს.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ესპანურმა პრესამ პირი შეკრა. ყოველ შემთხვევაში, გუშინ არ დარჩენილა ერთი რეგიონული გაზეთიც კი, სადაც რაულისა და გუტის ეროვნულ გუნდში გამოძახების აუცილებლობაზე ვრცელი სტატია არ დაწერილა. საგულისხმოა, რომ აბსოლუტურად ყველა გამოცემაში ცნობილი ადამიანების განცხადებები დაიბეჭდა. ვის მოსაზრებას არ წაიკითხავდით. არჩევანი მართლაც ძალიან დიდი იყო - ესპანეთის პრემიერ-მინისტრი **ხოსე ლუის როდრიგეს საპატერო**, მეფე **ხუან კარლოს II**, ოპოზიციური პარტიის, "პარტიდო პოპულარის" ლიდერი **მარიანო რახოი**, სახელგანთქმული ტენორები, **ხოსე კარერასი** და **პლასიდო დომინგო**, თვით **პედრო ალმოდოვარიც** კი... ძალიან ძნელია, ყველა გვარი ჩამოვთვალოთ, უბრალოდ, უნდა დაგვიჯეროთ, რომ "რეალის" ვარსკვლავების ნაკრებში თამაშს საზოგადოების აბსოლუტურად ყველა ფენის წარმომადგენელი ითხოვს.

რატომღაც ფეხბურთელები კარიერის უმეტეს დროს ნეიტრალური პოზიციის დაფიქსირებაში ატარებენ. ძალიან იშვიათად ხდება, საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით რომელიმე მოთამაშე გამოვიდეს და საკუთარი პრინციპული მოზიცია გამოხატოს. თუ მწვრთნელი ცუდად მუშაობს, ხმას არ იღებენ და მის კრიტიკას მხოლოდ მაშინ, იწყებენ, როცა თანამდებობიდან გადააყენებენ. თუ გუნდის დამრიგებელი საკადრო პოლიტიკას აშკარად შეცდომით წარმართავს, აცხადებენ ეს ჩემი საქმე არ არის და ჯობია, თავად მწვრთნელს ჰკითხოთო. სრულიად მოულოდნელად, გუშინ **იკერ კასილიასმა** თამამი ნაბიჯი გადადგა და ფეხბურთელებში გამეფებულ კომფორტულ ნეიტრალიტეტს ზურგი შეაქცია. აი, რა განაცხადა სამეფო კლუბის მეკარემ: "წარმოდგენა არ მაქვს, რა უნდა გააკეთონ რაულმა და გუტიმ იმაზე მეტი, რათა "სელექსიონში" თამაში ეღირსოთ?! შთაბეჭდილება მექმნება, რომ მოჯადოებულ, დაწყევლილ წრეში ვცხოვრობთ. ასეთ ფეხბურთელებზე უამრავი ქვეყანა ოცნებობს და ათწლეულები ისე გადის, ნატვრას ვერ ისრულებენ. ჩვენ კი გენიალური ბიჭების შესაძლებლობებს არ ვიყენებთ. კარგად მესმის, შემადგენლობის დაკომპლექტება მთავარი მწვრთნელის საქმეა. ღმერთმა დამიფაროს, მის კომპეტენციაში შევიჭრა. პრინციპში, ეს შეუძლებელიცაა. მე ხომ არ გამოვიძახებ ვინმეს, ან ძირითად შემადგენლობას ხომ არ დავაკომპლექტებ? ასე რომ, სრული უფლება მაქვს საკუთარი მოსაზრება დაუფარავად გამოვხატო. ჩემი აზრით, რაულისა და გუტის ნაკრებიდან მოკვეთა უდიდესი შეცდომაა. შეცდომა, რომელიც "სელექსიონს" შეიძლება, ძალიან ძვირად დაუჯდეს. ვერ გეტყვით, რას ფიქრობს არაგონესი, მაგრამ მე რომ მის ადგილზე ვიყო, წამითაც არ დავფიქრდებოდი და ესპანეთის საუკეთესო ორ ფეხბურთელს ესპანეთის ნაკრებში ვათამაშებდი. ვფიქრობ, რაული და გუტი უდიდესი უსამართლობის მსხვერპლნი არიან."

"დიარიო ასის" ცნობით, **იკერ კასილიასი** სამეფო კლუბის ბაზაზე გმირივით მიიღეს. ცნობილია, რომ **რამონ კალდერონი** და **პრედრაგ მიატოვიჩი** არაგონესს ყოველთვის დაუფარავად აკრიტიკებდნენ. პრეზიდენტმა გასულ წელს ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელს ულტიმატუმიც კი წაუყენა, თუ რაულს არ გამოიძახებ, ფედერაციას დანიასთან საშინაო შეხვედრის "სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩატარების უფლებას არ მივცემთო. მაშინ საქმეში სამეფო კარი ჩაერია და კალდერონმა უკან დაიხია. ერთი სიტყვით, "რეალის" უმაღლესი ხელისუფალი არაგონესის დაუძინებელ მტრად ჩამოყალიბდა და რა გასაკვირია, რომ მის წინააღმდეგ ხმის ამომღები კასილიასი მართლაც გმირივით მიიღო. მადლიერებას თავად რაული და გუტიც გამოხატავდნენ. "დიარიო ასს" ხოსე მარია მოკლე განცხადებაზეც კი დათანხმდა: "იკერი გულიანი ბიჭია. ითმინა, ითმინა და უსამართლობა ყელში ამოუვიდა. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. არ მინდა, არაგონესის მისამართით უხეში სიტყვები დავხარჯო. უბრალოდ, ამ კაცის სიჯიუტე მაოცებს. თავს არ ვიქებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ნაკრებში თამაშს, დიდი ხანია, ვიმსახურებ. რაულზე საერთოდ არაფერს ვამბობ. ის ხომ ნამდვილი გენიოსია."

საოცარია, მაგრამ სენიორ ლუისმა ამ მასშტაბური პროპაგანდის შემდეგაც არ დაიხია უკან. პირიქით, ბებერი მწვრთნელი კიდევ უფრო გაბრაზდა და ასეთი რამ თქვა: "კასილიასის საქმე კარის დაცვაა. ის უძლიერესი მეკარეა და დიდ პატივს ვცემ, თუმცა თუ ყბედობა გაიტაცებს, გოლებს გაუშვებს. ძალიან დავიღალე. თავი დამანებეთ. ესპანეთის მთავარი მწვრთნელი ვარ და შედეგებზე მხოლოდ მე ვაგებ პასუხს. საპატერომ მინისტრთა კაბინეტს უნდა მიხედოს. რა თქმა უნდა, მას აქვს უფლება, რაულისა და გუტის ნაკრებში თამაში ისურვოს, მაგრამ მთავრობის პრეზიდენტის სურვილი ოდნავადაც არ მავალდებულებს, რომ საკუთარ შეხედულებებს ვუღალატო. გუტი ჩემს სიაში ბოლოდან მეორე ადგილზეა. მის წინ კი 7-8 ფეხბურთელია. თუ ისინი ტრავმას მიიღებენ, ან "სელექსიონში" თამაშზე რაიმე მიზეზით უარს იტყვიან, რა თქმა უნდა, გუტის ვუხმობ. სხვა შანსი უბრალოდ, არ არსებობს. მას საუკეთესოდ ნამდვილად არ მივიჩნევ. ასე რომ, იდიოტი უნდა ვიყო, აჟიოტაჟის გამო შევდრკე, პოპულისტური ნაბიჯი გადავდგა და ღირსეულის ხარჯზე გუტი ვათამაშო. ეს გამორიცხულია."




რაულ გონსალესი ჩინებულ ფორმაშია, მაგრამ არაგონესი მაინც ჯიუტობს




### არის ახალი მწვრთნელი: ფონ ჰეეზენი!

**ჰანს მაიერის** გათავისუფლების შემდეგ ორი დღეც არ გასულა (ჰანსი ოფიციალურად ორშაბათს დაიფრინეს) და "ნიურნბერგმა" უკვე წარადგინა ის სპეციალისტი, რომელიც გერმანიის თასის მფლობელს უთავკაცებს. როგორც მოსალოდნელი გახლდათ, ფრანკების დამრიგებლად ბილეფელდის "არმინიის" ყოფილი მწვრთნელი **თომას ფონ ჰეეზენი** დაინიშნა. 46 წლის სპეციალისტმა "ნიურნბერგთან" კონტრაქტი 2009 წლამდე გააფორმა და ხელშეკრულება მეორე ბუნდესლიგაზეც ვრცელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალი მწვრთნელი გუნდს საჭიროების შემთხვევაში მეორე ლიგაშიც ჩაჰყვება. ფონ ჰეეზენის დებიუტი ხვალ, უეფას თასის მატჩში შედგება (ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ფრანკები ამ ტურნირზე ასპარეზობენ?), სადაც "ნიურნბერგი" ლისაბონის "ბენფიკას" სტუმრობს.

ფონ ჰეეზენი გუშინ "ნიურნბერგის" პრეზიდენტმა **მიხაელ ა. როთმა** და სპორტულმა დირექტორმა **მარტინ ბადერმა** წარადგინეს. პრეზიდენტის თქმით, მაიერის გათავისუფლება არა მან ან რომელიმე ხელმძღვანელმა, არამედ მთლიანად პრეზიდიუმმა კვირას გადაწყვიტა. მეორე დღეს კი ფრანკების შეფებმა უკვე ფონ ჰეეზენთან გამართეს მოლაპარაკებები, რომელიც ამ წინადადებას უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდა და შეთავაზებას მაშინვე დათანხმდა.

თომას ფონ ჰეეზენი ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ "არმინიის" დამრიგებელი გახლდათ. მისი თქმით, "ნიურნბერგის" მწვრთნელობა "უდიდესი გამოწვევაა", რომელსაც ის "დიდი სიამოვნებით იღებს". ახალი მწვრთნელი იმასაც აღნიშნავს, რომ მას მეხანძრის როლის შესრულება ნაკლებად ძალუძს და რომ უფრო ისეთი სპეციალისტია, რომელიც კონცეპტუალურ სამუშაოს აწარმოებს. მისი უპირველესი მიზანი კლუბის მეორე ბუნდესლიგაში გავარდნისგან ხსნაა...

### იუვენტუსი: დიახ, კაპელი...

"იუვენტუსმა" დაადასტურა ინფორმაცია სევილიელი ნახევარმცველით, **დიეგო კაპელით** დაინტერესების შესახებ. ცნობა პირველად ესპანურმა სააგენტოებმა დაახლოებით ერთი თვის წინათ გაავრცელეს. ანდალუსიელებმა იანვარში ფეხბურთელის გაყიდვისგან თავი შეიკავეს. სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში, ისინი მზად არიან, ტრანსფერის საკითხი სეზონის ბოლოს განიხილონ. ტურინელები ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ვარსკვლავს **პაველ ნედვედის** შემცვლელად მოიაზრებენ. კაპელს სევილიასთან კონტრაქტი 2011 წელს უმთავრდება. ის 11 მილიონი ევრო ღირს, მაგრამ, როგორც კი ფეხბურთელი სევილიელთა შემადგენლობაში 40 მატჩს ჩაატარებს, მისი ფასი ავტომატურად 15 მილიონამდე აიწევს.

### ბაიერნმა ავსტრალიელს გახედა

"ბაიერნს" ახალგაზრდა ნახევარმცველის, **დევიდ კერნის** შეძენა სურს. ამ ინფორმაციას "დეილი მირორი" ავრცელებს. 23 წლის კერნი ავსტრალიის ნაკრების წევრია. ამჟამად ის ინგლისურ "შეფილდ იუნაიტედში" გამოდის. მირორის ცნობით, "ბაიერნი" მზადაა, სეზონის დასრულებისთანავე 2.6 მილიონი ევრო გადაიხადოს. უცნაური ისაა, რომ იანვრის ტრანსფერებისას "შეფილდს" ბელგიური "ანდერლეხტი" დაუკავშირდა და ფეხბურთელში 3.7 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო.

ბაიერნი

# საით, შვაინი?

## რუმენიგე კონტრაქტის გაგრძელების მომხრეა


ეროვნული ბიბლიოთეკა

შვაინის მომავალი ჯერჯერობით ბურუსითაა მოცული

პირველადგილოსანი მეორეადგილოსნის წინააღმდეგ - ასეთი თამაშები, არა თუ გერმანიაში, ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში დაძაბულია და არცაა გასაკვირი, "ბაიერნის" ფრანგი ნახევარმცველი **ფრანკ რიბერი** ძალიან იმედგაცრუებული რომ იყო იმით, რომ გერმანიის ჩემპიონატის ცენტრალურ შეხვედრაში ვერ ითამაშა. აქვე შეგახსენებთ, რომ რიბერი რეკორდმაისტერს ვერც მომდევნო ორ შეხვედრაში დაეხმარება - არც "აბერდინთან" იასპარეზებს და არც ჰანოვერში. ფრანგი 10 დღეში გამოჯანმრთელდება და "აბერდინთან" საპასუხო მატჩისთვის უკვე სრულ მზადყოფნაში იქნება.

მიუნხენურმა კლუბმა მიმდინარე სეზონში ფრანგი ვარსკვლავის გარეშე უკვე მეოთხე თამაში ჩაატარა. მიუნხენელთა მთავარმა მწვრთნელმა **ოტმარ ჰიტცფელდმა** რიბერის **ბასტიან შვაინშტაიგერით** შეცვლა უკვე მეოთხედ სცადა. ასე იყო დორტმუნდში (0:0), მიონხენგლადბახის "ბორუსიასთან" (თასზე, 3:1) და ბელგრადშიც (უეფას თასზე, 3:2). აღსანიშნავია, რომ შვაინშტაიგერმა იმედები ვერცერთ მატჩში ვერ გაამართლა. თავად განსაჯეთ, გერმანიის ნაკრების ნახევარმცველის შეფასებების მონაგარი (კიკერის ვერსიით) ასეთია: 4.5, 4, 4, 4. მართალია, ბასტიანმა ბრემენულ კლუბთან შედარებით კარგად იასპარეზა და მაგალითად, ერთ მომენტში **მიროსლავ კლოზეს** ბურთი შესანიშნავად ჩაუწოდა, მაგრამ საერთო ჯამში, მისი თამაში დადებითად ვერ შეფასდება.

*"ცხადია, რიბერის არყოფნა ძალიან დაგვეტყო,"* - განაცხადა ბავარიული გრანდის გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** ნამატჩევს, - *"მაგრამ ეს არცაა გასაკვირი, რადგან ჩვენ რიბერის სანაცვლოდ დიდი ფული გადავიხადეთ და გუნდს ასეთი ძვირფასი ფეხბურთელის არყოფნა უნდა ეტყობოდეს."*

შვაინშტაიგერის მომავალი კი ბურუსითაა მოცული. ისევე, როგორც **ფილიპ ლამს**, რომლის კონტრაქტს ვადა 2009 წელს ეწურება, ახალი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ წინადადება არც შვაინშტაიგერს მიუღია. განსხვავება იმაშია, რომ "ბაიერნის" ბოსები ლამს უკვე ესაუბრენ და ჰიონესი ამას ასე ხსნის: *"ფილიპის შესაძლებლობებში 100 პროცენტით დარწმუნებულები ვართ!"* რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით შვაინშტაიგერზე, რომლისგანაც ჰიონესი და ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** პროგრესს ელიან, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. იმ შემთხვევაში, თუ შვაინშტაიგერი ძველებურ ფორმას ვერ დაიბრუნებს და ევროპის ჩემპიონატის ჩათვლით ისე ითამაშებს, როგორც 2006 წლის მუნდიალის შემდეგ თამაშობს, მაშინ "ბაიერნის" ხელმძღვანელები სერიოზულად იფიქრებენ იმაზე, რომ ზაფხულში შვაინი გაყიდონ. ასე FCB მის სანაცვლოდ გარკვეულ თანხას მაინც მიიღებს. გაისად კი, ბასტიანს კონტრაქტი უმთავრდება და თუ ახლავე არ გაუშვეს და არც კონტრაქტი გაუგრძელეს, 2009 წლის ზაფხულში რეკორდმაისტერს უფასოდ დატოვებს. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან (და ამის შესახებ ადრეც გაცნობეთ), შვაინშტაიგერით "სევილიაა" დაინტერესებული და "კიკერის" ცნობით, ანდალუსიელებმა ბავარიელებთან პირველი მოლაპარაკება უკვე გამართეს.

"ბაიერნს" შვაინშტაიგერი არ ეთმობა, მაგრამ თუკი დარჩება, სად უნდა ათამაშონ? მარჯვენა ფლანგზე ვერ გაამართლა - თვითონაც ამბობს, ეს ჩემი ადგილი არ ყოფილა, უბრალოდ ვერაფერს ვახერხებო. მარცხენა ფლანგზე კი რიბერი შეუცვლელია! რჩება ნახევარდაცვის ცენტრი, მაგრამ აქ მისი კონკურენტები **მარკ ვან ბომელი** და **ზე რობერტო** არიან, რომლებიც თავიანთ საქმეს ჯერჯერობით თითქმის იდეალურად აკეთებენ. რაც შეეხება შემტევი ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციას, აქ "ბაიერნს" **სოსა** და **კროოსი** ჰყავს, მომავალი სეზონიდან კი **ტიმ ბოროვსკიც** ეყოლება. და ცხადია, რომ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრისთვის ყველა მათგანი თავდაუზოგავად იბრძოლებს.

და აი, გუშინ რუმენიგემ შვაინშტაიგერთან დაკავშირებით ასეთი განცხადება გააკეთა: *"ჩვენ პირველ რიგში იმით ვართ დაინტერესებულები, რომ შვაინი "ბაიერნს" გამოადგეს, აქ დარჩეს და დიდი ფეხბურთი ჩვენი გუნდის მაისურით ითამაშოს. ცხადია, დადგება ის მომენტიც, როცა ბასტიან მისი მომავლის შესახებ დაველაპარაკებით,"* - განუცხადა კალემ "მიუნხენერ თაგესცაითუნგს". შეგახსენებთ, რომ 23 წლის შვაინი "ბაიერნში" 1998 წლიდან ირიცხება...

**გოტფრიდ ლენცი**



თომას დოლს კვლავ მძიმე დროება უდგას

დორტმუნდი

# ბორუსია: ისევ გავარდნის საფრთხე!

## დრონი მეფობენ: BVB-ს კოტბუსისაც ეშინია...

დორტმუნდის "ბორუსიაში" კვლავ განგაშის ზარებს შემოჰკრეს. საკუთარ მოედანზე "შალკესთან" განცდილი მარცხის შემდეგ, BVB-ში ისეთი განწყობაა, თითქოს მსოფლიოს აღსასრულის დღე ახლოვდება. ვინ მოთვლის, უკვე მერამდენე სეზონია, რაც დორტმუნდს ძალიან უჭირს, არადა, თითქოს ამჯერად მაინც ყველაფერი წესრიგში უნდა ყოფილიყო, თითქოს ვესტფალიელებს ახლა მაინც უნდა ებრძოლათ მინიმუმ უეფას თასის, მაქსიმუმ კი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის. და უკვე მერამდენედ ხდება ისე, რომ ამბიციურ "ბორუსიას" ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის უხდება ბრძოლა. მოკლედ, რურის დიდი დერბის წაგების შემდეგ BVB-ს ისევ შავად აქვს საქმე.

*"გულახდილად გეტყვით, უახლოესი მომავლის პერსპექტივაში მე შავ ფერს უფრო ვხედავ, ვიდრე ყვითელს,"* - რიტორიკულად საუბრობს **მლადენ პეტრიჩი**. დორტმუნდელთა ხორვატი ლიდერი სრულ სიმართლეს ამბობს, რადგან "ბორუსიას" გასავარდნ ზონას მხოლოდ 6 ქულა აშორებს. BVB-მ "შალკესთან" მედგრად იბრძოლა და დერბიში სხვა რამ არც იყო მოსალოდნელი, მაგრამ თვალნათლივ გამოჩნდა, რომ გელზენკირხენული კლუბი "ბორუსიაზე" მინიმუმ ერთი თავით მაღლა დგას და ვესტფალიელთათვის ორმაგად სამწუხაროა ის, რომ "შალკემ" დერბი კლასის ხარჯზე მოიგო. **თომას დოლის** გუნდის ნომერ პირველი პრობლემა კვლავ დაცვის ხაზია. და ასეთი დაცვით "ბორუსიას" ისეთი უსუსური გუნდის დამარცხებაც კი გაუჭირდება, როგორიც "კოტბუსია" (BVB ბუნდესლიგის მომდევნო ტურში სწორედ "ენერგის" ხვდება).

*"ინდივიდუალური შეცდომები მთელი სეზონის განმავლობაში მოგვყვება. უკვე 39 გოლი გავუშვით - ეს ძალიან ბევრია, უზომოდ ბევრი,"* - წუხს დოლი. რა აღარ სცადა: თავიდან **კოვაჩი-ვიორნსის** დუეტს ათამაშებდა, მერე კოვაჩი **ბრჟენსკათი** შეცვალა, ამის შემდეგ, იანვარში, "ბაიერნიდან" **მატს ჰუმელსი** ინათხოვრა, ახლა კი, ძირითად შემადგენლობაში სულაც **მარტინ ამედიკისა** და კოვაჩის დუეტს ათამაშებს - აქაოდა, ეს ფეხბურთელები მოსამზადებელ შეკრებაზე ძალიან კარგად გამოიყურებოდნენო. შესაძლოა, ასეც იყო, მაგრამ ფაქტია, რომ "ბორუსიამ" ამ დაცვით მეორე წრეში ვერცერთი თამაში ვერ მოიგო და მეტიც, ორ შეხვედრაში სულაც 6 გოლი გაუშვა. არადა, მწვრთნელმა უკვე თითქმის ყველა ვარიანტი მოსინჯა. ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ BVB-ს ჯერ პირველი მეკარე **რომან ვაიდენფელერი** დაუშავდა, ახლა კი მეორე კიპერმა **მარკ ციგლერმაც** ტრავმა მიიღო. "შალკესთან" მ: რცხენა მცველი **დედე** გააძევეს, რომელსაც გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიამ ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. დაშავდა არგენტინელი **დიეგო კლიმოვიჩიც** და სავარაუდოდ 3 კვირას დაისვენებს. მოკლედ, დოლს პრობლემები არ ელევა და ამ ყველაფრიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ნუთუ თომასი დაწყევლილია? საკმარისია, გავიხსენოთ ყველაფერი ის, რაც ამ სპეციალისტმა "ჰამბურგში" გადაიტანა, რომ ძალიან შეგვეცოდება.

*"ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ. "კოტბუსი" მებრძოლი გუნდია და თუ არაფერი ვიღონეთ, გაგვიჭირდება,"* - წუხს პეტრიჩი და იქვე ასკვნის, - *"ეჭვი არ მეპარება, ჩვენ გვაქვს იმის პოტენციალი, რომ სერიოზული საფრთხის წინაშე არ აღმოვჩნდეთ."*

რა დრო დაუდგა "დორტმუნდს" - თავმოყვარე გუნდს რომ "კოტბუსის" შეეშინდება...

**გოტფრიდ ლენცი**

54 წლის შემდეგ...

# კალმუნდმა მამის საფლავი ვიეტნამში იპოვნა!



რაინერ კალმუნდს ხომ კარგად იცნობთ? ლევერკუზენის "ბაიერის" ყოფილი XXL ბოსი ყოველთვის ჩინებულ ხასიათზეა, შეძლებისდაგვარად ბევრს ხუმრობს და ნებისმიერ დროს შეუძლია ისეთი განცხადების გაკეთება, რაც მსმენელს გაახალისებს - ტიპაჟია ასეთი. მაგრამ ყველასათვის საყვარელი კალი სხვანაირიცაა და "ბილდის" კორესპონდენტებმა სწორედ ახლა გაიგეს, თუ როგორია კალმუნდი იმ დროს, როცა რაღაცაზე დარდობს, რაღაცას მისტირის. ხსენებული გამოცემის ჟურნალისტები რაინერს ვიეტნამში, მამის საფლავის საძებნელად გაჰყვნენ...

სასაფლაო, სადაც რაინერმა მამის საფლავი უნდა ეძებოს, გარედან თითქმის შეუმჩნეველია. საუბარია დაბა ბაკ ნინის მიტოვებულ სასაფლაოზე. ეს დაბა ვიეტნამის დედაქალაქ ჰანოიდან 30 კილომეტრში მდებარეობს. ლეგენდარული მენეჯერი ტირის. თვალები აწითლებული აქვს და ნამდვილად არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ასეთი **კალმუნდი** აქამდე არავის უნახავს.

სასაფლაო მისი მშობლიური სახლიდან 9 500 კილომეტრშია. მას მერე, რაც გაიგო, რომ მამამისი დაიღუპა, თითქმის 54 წელია გასული და კალმუნდების ოჯახმა ოჯახის უფროსის საფლავს მხოლოდ დღეს მიაგნო. *"ყველაზე ცუდი ის არის, რომ მამაჩემი სახლიდან ასე მოშორებით და რაც ყველაზე მტკივნეულია, უაზროდ მოკვდა,"* - ამბობს თვალცრემლიანი, ნაღვლიანი კალი. მე-12 სექტორი, მე-7 რიგი, ადგილი B10 - აქ განისვენებს **კარლ კალმუნდი**, რომელიც სიცოცხლეში შვილზე არანაკლები გაბარიტებისა ყოფილა.

*"აქ ვარ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დედაჩემის (ანელორე, გარდაიცვალა 2000 წელს) თხოვნა შევასრულე და მამის საფლავი ვიპოვნე,"* - ამბობს კალმუნდი და ვიეტნამურ სანთლებს ანთებს, თან "დიდ ბოსს" ხელები უკანკალებს, შუბლზე ოფლის წვეთები აჩნევია და მისი მზერა სიცარიელისკენაა მიმართული, - *"მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს მივაგენი ადგილს, სადაც მამაჩემი განისვენებს. მართალია, მისი გარდაცვალებიდან 54 წელია გასული, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ბოლო დროს მამის საფლავის პოვნის სურვილი უფრო და უფრო მძლიერდებოდა. ამ მხრივ დედის წინაშეც ვალი მქონდა მოსახდელი."* შავებში ჩაცმული კალმუნდი მამის საფლავთან დგას და ბავშვობას იხსენებს.

კარლ კალმუნდი 1927 წელს, რაინლანდში დაიბადა და 1954 წლის 15 ივლისს, ვიეტნამში ინდო-ჩინეთის ომში დაიღუპა. არადა, 4 დღის შემდეგ საომარი მოქმედებები შეჩერდა, რადგან ჟენევაში ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომლის თანახმადაც ომი უნდა შეწყვეტილიყო და მართლაც, ტყვია აღარ გავარდნილა. რა უნდოდა კალმუნდის მამას ინდო-ჩინეთის ომში? კარგი კითხვაა. საქმე ის გახლავთ, რომ კარლი საფრანგეთის დროშის ქვეშ, ლეგიონერის რანგში იბრძოდა. ამიტომაცაა, რაინერი რომ ამბობს, მამაჩემი აბსოლუტურად უაზროდ დაიღუპაო.

*"გადმოცემით ვიცი, რომ მამაჩემი ექსტრემალური ადამიანი იყო. ბევრს მუშაობდა, მაგრამ ხეირიანადაც ერთობოდა. 1952 წელს ჩვენს ოჯახში სკანდალი მოხდა, რის შემდეგაც მამამ სახლი დატოვა და ლეგიონს მიაშურა. შემიძლია გითხრათ, რომ მას მერე მხოლოდ ერთხელ ვნახე. დღემდე არ ვიცი, რა მოხდა მაშინ ჩვენს ოჯახში და რატომ წავიდა მამა ლეგიონში. ეს საიდუმლო დედაჩემმაც საფლავში ჩაიტანა, არასდროს არაფერი მოუყოლია, რადგან არ უნდოდა, რომ ამაზე მეფიქრა. მას მერე, რაც ლეგიონში ჩაეწერა, მამაჩემმა სამხედრო განათლება ალჟირში მიიღო. მერე კი, გემით ვიეტნამისკენ აიღო გეზი, სადაც ომში ჩაება. დარწმუნებული ვარ, ხშირად ფიქრობდა, ნეტა ახლა ჩემი მეუღლე და შვილი რას აკეთებენო. როცა დედამ მითხრა, მამა დაიღუპაო, გონება დავკარგე - ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე მტკივნეული დღეა, მაგრამ დედაჩემისა და მიმინაცვლის მადლობელი ვარ. მიუხედავად ყველაფრისა, მათ ძალიან ლამაზი ბავშვობა მაჩუქეს,"* - ყვება კალმუნდი.

რაინერმა მამის საფლავს მეგობრის დახმარებით მიაგნო. **გერიტ ნიჰაუსმა** ის ჰანოიში განთავსებული გერმანიის საელჩოს კონსულ **როლფ შულცესთან** დააკავშირა, რომელმაც ყველა ღონე იხმარა იმისათვის, რომ კარლ კალმუნდის საფლავისთვის მიეკვლია. საფრანგეთის თავდაცვის სამინისტრომ რაინერს კარლის საფლავის ზუსტი ადგილის შესახებ ცოტა ხნის წინათ ფაქსით აცნობა.

კალმუნდი მამის საფლავთან - ბოლო სიტყვები: *"ყოველთვის ძალიან მაკლდი. თუკი ეს ასე უნდა ყოფილიყო, თუკი შენი ცხოვრება აქ, სახლიდან ასე შორს უნდა დაგესრულებინა, მშვიდად იძინე!"* ისევ ცრემლები და XXL რაინერის ახლა უკვე კმაყოფილი სახე. მან იპოვა ის, რასაც 54 წელი ეძებდა...

**გოტფრიდ ლენცი**

იუბილე. რინუს მიხელსი 80

# საუკეთესო საუკეთესოთა შორის

## მან მსოფლიოს სხვა ფეხბურთი აჩუქა

სულ რამდენიმე დღის წინათ, 9 თებერვალს, ელიტურ მწვრთნელთა კასტის გამორჩეულ წარმომადგენელს, ტოტალური ფეხბურთის მამამთავარს, ლეგენდარულ რინუს მიხელსს 80 წელი შეუსრულდებოდა. ცოტა უცნაურია, მაგრამ ფეხბურთში ყველაზე დიდი რევოლუციის ავტორი ბავშვობაში ჰოკეით იყო გატაცებული. მან მოიგონა ე.წ. "მოწესრიგებული ქაოსი" სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობაში. ერთი პოლონელი სპორტული ჟურნალისტი 70-იანი წლების დიდი ჰოლანდიის თამაშს ასე აღწერდა: "ჩვეულებად მაქვს, რომ თამაშის წინ ფურცელზე მოვხაზო გუნდების სასტარტო განლაგებები, შემდეგ კი ისრებით აღვნიშნო თითოეული ფეხბურთელის გადაადგილებები მოედნის მასშტაბით. როდესაც მიხელსის ნაკრების ასეთი მეთოდით შესწავლა გადავწყვიტე, მატჩის მეათე წუთის შემდეგ შევამჩნიე, რომ თავად ველარ ვარჩევდი, თუ რომელი ისარი სად მიდიოდა. ფეხბურთელები მოძრაობდნენ ისე, რომ მე ამას "ორგანიზებულ ქაოსს" ვუწოდებდი".

"ფეხბურთი ეს ომია, ფეხბურთელები - მეომრები," - უყვარდა ხოლმე თქმა **რინუს მიხელსს**, ამ გამოთქმის გამო მას „გენერალი" უწოდეს. ის მართლა ჰგავდა მხედართმთავარს - იყო საოცრად ჭკვიანი სტრატეგი და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საოცრად კარგი ფსიქოლოგი. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ დისციპლინა მისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ამის მიუხედავად, 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩის წინა დღეს მან ფეხბურთელებს მიუთითა, ძალიან მსუბუქად ევარჯიშათ. ფეხბურთელებმაც მთელი ორი საათი ბურთით ჟონგლიორობაში გაატარეს. მწვრთნელმა თავისი საქციელი ასე ახსნა: *"რა აზრი ჰქონდა დატვირთვებს? ფიზიკურად ისედაც ასი პროცენტით მზად ვიყავით და მსუბუქი ვარჯიშით იმას მივაღწიეთ, რომ ფსიქოლოგიურად განვიმუხტეთ. 1974 წელს ვერ შევძელი ბიჭებისთვის ფრთები შემესხა, რის გამოც წავაგეთ."*

გასულ შემოდგომაზე ბრიტანულმა "ტაიმსმა" მე-20 საუკუნის უდიდესი მწვრთნელების საკუთარი ვერსია გამოაქვეყნა. იქ პირველ ნომრად რინუს მიხელსი იყო დასახელებული. ამით გაზეთი დაეთანხმა ფიფას ოფიციალურ ვერსიას, რომლის თანახმადაც გასული საუკუნის უდიდეს სპეციალისტად სწორედ ჰოლანდიელი დასახელდა.

ბავშვობაში რინუსს მამამ ჰოკეი შეაყვარა. ეს სიყვარული არ იყო ჩვეულებრივი, მაგრამ მას შემდეგ რაც ჰოლანდიაში პატარა ბიჭებმა ბურთის გორება დაიწყეს, ის თავდავიწყებით ფეხბურთში გადაეშვა, თანაც სამუდამოდ.

"აიაქსში" მიხელსი **ვია კლერმა** მიიყვანა. ის მიხელსების ოჯახის ახლობელი და კლუბის მაშინდელი ადმინისტრატორი იყო. რინუსი საოცრად მოქნილი ფეხბურთელი იყო და დებიუტიც "აიაქსის" ძირითადში დაუჯერებელი ჰქონდა - პირველსავე მატჩში ჰააგის ადო-ს წინააღმდეგ მან 5 გოლი გაიტანა. მიხელსმა ამსტერდამში 12 წელიწადი გაატარა და 264 მატჩში 122 გოლი შეაგდო. ის ხუთჯერ ნაკრებშიც გამოიძახეს. მიხელსი კიდევ არაერთი გოლის გატანას მოასწრებდა, მაგრამ თიაქარის წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ იძულებული გახდა, ფეხბურთიდან წასულიყო. ის ყრუ-მუნჯთა სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად მოეწყო, პარალელურად კი რიგ ამსტერდამულ სამოყვარულო გუნდებს წვრთნიდა.

სწორედ ამ დროს მოხდა ის, რამაც ჰოლანდიური ფეხბურთის აღმავლობას ჩაუყარა საფუძველი. "აიაქსის" პრეზიდენტად მოვიდა მულტიმილიონერი **იაპ ვან პრააგი**, ვისაც კაპიტალი სათამაშო ბიზნესით ჰქონდა დაგროვილი. ის ვერ მოითმენდა იმას, რაც გუნდის თავს ხდებოდა. "აიაქსი" სატურნირო ცხრილში პოზიციებს ნელ-ნელა, მაგრამ სტაბილურად თმობდა და უფსკრულისკენ მიექანებოდა. ის შეხვდა მიხელსს და აღფრთოვანებული დარჩა მისი სამომავლო გეგმებით. რინუსი პრეზიდენტს შეპირდა, რომ გუნდს 5 წელიწადში ააყვავებდა. ვან პრააგმა ის გუნდის თავკაცად დანიშნა. ასე შეიცვალა "აიაქსში" კვირაში სამჯერადი დღეში ორჯერად ვარჯიშებად. პირველადი შედეგები გუნდმა თვალისდახამხამებაში მიიღო. 5 წლის განმავლობაში 4 საჩემპიონო ტიტული (1966, 1967, 1968, 1970), ჰოლანდიის 3 თასი (1967, 1970, 1971) და, რა თქმა უნდა, ევროპის ჩემპიონთა თასი (1971). ამ "აიაქსში" იყვნენ დიდი ჰოლანდიელები კრუიფის თავკაცობით, რომლებიც შემდგომ კიდევ ორ ჩემპიონთა თასს დაეუფლებიან, მაგრამ უკვე რუმინელი **შტეფან კოვაჩის** თავკაცობით. თავად მიხელსი "ბარსელონის" ასაღორძინებლად ესპანეთში წავიდა.

თავიდან მიხელსს კატალონიაში საქმეები ისე ვერ წაუვიდა, როგორც სურდა. ეს იქამდე გაგრძელდა, ვიდრე იმ პერიოდისთვის სარეკორდო თანხად, 922 ათას გირვანქად ამსტერდამიდან ბარსელონაში თავად **იოჰან კრუიფი** არ გადაბარგდა. როგორც ერთი ძველი გამოთქმა გვეუბნება, ძველისძველი ძმაკაცი ორ ახალ მეგობარს ჯობიაო. იოჰანმაც მასწავლებელს გაუმართლა და მათი ერთობლივი ძალისხმევით, 14-წლიანი პაუზის შემდეგ, 1974 წელს, "ბარსელონამ" ესპანეთის ჩემპიონის ტიტული დაიბრუნა. თანაც კატალონიელებმა საჩემპიონო სეზონში "რეალი" "სანტიაგო ბერნაბეუზე" 5:0 გაანადგურეს.



ლეგენდარულ რინუს მიხელსს 80 წელი შეუსრულდებოდა

"ბარსელონის" ხელმძღვანელობამ მიხელსს ნება დართო, 1974 წლის ჩემპიონატზე ჰოლანდიის ნაკრები დაემოძღვრა, რომელიც, სიმართლე ითქვას, ჩემპიონატზე ძლივსძლიობით და უსამართლოდ მოხვდა. ბელგიასთან გადამწყვეტ შეხვედრაში მსაჯმა სრულიად დაუსაბუთებლად ჰოლანდიელების კარში გატანილი სამართლიანი გოლი გააუქმა, რისი ჩათვლის შემთხვევაშიც "ტიტები" მუნდიალს მიღმა დარჩებოდნენ. მოგვიანებით ამას საერთაშორისო პრესაში *"უკანონობა სამართლიანობისთვის"* უწოდეს.

*"ჯერ კიდევ ფეხბურთელობისას შემემთხვა ასეთი რამ. ჩემს პარტნიორს თავდასხმაში თამაში არ წაუვიდა. ვუთხარი, რომ დაცვაში ჩასულიყო. მან მომიგო, რომ მისი საქმე თავდასხმა იყო და არა დაცვა. თავში თითქოს რაღაცამ დამკრა,"* - იხსენებდა მიხელსი. მას მერე, რაც რინუსი მწვრთნელი გახდა, მუდმივად ცდილობდა, გუნდისთვის შეერჩია ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც მის კონცეფციას მოერგებოდნენ, ანუ მეტ-ნაკლებად უნივერსალები იქნებოდნენ. 1974 წლის ნაკრებშიც ფეხბურთელები სწორედ ამ ნიშნით მოხვდნენ. ფეხბურთელების უნივერსალიზმი, ამას დამატებული, ყოველი მოთამაშის არაჩვეულებრივი ფუნქციური მზადყოფნა და, რა თქმა უნდა, იოჰან კრუიფი. სწორედ ამ კომპონენტების ერთობამ გვაჩუქა დაუვიწყარი ნარინჯისფერი გუნდი. მიხელსმა შედეგად მიიღო ესტეთიური და პრაგმატული ფეხბურთის საოცარი სინთეზი. ფინალში ამ ფორმულამ მხოლოდ პირველ წუთზე გაქრა, როდესაც "ტიტებმა" გოლი პირველივე წუთზე ისე გაიტანეს, რომ გერმანელებს ბურთისთვის ფეხი არ შეუხიათ, მეტიც ჰოლანდიელებმა ზედიზედ 14 ზუსტი პასი შეასრულეს, რასაც მასპინძლები მოჯადოებულები უყურებდნენ.

ჩემპიონატის შემდეგ "სფინქსი" (კიდევ ერთი მეტსახელი, რაც მან გარეგნული სიმშვიდის გამო დაიმსახურა) "ბარსელონაში" დაბრუნდა, მაგრამ რატომღაც აღმოჩნდა, რომ კატალონიელები მელანქოლიას იყვნენ მიცემულები. ამას მალე მისი დათხოვნა მოჰყვა. მიხელსი "აიაქსში" დაბრუნდა. საყვარელი მასწავლებლის გაშვებას კრუიფის ბუნტი მოჰყვა. რინუსი ისევ დააბრუნეს ესპანეთში. თუმცა დაბრუნების შემდეგ ესპანეთის სამეფო თასის გარდა "დიდმა მაესტრომ" ველარაფერი მოიგო (1978). 1979 წელს მისი რომანი კატალონიასთან საბოლოოდ დასრულდა. მწვრთნელი ლოს ანჯელეს "აცტექსის" დამრიგებელი გახდა. მან გადაწყვიტა, იანკებისთვის ფეხბურთის თამაში ესწავლებინა, თუმცა ოკეანის გაღმა დიდი ხანი ვერ გაძლო და 1980 წელს ისევ ევროპაში დაბრუნდა. მან ბუნდესლიგის "კიოლნი" ჩაიბარა, ვისაც 1983 წელს გერმანიის თასი მოაგებინა. ამ გუნდში მას **ტონი შუმახერი** და **პიერ ლიტბარსკი** დახვდნენ. 1984 წელს მას ისევ უხმეს ნაკრებში, რათა გუნდი ევროპის 1984 წლის ჩემპიონატზე გაეყვანა. გაიყვანდა კიდეც, რომ არა ბოლო ტურში ესპანეთის მიერ მალტის საეჭვოდ დიდი ანგარიშით რბევა, 12:1, იმ ანგარიშით, როგორც პირენეელებს აწყობდათ. თუმცა მას მალე გულმა შეუტია და დროებით საერთოდ ჩამოშორდა ფეხბურთს. ოპერაციისა და აღდგენითი კურსის შემდეგ ის ისევ დაუბრუნდა ჰოლანდიის ნაკრებს. ევროპის 1988 წლის ჩემპიონატი არაჩვეულებრივი ტურნირი იყო. აღსანიშნავი გახლდათ ჩემპიონატის ორგანიზებისადმი პედანტური მიდგომა, ასევე გუნდების მაღალი დონე და ჩემპიონატის მთავარი ვარსკვლავი **მარკო ვან ბასტენი**, ვისაც ფინალში გატანილი დაუჯერებელი გოლისთვის გეომეტრიაში საუკეთესო შეფასება დაუწერეს. ამას გარდა, მიხელსმა მოახერხა და 14 წლის წინანდელი წყენისთვის გერმანიასთან მცირე რევანში აიღო, დაამარცხა რა ის ნახევარფინალში, ხოლო ფინალში გენერალმა ბრძოლა პოლკოვნიკს (სსრკ-ს თავკაც **ვალერი ლობანოვსკის** მილიციის პოლკოვნიკის წოდება ჰქონდა) მოუგო.

1992 წელს, შვედეთში, ნახევარფინალურ მატჩში ვან ბასტენმა პენალტი გააფუჭა და ჰოლანდია დანიის სენსაციურ გუნდთან მატჩში გამოვარდა. მიხელსი ამით საბოლოოდ ჩამოშორდა აქტიურ ფეხბურთს და მუშაობა ჰოლანდიის საფეხბურთო ასოციაციასა და უეფაში გააგრძელა. 2004 წელს მარკო ვან ბასტენმა ამაგდარ პედაგოგს ჰოლანდიის ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელის წოდება გადასცა, სადაც მიხელსმა თქვა: *"მე მივაღწიე იმას, რაც ძალიან მსურდა. ჰოლანდიური ფეხბურთი სახელგანთქმულია მთელ მსოფლიოში. ახლა იმდენად ბედნიერი ვარ, კუდი რომ მქონდეს, მის ქნევას დავიწყებდიო"*, - მისთვის დამახასიათებელ ირონიას საპატიო ასაკშიც ვერ შეეშვა. 2005 წლის 3 მარტს, ის ბელგიის ქალაქ აალსტში გულზე მორიგი ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა. თუმცა მისი ცხოვრების მთავარი ოპერაცია ეს არ ყოფილა. მისი წყალობით, მსოფლიომ საჩუქრად ახალი ფეხბურთი მიიღო. ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს იყო.



კრუიფი და მიხელსი

## როი კინი პალერმოში?

"სანდერლენდის" თავკაცმა **როი კინმა** პალერმოელთა ყურადღება მიიპყრო. სიცილიური კლუბის პრეზიდენტი **მაურიციო ძამპარინი** მისთვის კონტრაქტის შეთავაზებას აპირებსო, წერს იტალიური მედია. გასულ უქმეებზე "პალერმო" "ტორინოსთან" 1:3 დამარცხდა. ამ წაგებით ის მე-10 საფეხურამდე დაქვეითდა. ძამპარინი შიშობს, რომ თუ ასე გაგრძელდება, მის ქვეშევრდომებს A-ში დასარჩენად მოუწევთ თამაში (გუნდს გასავარდნი ზონისგან, ჯერჯერობით, საკმაო მანძილი, 9 ქულა ჰყოფს). პრეზიდენტი დღევანდელი მთავარი მწვრთნელით, **ფრანჩესკო გვიდოლინით** უკმაყოფილოა. მან სპორტულ დირექტორ **რინო ფოსკის** სახელგანთქმულ ირლანდიელთან შეხვედრა და მოლაპარაკებების გამართვა დაავალა. იტალიელი მიმომხილველების ცნობით, სინიორ ძამპარინი მანჩესტერ იუნაიტედის კიდევ ერთი ყოფილი ვარსკვლავის, **პოლ ინსის** კანდიდატურაზეც ფიქრობს. ეს უკანასკნელი ქვედა დივიზიონის დონის მთავარი მწვრთნელია. ის ამ პოსტზე 18 თვეა, მოღვაწეობს და შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია. რაც შეეხება კინის საქმიანობას, მის სანდერლენდს პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში მე-14 ადგილი უკავია და სახიფათო ზონისგან მხოლოდ ოთხი ქულა აშორებს.

## ადრიანოს სასჯელი ემუქრება

**ადრიანოს** ბრაზილიაშიც პრობლემები აქვს. მოგეხსენებათ, ბრაზილიელი თავდამსხმელი "ინტერის" საკუთრებაა, მაგრამ იტალიელებთან უთანხმოების გამო შინ დაბრუნდა. მან "სან პაულუსთან" ნახევარწლიანი საიჯარო კონტრაქტი გააფორმა. და აი, ბოლოსწინა ტურში, "სანტოსთან" მატჩისას, ადრიანომ მეტოქის მცველს სახეში თავი უთავაზა, რის გამოც დაუყოვნებლივ მიაბრძანეს მინდვრიდან. მას ავტომატურად სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა, მაგრამ თუ ქვეყნის საფეხბურთო კონფედერაცია გადაწყვეტს, რომ ფეხბურთელმა (ბრაზილიური კანონმდებლობის ენით რომ ვთქვათ) "ფიზიკური აგრესიის სერიოზული აქტი" ჩაიდინა, მას 120-დან 540 დღემდე აუკრძალავს თამაშს.

## დელ ბოსკე ესპანეთის ნაკრების მწვრთნელად?

"რეალის" ყოფილ თავკაც **ვისენტე დელ ბოსკეს** ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელობა სურს. ულვაშა სპეციალისტმა განაცხადა, რომ სიამოვნებით გააფორმებდა კონტრაქტს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე. ესპანელთა დღევანდელ თავკაც **ლუის არაგონესს** ხელშეკრულება სწორედ ამ დროს უმთავრდება. ის ნაკრებში დარჩენას აღარ აპირებს და შესაძლოა, სამწვრთნელო კარიერასაც კი დაუსვას წერტილი. ესპანურ ფედერაციას მისი შემცვლელის პოვნა მოუწევს. დელ ბოსკე მათ საქმეს უადვილებს და საკუთარ კანდიდატურას სთავაზობს. *"არ მინდა, გულშემატკივრებს ისეთი შთაბეჭდილება დარჩეთ, რომ მზად ვარ, ნაკრების დამრიგებლის სკამი ნებისმიერ ფასად დავისაკუთრო. ნაკრებს არაგონესი ხელმძღვანელობს და ამ საკითხზე უფრო მეტი კომენტარის გაკეთება არაკორექტულად მიმაჩნია,"* - დასძინა დელ ბოსკემ გაზეთ "მარკასთან" ინტერვიუში.



ვისენტე დელ ბოსკე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბორაჩი მეოთხეა

დავით უგრეხელიძის "ბორაჩ ნექტარმა" ბოსნიის ჩემპიონატში ერთი ნაბიჯით წინ წაიწია. ბორაჩელებმა პირველობის დაწყების შემდეგ პირველად მოახერხეს მეოთხე ადგილზე ასვლა. აქამდე უგრეხელიძის თანაგუნდელები სატურნირო ცხრილში მეშვიდე-მეხუთე ადგილებს შორის მერყეობდნენ, "ჟრინსკის" ძლევის შემდეგ კი მეოთხეზე აინაცვლეს. სადღეისოდ პირველ ადგილზეა "ბოსნა" (16 მოგება, 1 წაგება), მეორეზე - "სლობოდა", მესამეზე - "იგოკეა", ხოლო მეოთხეზე - "ბორაჩ ნექტარი" (9 მოგება, 8 წაგება).

საშინაო მატჩში ბორაჩელებმა "ჟრინსკი" 101:75 დაამარცხეს. შეხვედრის სნაიპერი უგრეს თანაკლუბელი ვლადიცა იოვანოვიჩი გახდა, რომელმაც 22 ქულა ჩააგდო. დათომ მოედანზე 12 წუთი გაატარა, თუმცა. სამი მცდელობიდან ვერც ერთი ორქულიანი ვერ ჩააგდო. ქართველი ცენტრის აქტივში მხოლოდ 2 მოხსნა იყო.



დავით უგრეხელიძე

# მამაცაშვილი მაკედონიელთა არმიაში

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი **გიორგი მამაცაშვილი** კარიერას მაკედონიაში გააგრძელებს. მან მოქმედ ჩემპიონთან "შტურმიცასთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

რა ფუნქცია ექნება გიორგის ახალ კლუბში და მასთან ერთად რას მიაღწევს, ამას მომავალი გვიჩვენებს. აქ გეტყვით, რომ "შტურმიცა" მაკედონიის მიმდინარე პირველობაზეც ერთ-ერთი ფავორიტია, ამჟამად 13 მოგება, 5 წაგება აქვს და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა, მხოლოდ "ფენი ინდუსტრიას" ჩამორჩება.

გიორგი მამაცაშვილს კი იმდენი კლუბი აქვს მოვლილი ოდისევსს შეშურდებოდა. 2003 წელს საბერძნეთის "ოლიმპიაკოსში" ვარჯიშობდა, საიდანაც **გორდონ ჰერბერტის** "პარიზში" გადავიდა. დედაქალაქური კლუბიდან გიორგი **ვატო ნაცვლიშვილის** გვერდზე, "დიჟონში" აღმოჩნდა, თუმცა, ვერც იქ გაჩერდა დიდი ხნით. გასული სეზონი მამაცაშვილმა აზერბაიჯანის ჩემპიონ "ნტდ დევონში" გაატარა, ხოლო 2007-08 წლების სეზონის დასაწყისში იგი თსუ-ში ვარჯიშობდა, მაგრამ ჩემპიონატის დაწყების წინ სადღაც გაქრა...

...ოთხთვიანი შესვენების შემდეგ იგი მოედანს მაკედონიაში დაუბრუნდება.



**ვახტანგ ტყეშელაშვილი**


სუპერ ლიგა

სუპერლიგა. IV წრე

17 თებერვალი

13.15 დინამო - თბილავიამშენი

15.15 თსუ - ენერჯი ინვესტი

17.15 მაკაბი - ვითა

სპორტის სასახლე

გენერალური სპონსორი სახალხო ბანკი PEOPLE'S BANK

ოლიმპი


ფაჩულიას კითხვა-პასუხი

# სტიკი, შაკი, ზაზა და იაო

**ზაზა ფაჩულიამ** საკუთარი ოფიციალური ვებ-საიტის (www.zazapachulia.com) მეშვეობით გულშემატკივართა კითხვებს უპასუხა და წინ ასეთი შესავალი წაუმძღვარა: "ქომაგთა შეკითხვებს ელფოსტით ხშირად ვიღებ და ამიერიდან, როცა მათი საკმარისი რაოდენობა მოგროვდება ჩემს ვებ-გვერდზე პასუხებს აუცილებლად გამოვაქვეყნებ."

ახლა კითხვა-პასუხებს გავეცნოთ.

**- რა არის თქვენი საყვარელი ამერიკული კერძი?**

- სტიკი. მას ყოველი თამაშის შემდეგ მივირთმევ, რადგან გემრიელიცაა, ბევრ პროტეინს შეიცავს და ენერგიის აღდგენაში მეხმარება.

**- სკოლის მოსწავლე ვარ. ჯეკი მქვია. მინდა ფიზიკურად ძლიერი ვიყო. რა სახის ვარჯიშებს მირჩევთ?**

- თუ გსურს ფიზიკურად ძლიერი იყო, სიმძიმეები უნდა ასწიო, ოღონდ გეგმაზომიერად. ასევე, მეტისმეტად სასარგებლოა სკამის დახმარებით მუცლის პრესზე ვარჯიში. თუ გინდა ძლიერი ფეხები გქონდეს, ბევრი ხტუნვითი ვარჯიში შეასრულე და ირბინე. მთავარია გახსოვდეს, რომ ზედმეტად არ დაიტვირთო, თუ სისტემატურად იმუშავებ, კუნთები თავისთავად დაგაჯდება. ერთ დღეში არაფერი ხდება.

**- მოხვდება "ატლანტა ჰოქსი" ფლეი ოფში?**

- ურიგოდ არ ვთამაშობთ. სეზონის დასაწყისიდან დღემდე ფლეი ოფის ზონაში ვართ და სტაბილურობითაც გამოვირჩევით, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთავარია არა როგორ დაიწყებ, არამედ როგორ დაამთავრებ. ასე რომ, თუ ასევე კარგად გავაგრძელეთ, წესით ფლეი ოფში უნდა მოვხვდეთ.

**- ყოველი მატჩის წინ ტრადიციულად რას აკეთებთ?**

- თამაშის დღეს დილის 10 საათზე ბურთის სროლაზე ვვარჯიშობთ. წვრთნა უმეტეს შემთხვევაში საათს გრძელდება. ვარჯიშიდან გამოსული საკვებად მივდივარ, რის შემდეგაც საათნახევრით ვიძინებ. გამოღვიძებული საკუთარი მანქანით ატლანტის "პეპსი არენისკენ" მივემართები და ვცდილობ ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რომ მატჩისთვის მწყობრში ვიყო. თუ თამაშმა კარგად ჩაიარა და მეც არა მიშავდა, "პეპსი არენადინ" მეგობრებთან ერთად სავახშმოდ მივდივარ. რა თქმა უნდა, სტიკს გეახლებით. "ჰოქსის" მატჩის დღეებში ღამე იოლად ვერ ვიძინებ, რადგან ნებისმიერი მატჩი ემოციურ დამუხტვას იწვევს და ხშირად ძილი არ მეკარება.

**- NBA-ში ყველაზე მეტად ვისი მეურვეობა გიჭირთ?**

- შაკილ ონილისა და იაო მინის. სადღეისოდ ისინი მსოფლიოს საუკეთესო მეფარეები არიან. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ მათი შეჩერება ყველას ძალიან უჭირს. შაკი ფიზიკურად ძალიან დიდი და ძლიერია. მის წინააღმდეგ სამწამიან ზონაში ჭიდილს დიდი ენერგია მიაქვს. იაო ონილისგან განსხვავებული სტილის კალათბურთელია, თუმცა მასთანაც არანაკლებ რთულია თამაში, რადგან მეტისმეტად მაღალია. როცა მათ გუნდებს ვეთამაშებით, მწვრთნელები ყოველთვის მთავარ აქცენტს იაოსა და შაკის შეჩერებაზე აკეთებენ. თუ ეს კარგად გამოგვდის მატჩის მოგების შანსიც მეტია.

**მოამზადა**
**ვაჟა სიმონიშვილმა**



# პირველ წრეში გავარდა

10 თებერვალს სუმოს მექა ტოკიოს დარბაზ "კოკუგიკანში" ერდღიანი კომერციული ტურნირი გაიმართა, რომელიც 1977 წელს დაარსდა და ასაპრეზობა ოლიმპიური სისტემით ტარდება. ზედიზედ მესამედ ტურნირი იოკოძუნა **ასაშორიუმ** მოიგო, რომელმაც ფინალში მონღოლ თანამემამულე **ტოკიტენკუს** აჯობა და მილიონნახევარი იენი მიიღო. ტურნირში უმაღლეს დივიზიონში მოასპარეზე 42 რიკიშიდან 40-მა იჭიდავა. სამწუხაროდ, ქართველი **ლევან ცაგურია (კოკაი)** შეჯიბრებას პირველივე წრეში გამოეთიშა, მას მონღოლმა **კიოკუტენჰომ** აჯობა. სხვათა შორის, ასევე პირველ წრეში გავარდა იმპერატორის თასის მომგები იოკოძუნა **ჰაკუჰო**. სუმოს რეიტინგ-ლისტი ბანძუკე 25 თებერვალს გამოქვეყნდება. ქალაქ ოსაკას ბაშო კი 9-23 მარტს გაიმართება. კოკაიმ იანვრის ბაშო 9-6 ბალანსით დაასრულა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



კოკაი



# 14 თებერვალს მის და მისტერ სპორტი 2008 გამოვლინდება

14 თებერვალს ბაკურიანში სასტუმრო „პრემიერ პალასში" კონკურსის, "სპორტული საქართველო 2008" ფინალური ეტაპი გაიმართება და მის და მისტერ სპორტი 2008 დასახელდება. კონკურსი, რომლის ორგანიზატორები „პრემიერ ბიზნეს ჯგუფი" (პრეზიდენტი **კახა ბასილია**) და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი არიან, საქართველოში პირველად ტარდება.

კონკურსის შესარჩევ ტურებში, რომელიც იანვრის ბოლოს გაიმართა, მონაწილეობა 150-მდე კონკურსანტმა მიიღო. მონაწილეობის პირობები მარტივი გახლდათ, რადგან მთავარი კრიტერიუმები სპორტის სიყვარული და ჯანსაღი ცხოვრების სტილის მიმდევრობა იყო. შესარჩევი ეტაპიდან საბოლოოდ 22 ფინალისტი შეირჩა (16 გოგონა და 6 ბიჭი). დასკვნით ტურში მონაწილეობას სწორედ ისინი მიიღებენ.

გამარჯვებულებს სპეციალური ჟიური გამოავლენს, რომლის თავმჯდომარე **ლალი მოროშკინაა**. ჟიურის შემადგენლობაში შედიან სტუმრები ბელარუსიდან – **ანდრეი და სვეტლანა ვირკინები** (ბელარუსის კარატეს ფედერაციის პრეზიდენტი და მისი მეუღლე – მის ბელარუსი 1997). ჟიურის წევრები არიან ასევე **სოსო ჯაჭველიანი, გიორგი კანდელაკი, ბიძინა ბარათაშვილი, ზალიკო ბერგერი,** კახა ბასილია. ფინალისტების ჩაცმულობასა და მომზადებაზე სამოდელო სააგენტო „გრაცია" ზრუნავს, რომელიც კონკურსანტებთან შესარჩევი ტურებიდან მოყოლებული მუშაობს.

ფინალური ეტაპი ბაკურიანში 14 თებერვალს, საღამოს 21:00 საათზე დაიწყება. საღამოზე დაგეგმილია შოუ-პროგრამა და კონცერტი ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლების მონაწილეობით. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, საზოგადოების წინაშე სოლო კონცერტით წარსდგება მომღერალი **თემურ თათარაშვილი**, ასევე სპორტული ცეკვების ფედერაციის მოცეკვავეები და ილუზიონისტი **გია ფარადაშვილი**. კონკურსის პრიზიორებს სპონსორებისგან სამახსოვრო პრიზები გადაეცემათ. მის და მისტერ სპორტი 2008 კი საგზურებით დაჯილდოვდებიან.

ბაკურიანში გამგზავრებამდე, კონკურსის ფინალისტები და ორგანიზატორები კვირას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში შეიკრიბნენ, სადაც მედიისთვის პრესკონფერენცია გაიმართა. „პრემიერ ბიზნეს ჯგუფის" პრეზიდენტ კახა ბასილიას თქმით: - *იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი ტიპის კონკურსი საქართველოში პირველად ტარდება, ნანხმა მოლოდინს გადააჭარბა, რადგან მონაწილეობის სურვილი ძალიან ბევრ მსურველს ჰქონდა. ჩვენი სურვილია, კონკურსი მომავალში კიდევ უფრო წარმომადგენლობითი გახდეს და ამ მიმართულებით ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდას მეტი გასაქანი ჰქონდეს.*

ჟიურის თავმჯდომარ, ლალი მოროშკინა: - *შესარჩევ ტურებში ჟიურის წევრების აზრები ერთმანეთს ემთხვეოდა და კონკურსანტებთან დაკავშირებით ორჭოფობა არ ყოფილა. ფინალური ეტაპი საკმაოდ კონკურენტუნარიანი იქნება და კონკურსიც მომავალში უფრო პოპულარული გახდება*

ფინალისტები: **გოგონები:** მარი ნიქაბაძე, მარი ჯობავა, თეა პაკელიანი, ნინო პაკელიანი, ანა კალანდაძე, ოქსანა ტარასენკო, თამარ პოპიაშვილი, ია კალანდაძე, ვიქტორია ხალუგინა, ლანა გოგიშვილი, ხატია უგრელიძე, ნინო აბაიშვილი, ანი ჭოხონელიძე, თამილა ბაიჯანი, თათია დონაძე, მარი ტურიაშვილი.

**ბიჭები:** ლევან მიქელაძე, კორნელი მიქელაძე, ბექა ხონელიძე, კობა ნაზლაიძე, გიგა თვაური, ვიქტორ გეგეშიძე.

**გიორგი ჭანიშვილი**
სპორტის დეპარტამენტის პრესმდივანი



ინტერვიუ ზურაბ კაკაბაძესთან

# 3 მარტს ვიწყებთ!

3 მარტიდან ახმაურდება ჩვენი სახელბურთო დარბაზები. ჯერ 16-წლამდელები განაახლებენ საქართველოს პირველობას, მერე 20-წლამდელთა ნაკრები დაიწყებს შეკრებას ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის, აპრილში კი ეროვნული ჩემპიონატი გამოილვიძებს ცოტა არ იყოს, გახანგრძლივებული ზამთრის ძილიდან. გუშინ გავესაუბრეთ საქართველოს ხელბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს ზურაბ კაკაბაძეს.

- დღეს, ფედერაციაში მოწვეული გვყავდა 16-წლამდელთა საქართველოს პირველობაზე მოასპარეზე რვავე კლუბის ხელმძღვანელობა. ყველასთან ერთად შევათანხმეთ კალენდარი და გადავწყვიტეთ, რომ ჩემპიონატს 3 მარტს, გლდანის ხელბურთის კომპლექსში განვაახლებთ. დაგეგმილი გვაქვს, რომ ამ ასაკში მონაწილეთა რაოდენობა გავზარდოთ და ეს მალე მოხდება - ახლახან დაწესებული საქართველოს ხელბურთის ფედერაციის თასის შემდეგ.

**- როდის ჩატარდება ხელბურთის ფედერაციის თასის გათამაშება და რამდენი კლუბი იასპარეზებს?**

- ტურნირის ჩატარება დავგეგმეთ აპრილის ბოლოს. ხელბურთის ფედერაციის თასზე იასპარეზებს 1990-93 წლებში დაბადებულ ხელბურთელთა დაახლოებით 8-10 გუნდი, რომელთა ვინაობაც მალე საბოლოოდ გაირკვევა. ველით ახალ გუნდებს თელავიდან, ზუგდიდიდან და ლაგოდეხიდან. თუკი ეს ქალაქები მართლაც ჩამოაყალიბებენ კლუბებს და ხელბურთის ფედერაციის თასზე ითამაშებენ, მერე 16-წლამდელთა ჩემპიონატშიც ჩავრთავთ.

**- ეროვნული ჩემპიონატი როდისღა განახლდება?**

- ამ დღეებში, ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე კლუბების თავკაცებსაც შევხვდებით და საბოლოო კალენდარს შევიმუშავებთ. ჩვენი სურვილია, რომ ეროვნული ჩემპიონატი აპრილში განვაახლოთ, რადგან მარტში 20-წლამდელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი აქვს. ამდენად, ახლა ძირითადად სწორედ 20-წლამდელებზე ვაპირებთ გადართვას. გეგმის თანახმად, ნაკრები ამ კვირაში შეუდგება საკვალიფიკაციო ეტაპისთვის სამზადისს.

**- საკვალიფიკაციო ეტაპამდე თურქეთში ან ავსტრიაში აპირებდით შეკრების გავლას...**

- განიხილება ესპანეთის ვარიანტიც. მასპინძლებს ვთხოვეთ, რომ ესპანეთში ტურნირამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავიდეთ, რომელიმე კლუბის ბაზაზე დავბანაკდეთ და ორიოდე საკონტროლო მატჩი ჩავატაროთ. ამას გარდა, მარტის დასაწყისში გეგმაშია თურქეთის ახალგაზრდული ნაკრების ჩამოსვლა თბილისში, რომელთანაც ამხანაგური მატჩები უნდა ჩავატაროთ.

**კობა ხატისაშვილი**





# გამარჯვებები უცხოელებთან და ნაგება ქართველებთან

**საქართველოს წყალბურთელთა ეროვნული ნაკრები დაბრუნდა უკრაინის ღია პირველობის მეორე წრიდან, სადაც 3 მატჩიდან 2 გამარჯვება იზეიმა.**

ჩვენი გუნდი უკრაინაში შესუსტებული შემადგენლობით წავიდა. საკლუბო პრობლემების გამო, ნაკრების თავკაც **სოსო მაისურაძის** განკარგულებაში იყო მხოლოდ ერთი ლეგიონერი - გერმანული "ჰანოვერის" წყალბურთელი **პავლე ჯაფარიძე**.



პირველ მატჩში ჩვენი გუნდი ყაზახეთის ნაკრებს უნდა შეხვედროდა, მაგრამ ყაზახებმა ტურნირზე არ ჩაიდნენ და ტექნიკური მოგება (5:0) ჩაგვეთვალა. ყაზახები პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირისთვის ემზადებიან და უკრაინაში ჩასვლას უფრო ძლიერ ტურნირზე თამაში არჩიეს. თუკი ისინი უკრაინის პირველობაზე შემდეგ წრეშიც არ ითამაშებენ, მაშინ ახლა ჩათვლილი ტექნიკური მოგება ყველა გუნდს და მათ შორის ჩვენც გაგვიუქმდება.

მეორე შეხვედრა "სევასტოპოლთან" გვქონდა. როგორც სოსო მაისურაძემ გვითხრა, ამ მატჩში მსაჯებს გვარიანად დავუჩაგრივართ, რომელთაც 4 პენალტი დაუნიშნიათ ჩვენს კარში. მიუხედავად ამისა, დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩა - 11:10.

რაც შეეხება მესამე შეხვედრას, აქ იმ "ხარკოვს" დავუპირისპირდით, რომელშიც 2 ქართველი თამაშობს. ხარკოველებს აფინანსებს **მიხეილ ჯიმშიაშვილი**, ხოლო მეორე წრის წინ, გუნდმა საუდის არაბეთის ჩემპიონატიდან დაიმატა გამოცდილი ქართველი წყალბურთელი **გალაკტიონ ლაითაძე**, რომელიც აქამდე ჩვენს ნაკრებში თამაშობდა ხოლმე. პირობის თანახმად, "ხარკოვს" ლაითაძე საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ არ უნდა გამოეყვანა, მაგრამ უკრაინელებმა პირობა დაარღვიეს და საქართველოს წინააღმდეგ რამდენიმე წუთით მაინც ჩაუშვეს აუზში.

ისე, მაისურაძის თქმით, ჯიმშიაშვილს ჩვენებურებისთვის დიდი პატივიუცია და მადლიერების ნიშნად, დაგეგმილია "ხარკოვის" თბილისში დაპატიჟება. ეს სავარაუდოდ, მოხდება გაზაფხულზე ან ზაფხულში, როდესაც დათბება და ნაკრებს აუზის პრობლემა მეტ-ნაკლებად მოეხსნება...

აქვე ისიც ალსანიშნავია, რომ "ხარკოვთან" მატჩის წინ, ქვა ალმართში დაგვეწია და დაშავდა ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **სანდრო ხვედელიანი**, რომლის გამოკლებამაც კიდევ უფრო შეგვისუსტა შემადგენლობა. საბოლოოდ, "ხარკოვმა" 12:8 მოგვიგო.

ამრიგად, მეორე წრის შემდეგ, საქართველოს ნაკრები მესამე ადგილზე იმყოფება. უკრაინის ღია პირველობის მესამე წრე დაიწყება 1 მარტს, დნეპროპეტროვსკში. იქ დნეპრისპირელთა გუნდის გარდა, ჩვენი მეტოქეები იქნებიან ბელორუსის ნაკრები და მარიუპოლის პირველი გუნდი.

დასასრულ ისიც ვთქვათ, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან და კლუბებიდან საკმაოდ დიდია ქართველი წყალბურთელებით დაინტერესება. ამჟამად, უცხოელები ყველაზე მეტად ნაკრების კაპიტან **ზურაბ რურუასა** და **სანდრო რუსიშვილის** გადაბირებით არიან დაინტერესებული.

**კობა ხატისაშვილი**

ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი. U 16

# შედარებით მშვიდი დღე



მეხუთე ტურმა დაძაბულად კი ჩაიარა, მაგრამ სარეკორდოდ ბევრი ყაიმიც დაფიქსირდა. მეტი ყაიმი ვაჟთა შორის ვიხილეთ, თუმც პროცენტულად გოგონებში იყო მეტი. თანაც, გასათვალისწინებელია, რომ ამ ასაკის გოგონებს უკომპრომისობა ახასიათებთ, რაც ქულის გაყოფას აიშვიათებს, გუშინ კი 11 წყვილში 5 პარტია დასრულდა ზავით.

თეთრებმა ოთხში იმარჯვეს, შავებმა კი - ორში. ვაჟებმა შვიდ შეხვედრაში ამჯობინეს დაზავება, ცხრაში თეთრებით მოთამაშეებმა მიაღწიეს წარმატებას, შავებმა კი ექვსჯერ იმარჯვეს. შავებს მეშვიდე ქულაც ერგოთ, მაგრამ მეტოქის გამოუცხადებლობის გამო: **ავთანდილ ყარაულაშვილი ნინო ხომერიკთან** სათამაშოდ არ გამოცხადდა. შევნიშნავთ, რომ ნინოს გარდა, რომელიც 10 წლის მხოლოდ 10 მარტს გახდება, კიდევ ერთი გოგონა ეპაექრება ბიჭებს - **ნატო იმნაძე** თერთმეტი წლისაა და გააჩნია ამბიცია, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენელთა დიდ ნაწილს დაჩაგრავს. ასეთი რამ ნატოსაც და ნინოსაც ნაწილობრივ გამოსდით: უბრძოლველად ქულის აღებამ ხომერიკს ცხრილში რამდენიმე საფეხურით დაწინაურების საშუალება მისცა - 2.5 ქულა აქვს და დღეს მეთორმეტე დაფაზე თეთრებით შეხვდება **ბექა ფიფიას**; ნატოს კი ორი ქულა აქვს და მეექვსე ტურში თეთრებით **ილია ზუმბულიძის** დამარცხებას ეცდება.

ლიდერებში პრინციპული მატჩი იყო პირველ დაფაზე: ოთხქულიანი **ირაკლი ჯანიაშვილი** ამდენივექულიან **დიმიტრი კვარაცხელიას** ხვდებოდა. დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვებას ჯანიაშვილმა მიაღწია და 5 ქულით ერთპიროვნულად ჩაუდგა ცხრილს სათავეში.

მეორე და მესამე დაფაზეც მნიშვნელოვანი დაპირისპირება ვიხილეთ: ნომერ პირველი ფავორიტი **ლევან ბრეგაძე** თეთრებით **ირაკლი ბერაძეს** ხვდებოდა. ამჯერად ბრეგაძემ შეცდომა არ დაუშვა და სტატუსის შესაბამისად ითამაშა, რამაც გამარჯვება მოუტანა. ახლა მას ოთხი ქულა აქვს და ერთით ჩამორჩება ლიდერს. 4 ქულა აქვს კიდევ 5 მონაწილეს და მეორე-მეექვსე ადგილებს იყოფენ. საქმე ის არის, რომ მეხუთე ტურში 3,5 ქულიანმა ყველამ წააგო: **ირაკლი ბერაძეზე** მოგახსენეთ, მეორე **გიორგი ნიკოლაშვილი** იყო. იგი თეთრებით **ნოდარ დავარაშვილს** ხვდებოდა და ხეირიანი ვერაფერი შესთავაზა მეტოქეს, ნოდარმა კი მეტოქის შეცდომები კარგად გამოიყენა.

შავებითვე მოიგო **ზურაბ ჯავახაძემ** და ამით ერთგვარი სოლიდარობა გამოუცხადა ფავორიტებს - დაკარგულს ერთად ინაზღაურებენ: ბრეგაძე პირველი ნომერია, დავარაშვილი - მეორე, ჯავახაძე - მეხუთე, ხოლო ჯანიაშვილი - მეხუთე.

გოგონებშიც გამოასწორეს მდგომარეობა პირველ და მეორე ნომრებმა: **მერი არაბიძემ** შავებით მოუგო **ირმა გელდიაშვილს**, **ნათია ჯალაბაძემ** კი მეტად რთულ ბრძოლაში თეთრებით აჯობა **ანა შამათავას**. მესამე ნომერმა **ფატი რიჟამაძემ** კი შავებით მარცხი იწვნია **ნინო ანაკიძისგან**. ანაკიძე, საერთოდ ყველაზე კარგ და სტაბილურ თამაშს აჩვენებს. მისი განთესვის ნომერი მეხუთე კია, მაგრამ დღეისთვის უპირველეს კანდიდატად მიიჩნევა - 4.5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს და თუკი დღესაც იმარჯვა, ჩემპიონობისკენ დიდ ნაბიჯს გადადგამს, - დღეს მეტოქედ ჯალაბაძე ჰყავს.

**მეექვსე ტურში: გოგონები:** ნათია ჯალაბაძე (4)-ნინო ანაკიძე (4,5), ფატი რიჟამაძე (4)-მარიამ თევზაძე (3,5), მერი არაბიძე (3,5)-ლელა უგულავა (3), ანა შამათავა (3)-ანა კუჭავა (3), მარიამ ვალიშვილი (2,5)-ნანი უნაფქოშვილი (2,5), დეა გოგიშვილი (2,5)-ლიზი ტრაპაიძე (2,5), მარიამ სულამანიძე (2,5)-ირმა გელდიაშვილი (2,5).

**ვაჟები:** ნოდარ დავარაშვილი (4)-ირაკლი ჯანიაშვილი (5), თორნიკე გაბუნია (4)-ლევან ბრეგაძე (4), ზურაბ ჯავახაძე (4)-დიმიტრი კვარაცხელია (4), ირაკლი ბერაძე (3,5)-ანდრო ერვანდიანი (4), ნიკოლოზ შენგელია (3)-გიორგი ნიკოლაშვილი (3,5), ნოდარ ლორთქიფანიძე (3)-ლაშა კაჭარავა (3), რევაზ ჭკუასელი (3)-ნიკა ვოლკოვი (3), კახაბერ წერეთელი (3)-ალექსანდრე მერაბიშვილი (3), ვახტანგ კაშია (3)-გიორგი ცირეკიძე (3), გიორგი დარასელია (3)-თორნიკე ხურციძე (3).

**ზვიად შათირიშვილი**

ჰოკეი



# ერთი მოედანი მოგვცა და...

საქართველოს მდიდარ სპორტულ ისტორიას ზამთრის სახეობებში ბევრი ვერაფერი მოეძევება საამაყო, თუმც ერთი-ორი თავმოსაწონი შედეგი კი გვაქვს, განსაკუთრებით ფიგურულ სრიალსა და ტრამპლინიდან ხტომაში: **კობა წაქაძე, ვახტანგ მურვანიძე** და **ელენე გედევანიშვილი** - უმალ ამ სამი ადამიანის გვარ-სახელი წამოუტივტივდება სპორტის ქართველ გულშემატკივარს.

არადა, ჩვენში უამრავია ისეთი, ვინც ზედმიწევნით იცის მოციგურავეთა, მთისა თუ ბარის მოთხილამურეთა თუ ყინულის ჰოკეისტთა ავან-ჩავანი. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ჰოკეის სიყვარული მაინც გამორჩეულია და ეს ერთგვარი კაზუსია - საქართველოში ჰოკეის თითქმის არასდროს თამაშობდნენ და როგორ მოხდა, რომ ლამის მთელი სპორტული საქართველო, თუკი საშუალება მიეცემოდა, ჰოკეის მატჩებს მიუსხდებოდა ტელეეკრანთან?

ჩვენი დღევანდელი სტუმარია ქართული ჰოკეის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მოამაგე, ნოდარ დონაძე. ვფიქრობთ, მასთან საუბარი საინტერესო იქნება მკითხველისთვის.

- საქართველოში ყინულის ჰოკეი 1960 წელს ვალენტინ ზახაროვმა დანერგა. მაშინ საქართველოს სპორტკომიტეტს გიორგი სიხარულიძე ხელმძღვანელობდა. ბატონი გიორგი ნოვატორი კაცი კი გახლდათ, მაგრამ ჰოკეის დაარსება იძულებითი საქმე გამოდგა. საქმე ის არის, რომ საკავშირო სპარტაკიადებში რესპუბლიკა ჩასათვლელ ქულებს ვერ მიიღებდა, თუკი ჰოკეის გუნდი არ ეყოლებოდა. ამიტომაც, ერთგვარად "თათარიახნად" შეიქმნა გუნდი, რომელშიც სხვადასხვა სახეობის სპორტსმენთა ერთი ჯგუფი გაერთიანდა. მე ხელბურთელი ვიყავი, ზოგი მოციგურავე, მოთხილამურე, კალათბურთელი და ასე შემდეგ. იმ წელსვე წავედით ბალტიისპირეთში და ტურნირში ვითამაშეთ: მეტოქეები ესტონეთის, ლიტვის, ლატვიის, უკრაინის და ბელარუსის ნაკრებები იყვნენ. ცხადია, ყველა თამაში წავაგეთ, მაგრამ ენთუზიაზმი გაგვიჩნდა და გულიანად დავიწყეთ ვარჯიში.

1962 წელს ქალაქ სვერდლოვსკში საკავშირო სპარტაკიადაში მივიღეთ მონაწილეობა და ქვეჯგუფში ყაზახეთს და სომხეთს მოვუგეთ. ეს უკვე წარმატება იყო. სამწუხაროდ, უფრო მეტად ჩვენში ჰოკეიმ ფეხი ვერ მოიკიდა, არადა, გუნდები გაჩნდნენ ახალქალაქში, ბოგდანოვკაში, ბათუმში, ქუთაისში, დუშეთში, ბაკურიანში და ორიც - თბილისში. საქართველოს ჩემპიონატებიც იმართებოდა და საკმაოდ საინტერესოდაც მიმდინარეობდა. ასე ექვსი წელი გაგრძელდა, მერე ყველაფერი გაჩერდა.

**- პრობლემა ალბათ სტანდარტული მოედნის არქონაში იყო. ამას გარდა, ჰოკეი საკმაოდ ძვირადღირებული სახეობაა - სპორტულ ფორმას და ალჭურვილობას გვარიანი თანხები სჭირდება...**

- გეთანხმებით, უპირველესი პრობლემა მოედნის არქონა იყო. ფორმას რაც შეეხება, ამის მოგვარება ყოველთვის შეიძლებოდა და დღესაც შეიძლება. საქართველოში სტანდარტული მოედანი მხოლოდ ბაკურიანში იყო და იმასაც კუსტარულად ვაკეთებდით: ზამთარში ავდიოდით, გარკვეული ადგილი გვქონდა გამოყოფილი და თოვლითა და წყლით ვაკეთებდით ყინულს, - ამ საქმეში ხშირად ლამეებიც გვითენებია, რაც ჩვენს ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებდა, - მაგალითად ჩემს ძმას ფეხი სამუდამოდ დაუავადდა. შემდეგ ეს ადგილიც მოიშალა და ალარაფერი დაგვრჩა.

სრული უძრაობა 1979 წლამდე გაგრძელდა. ამ დროს უკვე მე ვითავე ჰოკეის განვითარება და დავაარსე ბავშვთა გუნდი. საკმაოდ ნიჭიერი ბავშვები გამოჩნდნენ. ბაკურიანშიც აღვადგინეთ მოედანი და გულმოდგინედ ვვარჯიშობდით. საკავშირო ტურნირში "ოქროს შაიბაშიც", სისტემატურად ვთამაშობდით და საკმაოდ წარმატებითაც. დიდი შედეგებისთვის არ მიგვიღწევია, მაგრამ ყველა გამოარჩევდა ქართველთა ჟინს, მონდომებას, თამაშისადმი დამოკიდებულებას. ცნობილი რუსი ჰოკეისტი ანატოლი ფირსოვი თავის შეგირდებს მოუწოდებდა - ნახეთ ქართველები როგორ უფრთხილდებიან და იბრძვიან შაიბისთვის. ნიჭიერი, მაღალი კლასის ბიჭებიც გვყავდა, რომელთა შორის მეკარე კოტე ბახუტაშვილი გამორჩეული იყო. იგი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში მოხვდა და რამდენიმე წელი წარმატებითაც ითამაშა - 1984 წელს ჩეხეთში მესამე ადგილზე გავიდა საბჭოთა კავშირის ნაკრები და, ცხადია, ბრინჯაოს მედალი კოტესაც ერგო. კოტე საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაშიც თამაშობდა - ყაზანის "იტილში" ერთი სეზონი დაჰყო.

ამჟამად კოტე ბახუტაშვილი თბილისში ცხოვრობს და ბავშვებს ავარჯიშებს.

**- ბატონო ნოდარ, ამჟამად რა მდგომარეობაა ქართულ ჰოკეიში? როგორც ვიცი, ყინულის ჰოკეის ფედერაცია შეიქმნა და საქართველოს ჩემპიონატსაც კი მართავენ.**

- სამი წლის წინ ძველმა ჰოკეისტმა დენის დავიდოვმა თანამებრძოლები და მეგობრები შემოიკრიბა და საქართველოს შაიბიანი ჰოკეის ფედერაცია დააფუძნა. შემდეგ ბავშვებიც აიყვანეს, გუნდებიც შექმნეს და როცა ბავშვებმა გარკვეულ დონეს მიაღწიეს, საქართველოს ჩემპიონატიც ჩაატარეს. ვარჯიშებს, ძირითადად, სპორტის სასახლის წინ მდებარე ყინულის მოედანზე ატარებენ, მაგრამ მოგეხსენებათ, იქ ყინული ძალიან პატარაა და სრულყოფილი წვრთნა შეუძლებელია. არც ბაკურიანშია სტანდარტული მოედანი. თუმცა არის შანსი, რომ შედარებით დიდი მოედანი გაკეთდეს. სამწუხაროდ, სტანდარტული მოედნის პრობლემა ისევ ისე დგას, როგორც 40 წლის წინ. ჩემი აზრით, სირცხვილია, საქართველოში ერთი სტანდარტული დარბაზი რომ არ არის. ამით მარტო ჰოკეისტები კი არა, მოციგურავეებიც იხეირებენ, - მათთვისაც უპირველესია ეს პრობლემა. ფიგურულ ციგურაობაში რომ ნიჭიერები ვართ, კიდევ ერთხელ გამოჩნდა. გედევანიშვილი წარმატებული სპორტსმენია. ჰოკეიში კი, გარწმუნებთ, არანაკლები პერსპექტივა გველის - ეს სახეობა ქართულ ხასიათს კარგად ერგება. ჩვენებური ჟინი, ემოცია, ვაჟკაცური სული უპირველესი ხელისშემწყობი თვისებებია ჰოკეის მაღალ დონეზე სათამაშოდ. შარშან საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ელენე გედევანიშვილთან შეხვედრის დროს სტანდარტული დარბაზის აგების პირობა დადო და თუკი ეს დაპირება შესრულდა, საქართველოს ჰოკეიშიც იმაზე არანაკლები შედეგები ექნება, ვიდრე ტრადიციულ სახეობებში აქვს.

**ზვიად შათირიშვილი**

ნიჩბოსნობა

# სეზონი მცხეთიდან იხსნება

მცხეთა ყოველთვის იყო საქართველოში ნიჩბოსნობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი. ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი **ბეჟან ხურციძე**) ახლა ყველაფერს აკეთებს, რომ სპორტის ამ სახეობის ტრადიციები ჩვენი ქვეყნის ძველ სატახტო ქალაქში კვლავ აღორძინდეს. ფედერაციას კი მხარში უდგას მცხეთის რაიონის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება (დირექტორი **გოჩა ქავთარაძე**). გაერთიანებამ სპორტისთვის ყველა აღსაზრდელს და მწვრთნელს შეუძინა სპორტული ფორმა, სკოლას, ამასთან, საჩუქრად გადასცა ვიდეო და აუდიო ტექნიკა, ტელევიზორი და მაგნიტოფონი, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ამაღლებას.

საქართველოს ნიჩბოსნებმა წლევანდელი სპორტული სეზონი ამ დღეებში, როგორც ადრე ხდებოდა ხოლმე, საერთო ფიზიკურ მომზადებაში შეჯიბრებით გახსნეს, მცხეთაში. სამ ასაკობრივ ჯგუფში 90 სპორტსმენი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მზადაა 2008 წლის სპორტული ბატალიებისთვის.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

**აკადემიური. უფროსი ასაკი:** 1. გიორგი მათიაშვილი (მცხეთა), 2. თემურ სულაკაძე (ქუთაისი), 3. რომან ვაჩეიშვილი (მცხეთა); **1990-91 წლიანები:** 1. მიხეილ ბუჯიაშვილი, 2. ოთარ მოთიაშვილი (ორივე - მცხეთა), 3. თორნიკე სინათაშვილი (ქუთაისი); **1992-94 წლიანები:** 1. გიორგი ბალათურია (მცხეთა), 2. ილია ბაქრაძე (ქუთაისი), 3. გიორგი მუხათგვერდელი (მცხეთა).

**ბაიდარა და კანოე. უფროსი ასაკი:** 1. ოლეგ ოლეინიკი, 2. ვასილ პეტროვი (ორივე - მცხეთა), 3. ნიკოლოზ კუცია (რუსთავი); **1990-91 წლიანები:** 1. შალვა ხიზანიშვილი (მცხეთა), 2. გიორგი გელდიაშვილი (რუსთავი), 3. ვიქტორ მანაგაძე (ქუთაისი); **1992-94 წლიანები:** 1. მიხეილ ხუციშვილი (მცხეთა), 2. გიორგი გოგოლაშვილი (ქუთაისი), 3. ზაზა ნადირაძე (მცხეთა).

**ვიტალი ბრძელიშვილი**

*საქართველოს ნიჩბოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანი*



ჩოგბურთი

# იტალიელთან წააგო

მალიორკაში მცირე საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირი (10 ათასი დოლარი) მიმდინარეობს, რომლის საკვალიფიკაციო ბადეში **სოფიო ქვაცაბაია** (694) პირველ ნომრად ჩაება და ძირითად ბადეშიც გაალწია. ძირითადი ბადის პირველ წრეში სოფიოს მეტოქე მე-2 ნომრად განთესილი იტალიელი **ლიზა საბინო** (385) იყო. 19 წლის ქართველმა ბრძოლა ორ სეტში წააგო - 5:7, 2:6 და ტურნირს გამოეთიშა. შეგახსენებთ, რომ ქვაცაბაიამ ახლახან ფედერაციის თასზე ითამაშა, თუმცა ნაკრების მატჩებში მხოლოდ წყვილთა თანრიგში გამოჩნდა.

**ნ.ნ.**

პეკინი 2008

# კამანი გერმანიის ნაკრებში?

"ლოს ანჯელეს კლიპერსის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა **კრის კამანმა** ყოველთვიურ ჟურნალ "გერმანულ კალათბურთს" ინტერვიუ მისცა, სადაც განაცხადა, რომ მისი წინაპრები წარმოშობით გერმანელები ყოფილან და როცა ეს შეიტყო, სერიოზულად დაფიქრდა გერმანიის მოქალაქეობის მიღებასა და ამ ქვეყნის საკალათბურთო ნაკრებში თამაშზე.

კამანის ამ განცხადებას მაშინვე გამოეხმაურა გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **დირკ ბაურმანი**, რომელმაც ასეთი კომენტარი მისცა NBA-ის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრის თავის გუნდში თამაშის პერსპექტივას:

*"ჩვენი გუნდის ძირითადი ცენტრი, პატრიკ ფემერლინგი კარგ სეზონს ატარებს და ის ნაკრებს კიდევ დიდ სამსახურს გაუწევს, მაგრამ ისეთი კალათბურთელი, როგორიც კამანია, ძალიან გააძლიერებს ჩვენს გუნდს.*

*ნაკრების ხელმძღვანელთა მხრიდან დიდი სისულელე იქნებოდა ასეთ შემოთავაზებაზე უარის თქმა. მით უმეტეს, რომ ნაკრებში თამაშის სურვილს თავად კამანი გამოთქვამს. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მან ჩვენს ნაკრებს დახმარება გაუწიოს".*

შეგახსენებთ, რომ ივლისის ბოლოს, პეკინში ოლიმპიური თამაშების დარჩენილი სამი საგზური გათამაშდება. საკვალიფიკაციო ტურნირში გერმანიის ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას. სავარაუდოდ, კამანისა და **დირკ ნოვიცკის** ტანდემი ამ გუნდს მნიშვნელოვნად გააძლიერებს.

წელს, კრისი "კლიპერსში" საუკეთესო სეზონს ატარებს. საშუალოდ მატჩში მისი მონაგარი 16.7 ქულას, 13.6 მოხსნას, 3.0 დაფარებასა და 2.0 შედეგიან გადაცემას უდრის.

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ორლანდო–კლივლენდი 111:118**

28:20, 27:32, 31:34, 25:32

**ორლანდო:** თურქოგლუ (25 ქ. 6 პ. 3 ჩ), ნელსონი (22 ქ. 4 პ), დუაიტ ჰოვარდი (16 ქ. 9 მ), რ. ლუისი (15 ქ), ევანსი (10 ქ. 8 მ).

**კლივლენდი:** პოუზი (40 ქ. 6 მ), ლ. ჯეიმსი (29 ქ. 7 მ. 10 პ. 3 ჩ), დ. ბრაუნი (11 ქ), გუდენი (10 ქ), ნოუბლი (10 ქ), მარშალი (9 ქ. 7 მ).

**ფილადელფია–დალასი 84:76**

23:25, 27:28, 20:13, 14:10

**ფილადელფია:** ა. მილერი (21 ქ. 8 მ. 7 პ. 3 ჩ), იგუოდალა (14 ქ. 4 პ), გრინი (12 ქ), ლ. უილიამსი (11 ქ. 5 პ. 3 ჩ), ტ. იანგი (8 ქ. 8 მ. 2 ჩ), დალემბერი (7 ქ. 9 მ).

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (17 ქ. 6 მ. 4 პ), ნოვიცკი (15 ქ. 9 მ. 7 პ. 2 ჩ), ბარეა (13 ბ. 5 პ), ჯორჯი (11 ქ), ბასი (8 ქ. 8 მ), დიოპი (უქულოდ, 9 მ).

**ტორონტო–სან ანტონიო 88:93**

21:27, 19:28, 20:13, 28:25

**ტორონტო:** კალდერონი (27 ქ. 6 პ), ბარნიანი (12 ქ), ბოში (11 ქ. 8 მ), დელფინო (11 ქ. 8 მ).

**სან ანტონიო:** ჯინობილი (34 ქ. 15 მ. 6 პ. 2 ჩ), დანკანი (22 ქ. 13 მ), ფინლი (12 ქ. 3 ჩ).

**შარლოტი–ლეიკერსი 97:106**

22:30, 22:25, 25:22, 28:29

**შარლოტი:** ფელტონი (29 ქ. 8 პ. 2 ჩ), მოჰამედი (22 ქ. 11 მ), დადლი (11 ქ. 7 მ), მაკინისი (10 ქ. 6 პ), ჯ. რიჩარდსონი (10 ქ), ოკაფორი (9 ქ. 13 მ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (31 ქ. 5 პ. 4 ჩ), გასოლი (26 ქ. 6 მ. 6 პ), ფარმარი (10 ქ), ოდომი (8 ქ. 10 მ. 5 პ).

**მილუოკი–კლიპერსი 89:96**

29:31, 21:20, 24:25, 15:20

**მილუოკი:** მ. უილიამსი (21 ქ), მეისონი (14 ქ. 7 მ), იანლიანი (13 ქ), რედი (11 ქ. 7 მ. 11 პ), ბოგუტი (10 ქ. 11 მ. 4 დ).

**კლიპერსი:** ტორნტონი (25 ქ), კასელი (21 ქ. 8 პ. 3 ჩ), მაგეტი (20 ქ. 6 მ), მობლი (12 ქ), კამანი (7 ქ. 15 მ).

**ჰიუსტონი–პორტლენდი 95:83**

18:24, 26:19, 25:19, 26:21

**ჰიუსტონი:** მინი (25 ქ. 7 მ), ალსტონი (17 ქ. 5 მ. 7 პ. 2 ჩ), მაკგრეიდი (12 ქ. 6 პ. 2 ჩ), სკოლა (11 ქ. 7 მ).

**პორტლენდი:** ოლდრიჯი (22 ქ. 5 მ), როი (15 ქ. 5 მ. 8 პ. 3 ჩ), ვებსტერი (11 ქ. 6 მ), პრჟიბილა (6 ქ. 9 მ).

**გ. სტეიტი–ვაშინგტონი 120:117**

22:37, 33:35, 29:23, 36:22

**გოლდენ სტეიტი:** ჯექსონი (41 ქ. 2 ჩ), ელისი (22 ქ. 2 ჩ), ჰარინგტონი (21 ქ. 8 მ), ბ. დევისი (19 ქ. 7 მ. 7 პ. 2 ჩ).

**ვაშინგტონი:** მეისონი (32 ქ. 6 პ), ჯეიმისონი (25 ქ. 10 პ. 6 ჩ), ჰეივუდი (20 ქ. 10 მ), სტივენსონი (18 ქ. 7 პ), ნ. იანგი (11 ქ).

### კვირის მოთამაშეები

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად "ფინიქს სანზის" ცენტრი **ამარე სტაუდმაიერი** და "ფილადელფია სიქსერზის" მცველი **ანდრე მილერი** დაასახელა.

დასავლეთის რჩეული სტაუდმაიერი გასულ კვირას საშუალოდ მატჩში 28.5 ქულას, 13.5 მოხსნასა და 3.25 დაფარებას აგროვებდა. "სანზმა" ოთხიდან სამი მატჩი მოიგო და ამარემ ოთხივე შემთხვევაში ორმაგი დუბლის შესრულება შეძლო. ის საშუალოდ მოედანზე 41.3 წუთს ატარებდა.

გაცილებით მოკრძალებული იყო აღმოსავლეთში საუკეთესოდ აღიარებული მილერის მონაგარი. ანდრე საშუალოდ 19.5 ქულასა და 9.0 შედეგიან გადაცემას უყრიდა თავს. მილერმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი "ვაშინგტონის" წინააღმდეგ მატჩში, როცა სეზონში პირადი რეკორდი დაამყარა - 14 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

**აღმოსავლეთი კონფერენცია**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი* | 48 | 39 | 9 | 81.3 |
| 2. დეტროიტი* | 50 | 37 | 13 | 74.0 |
| 3. ორლანდო* | 53 | 32 | 21 | 60.4 |
| 4. კლივლენდი | 51 | 29 | 22 | 56.9 |
| 5. ტორონტო | 50 | 27 | 23 | 54.0 |
| 6. ვაშინგტონი | 51 | 24 | 27 | 47.1 |
| 7. ატლანტა | 47 | 21 | 26 | 44.7 |
| 8. ნიუ ჯერსი | 51 | 22 | 29 | 43.1 |
| 9. ფილადელფია | 52 | 22 | 30 | 42.3 |
| 10. ინდიანა | 51 | 21 | 30 | 41.2 |
| 11. ჩიკაგო | 50 | 20 | 30 | 40.0 |
| 12. მილუოკი | 52 | 19 | 33 | 36.5 |
| 13. შარლოტი | 52 | 18 | 34 | 34.6 |
| 14. ნიუ იორკი | 51 | 15 | 36 | 29.4 |
| 15. მაიამი | 49 | 9 | 40 | 18.4 |

**დასავლეთი კონფერენცია**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ფინიქსი* | 51 | 36 | 15 | 70.6 |
| 2. ნიუ ორლეანი* | 49 | 34 | 15 | 69.4 |
| 3. დალასი | 51 | 34 | 17 | 66.7 |
| 4. იუტა* | 52 | 33 | 19 | 63.5 |
| 5. ლეიკერსი | 51 | 34 | 17 | 66.7 |
| 6. სან ანტონიო | 50 | 33 | 17 | 66.0 |
| 7. დენვერი | 50 | 31 | 19 | 62.0 |
| 8. გ. სტეიტი | 51 | 31 | 20 | 60.8 |
| 9. ჰიუსტონი | 51 | 31 | 20 | 60.8 |
| 10. პორტლენდი | 51 | 28 | 23 | 54.9 |
| 11. საკრამენტო | 49 | 23 | 26 | 46.9 |
| 12. კლიპერსი | 49 | 17 | 32 | 34.7 |
| 13. მემფისი | 50 | 13 | 37 | 26.0 |
| 14. სიეტლი | 50 | 13 | 37 | 26.0 |
| 15. მინესოტა | 49 | 10 | 39 | 20.4 |

** - დივიზიონის ლიდერი*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 30.1 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 28.0 |
| ალენ აივერსონი (დენ) | 26.8 |
| კარმელო ენტონი (დენ) | 26.2 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 24.1 |
| რიჩარდ ჯეფერსონი (ნ-ჯერ) | 23.4 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინ) | 23.1 |
| მაიკლ რედი (მილ) | 22.6 |
| კრის ბოში (ტორ) | 22.4 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 22.2 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| მარკუს კემბი (დენ) | 14.5 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 14.4 |
| კრის კამანი (კლი) | 13.6 |
| ტაისონ ჩენდლერი (ნ-ორლ) | 12.2 |
| ელ ჯეფერსონი (მინ) | 12.2 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 11.4 |
| ემეკა ოკაფორი (შარ) | 10.9 |
| კარლოს ბუზერი (იუტ) | 10.8 |
| იაო მინი (ჰიუ) | 10.7 |
| ანტუან ჯეიმისონი (ვაშ) | 10.4 |

**პასები**

| | |
|---|---|
| სტივ ნეში (ფინ) | 11.7 |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 10.9 |
| ჯეისონ კიდი (ნ-ჯერ) | 10.4 |
| დერონ უილიამსი (იუტ) | 9.7 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.8 |
| ჯამაალ ტინსლი (ინდ) | 8.4 |
| ბაირონ დევისი (გ-სტე) | 8.0 |
| ალენ აივერსონი (დენ) | 7.3 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 7.2 |
| ჩონსი ბილაპსი (დეტ) | 7.1 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.6 |
| ბაირონ დევისი (გ-სტე) | 2.5 |
| კერონ ბატლერი (ვაშ) | 2.4 |
| ჯერალდ უოლასი (შარ) | 2.2 |
| ანდრე იგუოდალა (ფილ) | 2.2 |
| ალენ აივერსონი (დენ) | 2.2 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 2.1 |
| შონ მერიონი (ფინ) | 2.0 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.0 |
| რონი ბრიუერი (იუტ) | 2.0 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| მარკუს კემბი (დენ) | 3.8 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 3.3 |
| კრის კამანი (კლი) | 3.0 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.4 |
| სამუელ დალემბერი (ფილ) | 2.4 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინ) | 2.4 |
| ჯერმეინ ო'ნილი (ინდ) | 2.2 |
| იაო მინი (ჰიუ) | 2.1 |
| ენდრიუ ბაინუმი (ლეიკ) | 2.1 |
| დარკო მილიჩიჩი (მემ) | 2.0 |



ამარე სტაუდმაიერი



კალათბურთი

## ლეიკერსმა მბენგა დაიტოვა

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ გაუგრძელა კონტრაქტი ცენტრალურ თავდამსხმელ **დი ჯეი ილუნგა-მბენგას**. ამჯერად, ხელშეკრულება სეზონის ბოლომდე იქნება ძალაში.

"ლეიკერსმა" მბენგა 20 დღის დაიმატა და მასთან 10-დღიანი კონტრაქტი გააფორმა, რის შემდეგაც, ხელშეკრულება კიდევ ათი დღით გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში, ცენტრმა რვა მატჩში მიიღო მონაწილეობა და მისმა სტატისტიკურმა მონაგარმა 2.3 ქულა და 2.1 მოხსნა შეადგინა.

წარმოშობით კონგოელი კალათბურთელი ადრე "გოლდენ სტეიტში" და "დალასში" თამაშობდა.

## უოლასს კირილენკოში ცვლიან

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ "ჩიკაგო ბულზი" თავის ცენტრს, **ბენ უოლასს** "ნიუ იორკ ნიქსში" უპირებდა გაშვებას, მაგრამ ამ ტრანსფერზე თავად კალათბურთელმა განაცხადა უარი. მაგრამ "ხარების" ხელმძღვანელობას სერიოზულად აქვს განზრახული უოლასის გასხვისება და ტრეიდის ახალ ვარიანტზე დაიწყო მუშაობა. კერძოდ, იგეგმება ბენის "იუტაში" გაშვება და მის ნაცვლად რუსი ფორვარდის, **ანდრეი კირილენკოს** აყვანა.

თავად კირილენკომ საკმაოდ პესიმისტურად შეაფასა ამგვარი ტრეიდის განხორციელების შანსი. *"ჩიკაგოსთან" გაცვლაზე არაფერი მსმენია. საერთოდ, ამერიკულ გაზეთებში ხშირად იბეჭდება მსგავსი ხასიათის ჭორები, ასე რომ, მათზე დიდი ყურადღების მიქცევა არ ღირს"*, - ამბობს "იუტას" რუსი ლეგიონერი.

## ჩიკაგო ლარი ბრაუნს უმიზნებს

ამასობაში, "ჩიკაგოს" შეფობა კლუბისთვის ახალ მთავარ მწვრთნელს ეძებს. ეს პოსტი გასული წლის 24 დეკემბრიდან არის ვაკანტური, როცა გუნდიდან დაითხოვეს **სკოტ სკაილზი**.

გაზეთ Philadelphia Inquirer-ის ცნობით, "ხარების" ხელმძღვანელობა "ფილადელფია სიქსერზის" ვიცე-პრეზიდენტის, **ლარი ბრაუნის** მიწვევას აპირებს. ამ სახელოვანი სპეციალისტის სამწვრთნელო კარიერაში ბოლო კლუბი "ნიუ იორკ ნიქსი" იყო, რომელიც მან 2005-06 წლების სეზონის შემდეგ დატოვა.

## პარკერი ოლ სტარის მერე დაბრუნდება

კვლავაც ვერ ახერხებს თამაშის განახლებას "სან ანტონიო სპურსის" ძირითადი გამთამაშებელი **ტონი პარკერი**, რომელიც მარცხენა ფეხის ტრავმას მკურნალობს. თუმცა მოქმედი ჩემპიონის ბანაკიდან უკვე დამაიმედებელი ცნობები ვრცელდება. კერძოდ, ფრანგი მცველი რეგულარულ ჩემპიონატს "ყველა ვარსკვლავის" უიქ ენდის შემდეგ განაახლებს.

*"ტონი უკვე მომავალ კვირას შეძლებს თამაშს"*, - განუცხადა სააგენტო "როიტერს" "სპურსის" მთავარმა მწვრთნელმა **გრეგ პოპოვიჩმა**.

## შარლოტს ჯერალ უოლასი დააკლდა

სერიოზული დანაკლისი განიცადა "შარლოტ ბობკეტსმა". "დეტროიტ პისტონზთან" მატჩში არ უთამაშია კლუბის წამყვან ფორვარდს **ჯერალდ უოლასს** და სავარაუდოდ, ეს კალათბურთელი "ბობკეტსის" მომდევნო რამდენიმე შეხვედრაშიც ვერ მიიღებს მონაწილეობას. საუკეთესო შემთხვევაში, უოლასი კიდევ ორ ტურს გამოტოვებს.

ჯერალდის უთამაშებლობის მიზეზი მარჯვენა ფეხის ტრავმა გახლავთ. *"თავს შესანიშნავად ვგრძნობ, მაგრამ ფეხს ზედმეტად არ ვტვირთავ. როგორც კი, მას ძალას ვატან, მაშინვე ტკივილი მეწყება"*, - ამბობს უოლასი.

## ფერნანდესს პორტლენდში არ უნდა

ესპანური კალათბურთის ვარსკვლავი **რუდი ფერნანდესი** "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსში" დაბრუნებას არ აპირებს.

გასულ უიქ ენდზე, ფერნანდესმა "ხუვენტუდთან" ერთად ზედიზედ მეორედ მოიგო ესპანეთის თასი და ასევე ზედიზედ მეორედ მოიპოვა ამ ტურნირის საუკეთესო მოთამაშის ტიტული. ამ გამარჯვების შემდეგ, 22 წლის ფერნანდესმა განაცხადა, რომ ესპანეთში დარჩენა და "ხუვენტუდის" რიგებში თამაში სურს.

*"ოკეანის გაღმა დაბრუნება არ მინდა. "ხუვენტუდთან" კონტრაქტი მაკავშირებს და მხოლოდ ამ გუნდზე ვფიქრობ"*, - აცხადებს ფერნანდესი, რომელსაც თავის ამჟამინდელ კლუბთან 2011 წლამდე აქვს გაფორმებული კონტრაქტი.

## რომამ ბომბარდირი დაიმატა

ევროლიგის მეორე ეტაპის წინ სერიოზული შევსება მიიღო "რომამ". ამ გუნდში წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება და სეზონის ბოლომდე კონტრაქტი გააფორმა შემტევმა მცველმა **იბრაჰიმ ჯაბერმა**.

23 წლის კალათბურთელმა სეზონის პირველი ნაწილი ბერძნულ "ეგალეოში" გაატარა, სადაც საშუალოდ მატჩში 22.4 ქულას (საუკეთესო მაჩვენებელი ბერძნულ ლიგაში), 4.2 შედეგიან პასსა და 2.8 ჩაჭრას აგროვებდა.

ჯაბერის დებიუტი "რომას" რიგებში დღეს, მოსკოვის ცსკა-სთან მატჩში შედგება.

## ბარსამ გრიმაუს ორწლიანი გაუფორმა

"ბარსელონას" ხელმძღვანელობამ ორი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი კლუბის კაპიტანთან **როჟერ გრიმაუსთან**.

ახალი ხელშეკრულების თანახმად, მცველს "ბარსასთან" კონტრაქტი" 2010 წელს უმთავრდება, თუმცა ხელშეკრულებაში არის პუნქტი, რომელიც თანამშრომლობის ერთი წლით გაგრძელებას ითვალისწინებს.

გრიმაუ "ბარსელონაში" ოთხი წელია თამაშობს და ამ გუნდს 2004 წელს ესპანეთის ჩემპიონატის, ხოლო 2007 წელს - ესპანეთის თასის მოგებაში დაეხმარა.

რალი

## დაკარი სამხრეთ ამერიკაში გაიმართება

გუშინ, ოფიციალურად დადასტურდა, რომ გაისად, საყოველთაოდ ცნობილი რალი-რეიდი "დაკარი" აფრიკის კონტინენტიდან სამხრეთ ამერიკაში გადაინაცვლებს.

რალის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ "დაკარი-2009" არგენტინისა და ჩილეს ტერიტორიაზე გაივლის. რბოლას სტარტი 2 იანვარს, არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში მიეცემა, ხოლო ფინიში ასევე არგენტინაში, 18 იანვარს არის დაგეგმილი.

რალის სრული მარშრუტი მომავალ კვირას, სპეციალურ პრესკონფერენციაზე გამოცხადდება, რომელსაც ორგანიზატორები არგენტინაში ჩაატარებენ.



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**დალასი–ფინიქსი 2:1**

0:1, 0:0, 2:0

გოლები: 0:1 ნ. კაპანენი-7 (ჟ. პერო-9, ჟოვანოვსკი-31), 1:1 ოტი-9 (ი. ლეჰტინენი-15, მოდანო-25), 2:1 მოდანო-16 (ი. ლეჰტინენი-16).

### კვირის სამი ვარსკვლავი

როგორც მოსალოდნელი იყო, კვირის პირველი ვარსკვლავი გახდა "ოტავა სენატორზის" ცენტრალური თავდამსხმელი **ჯეისონ სპეცა**. მან სამ მატჩში 11 ქულა (4 გოლი+7 შედეგიანი პასი) დააგროვა. სპეცამ ჯერ გოლი და პასი მიითვალა "მონრეალთან" შეხვედრაში, სამი შედეგიანი გადაცემა შეასრულა "ფლორიდას" წინააღმდეგ მატჩი, ხოლო კვირა იმავე "მონრეალთან" ფანტასტიკური გამოსვლით დაასრულა - მან ამ მატჩში 3 გოლითა და 3 პასით გამოიჩინა თავი.

სპეცა "ოტავას" მეორე, ხოლო მთლიანად ლიგის მეხუთე ბომბარდირია - 71 ქულა (23+48).

რაც შეეხება მეორე ვარსკვლავის სტატუსს, ის "პიტსბურგ პინგვინზის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა **ევგენი მალკინმა** დაიმსახურა, რომელმაც 4 მატჩში 12 ქულა (4+8) დააგროვა.

"პიტსბურგმა" თავისი ლიდერის, **სიდნი კროსბის** გარეშე უკვე 10 მატჩი ჩაატარა და ის, რომ ამ ათიდან ექვსი შეხვედრა მოიგო, ყველაზე მეტად სწორედ მალკინის დამსახურებაა.

კვირის მესამე ვარსკვლავი მეკარეა - "ანაჰაიმ დაქსის" **ჟან-სებასტიან ჟიგერი**. ეს გოლკიპერი საკუთარ კარში 1.01 შაიბას უშვებდა. მისი წყალობით, გასულ კვირას სტენლის თასის მფლობელმა 3-დან სამი მატჩი მოიგო, თანაც ყველა გასვლაზე.

**აღმოსავლეთი კონფერენცია**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოტავა* | 56 | 34 | 18 | 4 | 72 |
| 2. პიტსბურგი* | 56 | 32 | 19 | 5 | 69 |
| 3. ვაშინგტონი* | 57 | 27 | 25 | 5 | 59 |
| 4. მონრეალი | 56 | 29 | 18 | 9 | 67 |
| 5. ნიუ ჯერსი | 56 | 31 | 21 | 4 | 66 |
| 6. ფილადელფია | 55 | 30 | 20 | 5 | 65 |
| 7. რეინჯერსი | 59 | 28 | 24 | 7 | 63 |
| 8. ბოსტონი | 55 | 28 | 22 | 5 | 61 |
| 9. ბაფალო | 55 | 26 | 21 | 8 | 60 |
| 10. კაროლინა | 58 | 27 | 27 | 4 | 58 |
| 11. ატლანტა | 58 | 27 | 27 | 4 | 58 |
| 12. ფლორიდა | 58 | 26 | 27 | 5 | 57 |
| 13. აილენდერსი | 56 | 24 | 25 | 7 | 55 |
| 14. ტორონტო | 57 | 23 | 25 | 9 | 55 |
| 15. ტამპა ბეი | 56 | 23 | 27 | 6 | 52 |

**დასავლეთი კონფერენცია**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დეტროიტი* | 58 | 41 | 12 | 5 | 87 |
| 2. დალასი* | 60 | 35 | 20 | 5 | 75 |
| 3. მინესოტა* | 56 | 32 | 20 | 4 | 68 |
| 4. სან ხოსე | 55 | 31 | 17 | 7 | 69 |
| 5. ანაჰაიმი | 60 | 31 | 22 | 7 | 69 |
| 6. კოლორადო | 56 | 30 | 21 | 5 | 65 |
| 7. კალგარი | 56 | 28 | 20 | 8 | 64 |
| 8. ნეშვილი | 57 | 29 | 22 | 6 | 64 |
| 9. ვანკუვერი | 57 | 28 | 22 | 7 | 63 |
| 10. კოლამბუსი | 58 | 26 | 23 | 9 | 61 |
| 11. ფინიქსი | 57 | 28 | 25 | 4 | 60 |
| 12. სტ. ლუისი | 54 | 24 | 22 | 8 | 56 |
| 13. ედმონტონი | 57 | 25 | 27 | 5 | 55 |
| 14. ჩიკაგო | 55 | 24 | 25 | 6 | 54 |
| 15. ლოს ანჯელესი | 58 | 24 | 31 | 3 | 51 |

** - დივიზიონის ლიდერი*

**ბომბარდირები (გოლი+პასი)**

| | |
|---|---|
| ოვეჩკინი (ვაშ) | 76 (47+29) |
| ალფრედსონი (ოტა) | 73 (34+39) |
| მალკინი (პიტ) | 73 (31+42) |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 72 (32+40) |
| სპეცა (ოტა) | 71 (23+48) |
| ზეტერბერგი (დეტ) | 70 (33+37) |
| იგინლა (კალ) | 68 (34+34) |
| დაციუკი (დეტ) | 67 (19+48) |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 66 (20+46) |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 66 (16+50) |

**გოლეადორები**

| | |
|---|---|
| ოვეჩკინი (ვაშ) | 47 |
| კოვალჩუკი (ატლ) | 39 |
| იგინლა (კალ) | 34 |
| ალფრედსონი (ოტა) | 34 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 33 |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 32 |
| მალკინი (პიტ) | 31 |
| ბოიესი (ს-ლუი) | 30 |
| ო. იოკინენი (ფლო) | 29 |
| გაბორიკი (მინ) | 29 |
| ნეში (კოლამ) | 29 |

**ასისტენტები**

| | |
|---|---|
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 50 |
| ლიდსტრომი (დეტ) | 48 |
| სპეცა (ოტა) | 48 |
| სავარი (ბოს) | 48 |
| დაციუკი (დეტ) | 48 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 46 |
| ჰ. სედინი (ვან) | 44 |
| კროსბი (პიტ) | 43 |
| გომესი (რეინ) | 42 |
| მალკინი (პიტ) | 42 |

მსოფლიო რეკორდი

# აბსოლუტურად დაუჯერებელი რეკორდი

სპრინტერულ თარჯრბენში ევროპის ჩემპიონმა (როგორც ჭერქვეშა, ასევე ღია არენაზე) შვედმა **სუზანა კალურმა**, კარლსრუეში ასპარეზობისას, 60 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. დისტანცია მან 7.68 წამში გაირბინა და წამის მეასედი მოაკლო 18 წლის წინათ, საბჭოელ **ლუდმილა ნაროჟილენკოს** (გათხოვების შემდეგ **ლუდმილა ენკვისტი**) მიერ ჩელიაბინსკში დამყარებულ რეკორდს.

კარლსრუეს ტურნირის დაწყებამდეც, ბევრი სპეციალისტი ტურნირზე მსოფლიოს რომელიმე რეკორდის დამხობას ელოდა. ამის საბაბს კი კალურისა და მისი კუბელი კოლეგის, **დეირონ რობლესის** შესანიშნავ ფორმაში ყოფნა იძლეოდა. თუმცა, ამ ორიდან თავის გამოჩენა მხოლოდ შვედმა შეძლო.

კალურმა 0.09 წამით აჯობა მეორეზე გასულ ამერიკელ **ლოლო ჯონსს**, ვისთვისაც ეს კარიერაში საუკეთესო გამოსვლა იყო. თანაც, ამ შედეგით, ჯონსი ჭერქვეშა არენებზე მეორე უსწრაფესი ამერიკელი ქალი გახდა. მასზე უკეთესი შედეგი (7.74 წამი) მხოლოდ სახელოვან **გეილ დივერსს** აქვს ნაჩვენები.

კალურმა შესანიშნავი სტარტი აიღო და პირველ ბარიერთან სოლიდური უპირატესობით მიიჭრა. ბარიერების გავლისას კი ეს უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა. როგორც კომპიუტერმა დააფიქსირა, ბოლო ოთხი ბარიერი რეკორდულად მოკლე დროში გადალახა და სწორედ ამის წყალობით შეძლო მძლეოსნობაში ერთ-ერთი ყველაზე ძველი რეკორდის გაუმჯობესება.

*"სიტყვები არ მყოფნის იმ გრძნობის გამოსახატად, რაც რეკორდის დამყარების შემდეგ დამეუფლა. ეს აბსოლუტურად დაუჯერებელია. ჯერ კიდევ შტუტგარტში ასპარეზობისას, სტარტით უკმაყოფილო ვიყავი და არ მეგონა, ასეთ მოკლე დროში თუ შევძლებდი ამ ნაკლის გამოსწორებას,"* - განაცხადა კალურმა, ვინც ამბობს, რომ პეკინის ოლიმპიადაზე მის ფავორიტობაზე ლაპარაკი, სულ ცოტა, ნაადრევია.

*"პეკინზე ლაპარაკი ნაადრევად მიმაჩნია. იქ რამდენიმე ძლიერი ამერიკელი მეტოქე მეყოლება, რომელთა დამარცხება ძალიან ძნელი იქნება. მათ ას მეტრზე თარჯრბენში ჩემზე უკეთესი შედეგები აქვთ"*, - ამბობს შვედი რეკორდსმენი, ვინც ამ ეტაპზე თავის პრიორიტეტად მსოფლიოს ჩემპიონატს (დახურულ არენაზე, ვალენსიაში) მიიჩნევს.

რობლესმა ამ სეზონში უკვე მეორედ სცადა ამერიკელი **კოლინ ჯექსონის** მიერ 14 წლის წინათ დამყარებული რეკორდის (7.30 წამი) გაუმჯობესება, მაგრამ მიმდინარე სეზონის საუკეთესო დროსაც (7.33 წამი) ვერ შესწვდა. კუბელმა გარბენი 7.41 წამით მოიგო და უკან მოიტოვა სეზონის საუკეთესო შედეგის მქონე ამერიკელი **ალენ ჯონსონი**, ვინც 110 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ყოფილი ჩემპიონია.



სუზანა კალური

## TV სპორტი

**13 თებერვალი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
15:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:25 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
17:55 2:1 - ტოქ-შოუ.
18:40 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
20:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:50 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:50 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შალკე.
23:40 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
01:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:45 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:12 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:24 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:19 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1998-99. ლანსი-დინამო (კ).
12:59 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-რეჯინა.
14:56 სპორტლოტო.
15:05 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. თავისუფალი პროგრამა. ზაგრები. ხორვატია.
18:56 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-ანაჰაიმი.
20:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ზენიტი-ვილიარეალი (LIVE).
22:59 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ლივორნო (LIVE).
01:25 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
01:57 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:02 სპორტლოტო.
03:31 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ვაშინგტონი (LIVE).
06:37 ფეხბურთი. Barca TV.
06:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ჰამბურგი .

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი.
12:00 ევროგოლები. ... ... კალათბურთი მიმოხილვა.
12:45 სნუკერი. უელსის ჩემპიონატი. II დღე. ნიუპორტი. ბრიტანეთი.
13:45 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. შერეული რბოლა. ოსტერსუნდი. შვედეთი.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. III დღე. ანტვერპენი. ბელგია (LIVE).
17:00 სნუკერი. უელსის ჩემპიონატი. III დღე. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ინდივიდუალური რბოლა. ოსტერსუნდი. შვედეთი (LIVE).
21:45 მულტისპორტი.
21:50 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი. ვიგო. ესპანეთი.
22:50 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
22:55 გოლფი. ევროპის ტური.
23:25 გოლფ-კლუბი.
23:30 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
23:35 აფროსნობა.
23:40 მულტისპორტი.
23:45 სნუკერი. უელსის ჩემპიონატი. III დღე. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).
02:15 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩების მიმოხილვა.
03:15 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ინდივიდუალური რბოლა. ოსტერსუნდი. შვედეთი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბარსელონა. ესპანეთი.
14:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური.
18:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.
19:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები.
20:15 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები.
21:00 ახალი ამბები.
21:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. შვეიცარია.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები.
01:00 პრო-რესტლინგი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ექსტრემალური სპორტი.
02:45 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. შვეიცარია.
03:15 ახალი ამბები.

## კრივი

ვარსკვლავი

# ჰატონს რევანში სურს

ბრიტანელი მოკრივე **რიკი ჰატონი** ამბობს, რომ სპორტიდან ახლა წასვლა მისთვის აქამდე ნაშრომის წყალში ჩაყრის ტოლფასი იქნება და იმედი გამოთქვა, რომ **ფლოიდ მეივეზერ უმცროსთან** კიდევ ერთხელ შეხვედრის საშუალება მიეცემა. ესე იგი, ნაადრევია საუბარი რინგიდან მისი შესაძლო წასვლის შესახებ.

მეივეზერთან შეხვედრამდე, ჰატონს პროფესიულ რინგზე ერთი ბრძოლაც კი არ ჰქონდა წაგებული, თავად კი 43 მოიგო. ასეთი წაუგებელი სერია კი კრივის ისტორიაში საკმაოდ დიდი იშვიათობაა. მას ხშირად აკრიტიკებდნენ იმისთვის, რომ ბრძოლებს მეტწილად შინ, ინგლისში მართავდა. თუმცა შემდეგ რამდენიმე ბრძოლა ამერიკაშიც ჩაატარა და მათში გამარჯვების შემდეგ, მეივეზერის ყურადღებაც დაიმსახურა.

*"როგორი ჩემპიონი ვიქნები, თუ პირველივე წაგების შემდეგ ყურებს ჩამოვყრი და რინგზე აღარ გამოვალ? ასე რომ მოვიქცე, ეს ერთადერთი მარცხი ჩემს კარიერას გააუფერულებს. არადა, ყველამ იცის, რომ ამას არ ვიმსახურებ"*, - ამბობს 29 წლის ჰატონი, ვინც კარიერის დასრულებამდე, მინიმუმ ხუთი ბრძოლის გამართვას გეგმავს და სურს, რომ ყველა შემთხვევაში, მისი მეტოქე მეივეზერის კლასის მოკრივე იყოს.

ჰატონი იხსენებს ბრიტანელ მოკრივე **ნასიმ ჰამედს**, ვინც პირველი მარცხი **მარკო ანტონიო ბარერასგან** იწვნია და მას შემდეგ, მისი ბრწყინვალე ვარსკვლავი უცებ ჩაესვენა.

*"არ მინდა, ნასიმ ჰამედის ბედი გავიზიარო. ის ბრიტანული კრივის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი ვარსკვლავი იყო, მაგრამ იმის გამო, რომ ერთი წაგების შემდეგ რინგიდან მალე წავიდა, ახლა აღარავის ახსოვს, ან თუ ვინმეს ახსოვს, მხოლოდ იმ წაგების გამო. არ მინდა, მისი გზა მეც გავიარო. წაგების სიმწარე ყველა გრანდს განუცდია, გამონაკლისი მხოლოდ როკი მარჩანოა. ჩემპიონს წაგებაც უნდა შეეძლოს და ამ წაგების შემდეგ, რინგს კიდევ უფრო ძლიერი და გამარჯვებისთვის შემართული დაუბრუნდეს. თუ მეც ასე მოვიქცევი და უფრო ძლიერი დავბრუნდები, ხალხის თვალში კიდევ უფრო დავფასდები. სულ რამდენიმე რამაა, რისი გულისთვისაც დაბრუნება მილირს. ერთი ის, რომ ბევრს დავუმტკიცო, ერთი წაგებით ჩემი შეფასება არ შეიძლება. კარგი იქნება, თუ ფლოიდთან კიდევ ერთხელ შეხვედრის საშუალება მოეცემა"*, - ამბობს ჰატონი და დასძენს, რომ მეივეზერთან ბრძოლაში, გარკვეულწილად, ხელი რეფერი **ჯო კორტესმა** შეუშალა.

*"მისტერ კორტესისადმი პატივისცემის მიუხედავად, მინდა ვთქვა, რომ ის გასაქანს არ მაძლევდა, რამაც ერთიანად მომშალა. არ ვიცი, იქნებ ის შეხვედრაზე გამოუძინებელი მოვიდა. ან იქნება, ჩემი მეტისმეტი აგრესიის გამო იყო, რომ შეტევის დასრულებას არ მაცლიდა. არ ვიცი. ასეა თუ ისე, ფლოიდთან კიდევ ერთხელ შეხვედრას ვისურვებდი"*, - ამბობს ჰატონი და დასძენს, რომ ჯერ არ იცის, თუ როდის დატოვებს რინგს, თუმცა ძალიან სურს, რომ სანამ ხელთათმანებს ლურსმანზე დაკიდებდეს, მინიმუმ ერთხელ მაინც იბრძოლებს ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენსა" და მანჩესტერის "მენ არენაზე".

## ჩოგბურთი ტურნირები

**ATP**

ბრაზილიის ღია. კოშტა დო საუიპე (ბრაზილია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი: 485 000 დოლარი**

**I წრე**

**კარლოს მოია (ესპ, 1)**-სანტიაგო ვენტურა (ესპ) 6:4, 4:6, 6:4; **ალბერტ მონტანიესი (ესპ, 8)**-ნიკოლა დევილდერი (საფ) 6:4, 6:4; **ნიკოლას ლაპენტი (ეკვ)**-ტომას ბელუჩი (ბრა) 6:2, 6:2; **ფაბიო ფონინი (იტა)**-ირჟი ვანეკი (ჩეხ) 6:3, 6:7(4), 7:6(3); **ბორის პაშანსკი (სერ)**-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 6:4, 6:4.

OPEN 13. მარსელი (საფრანგეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი: 534 000 ევრო**

**I წრე**

**პოლ-ანრი მატიო (საფ, 8)**-მარკ ჟიკელი (საფ) 7:6 (7), 7:6 (4); **რობინ სიოდერლინგი (შვედ)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:3, 5:7, 7:5.

DELRAY BEACH INTERNATIONAL. დელრეი ბიჩი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი: 436 000 ევრო**

**I წრე**

**დიეგო ჰარტფილდი (არგ, 2)**-ტომი ჰაასი (გერ) 6:2, 3:6, 6:2; **რობი ჯინეპრი (აშშ)**-მატიო მონკური (საფ) 6:3, 6:0; **ივან ჰასტორ-ნავარო (ესპ)**-ფლორან სერა (საფ) 6:3, 3:6, 6:3; **უეინ ოდესნიკი (აშშ)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 4:6, 2:6; **პოლ კაპდევილე (ჩილ)**-კლინტ ბოულსი (აშშ) 6:2, 6:4; **ბობი რეინოლდსი (აშშ)**-ქსავიე მალისე (ბელ) 6:2, 4:6, 6:3.

**WTA**

PROXIMUS DIAMOND GAMES. ანტვერპენი (ბელგია). ხალიჩა
**საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი**

**I წრე**

**იაროსლავა შვედოვა (რუს)**-სიბილ ბამერი (ავსტრია, 5) 6:0, 3:6, 6:2; **ნა ლი (ჩინ, 9)**-ელენა ლიხოვცევა (რუს) 6:1, 6:1; **იანინა ვიკმაიერი (ბელ)**-შუაი პენგი (ჩინ) 6:0, 6:4; **კარინ კნაპი (იტა)**-ნატალი დეში (საფ) 7:6 (3), 6:4.

CACHANTUN CUP. ვინია დელ მარი (ჩილე). თიხნარი
**საპრიზო ფონდი: 200 000 დოლარი**

**I წრე**

**ხისელა დულკო (არგ, 2)**-კამილა სილვა (ჩილ) 6:4, 6:1; **პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ)**-ემილი ლუა (საფ, 3) 6:2, 7:6(6); **პოლინ პარმენტიე (საფ, 4)**-მარია ემილია სალერნი (არგ) 5:7, 7:5, 6:3; **ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:2, 7:5; **მარია კორიტცევა (უკრ)**-კატალინა კასტანიო (კოლ) 7:6(3), 6:1; **ჯულია შრუფი (გერ)**-მარეტ ანი (ესტ) 6:1, 6:1.

**ჰოკეი**

## ოთხკაციანი ტრეიდი

საინტერესო გაცვლა განახორციელეს გუშინ "ოტავა სენატორზმა" და "კაროლინა ჰარიკეინზმა". ტრეიდში ამ კლუბების ოთხმა ნამყვანმა ჰოკეისტმა მიიღო მონაწილეობა. "კაროლინა" დატოვეს და "ოტავაში" გააგრძელებენ კარიერას ფორვარდი **კორი სტილმანი** და მცველი **მაიკ კომოდორი**, ხოლო საპირისპირო მიმართულებით გაემგზავრნენ თავდამსხმელი **პატრიკ ივსი** და მცველი **ჯო კორვო**. კომოდორი და სტილმანი 2006 წელს, "კაროლინასთან" ერთად სტენლის თასის მფლობელები გახდნენ. მათ ამ სეზონის შემდეგ კლუბთან კონტრაქტი უმთავრდებოდათ. ამ ოთხი ჰოკეისტიდან, წლევანდელ სეზონში ყველაზე ნაყოფიერად სტილმანი ირჯება - მას 55 მატჩში 21 გოლი და 25 პასი დაუგროვდა.

## კოივუ ანაჰაიმში გადადის?

გაზეთ Edmonton Sun-ის ცნობით, "მონრეალ კანადიენსის" კაპიტანი **საკო კოივუ**, შესაძლოა უახლოეს დღეებში სტენლის თასის მფლობელის, "ანაჰაიმ დაქსის" რიგებში გადავიდეს.

"იხვები" ვეტერან ფინელში ახალგაზრდა ფორვარდ **კრის კუნიტცსა** და მომავალი დრაფტის პირველ რაუნდში ჰოკეისტის არჩევის უფლებას თმობენ. აღსანიშნავია, რომ ამ სეზონში კოივუ ძველებურად შედეგიანობით ველარ ბრწყინავს და 55 მატჩში მხოლოდ 10 გოლი აქვს გატანილი.

## პოლიციამ მონრეალელები დააკავა

სკანდალით დასრულდა ღამის კლუბში სტუმრობა "მონრეალ კანადიენსის" ორი ჰოკეისტისთვის - მცველ **რაიან ო'ბირნისა** და ფორვარდ **ტომას კოსტოპულოსისთვის**. ისინი პოლიციამ დააპატიმრა. ო'ბირნი კლუბის სტუმარი ერთ-ერთი ქალბატონისთვის საფულის მოპარვაშია ეჭვმიტანილი, ხოლო კოსტოპულოსი იმის გამო დააპატიმრეს, რომ მან პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია. ჰოკეისტები თავდებით გამოუშვეს - ამისთვის ო'ბირნს 2 ათასი დოლარის გადახდა მოუწია, კოსტოპულოსს - 500 დოლარის.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი — ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| სკანთორპი-ბრისტოლი | 0:1 |
| ბლეკპული-ვულვზი | 0:0 |
| კოლჩესტერი-პრესტონი | 2:1 |
| კოვენტრი-კარდიფი | 0:0 |
| ნორვიჩი-ჰალი | 1:1 |
| პლიმუთი-ბარნსლი | 3:0 |
| უენსდი-ჩარლტონი | 0:0 |
| სტოკი-საუთჰემპტონი | 3:2 |
| უოტფორდი-ლესტერი | 1:0 |
| ვესტ ბრომვიჩი-შეფილდი | 0:0 |
| კრ. პალასი-იფსვიჩი | 0:1 |
| ქუინზ პარკი-ბარნლი | 2:4 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ბორნმუთი-დონკასტერი | 0:2 |
| ბრაიტონი-ტრანმერი | 0:0 |
| როვერსი-ოლდჰემი | 1:0 |
| კარლაილი-ჰადერსფილდი | 2:1 |
| ჯილინგემი-ლუტონი | გადაიდო |
| ჰარტლპული-პორტ ვეილი | 3:2 |
| ლიდსი-ნოტინგემი | 1:1 |
| ლეიტონი-კრიუ | 0:1 |
| მილუოლი-საუთენდი | 2:1 |
| სუონსი-უოლსოლი | 1:0 |
| სუინდონი-ჩელტენემი | 3:0 |
| იეოვილი-ნორთჰემპტონი | 1:0 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| აკრინგტონი-ლინკოლნი | 0:3 |
| ბარნეტი-ბრენტფორდი | 1:2 |
| ბერი-უიკომბი | 2:2 |
| დაგენჰემი-ჩესტერი | 6:2 |
| მაკლსფილდი-გრიმსბი | 1:2 |
| მენსფილდი-მორეკამბი | 1:2 |
| ნოტსი-დარლინგტონი | 0:1 |
| როჩდეილი-ჰერეფორდი | 2:4 |
| როტერჰემი-სტოკპორტი | 1:4 |
| შრიუსბერი-მილტონი | 3:3 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ოლდერშოტი-კემბრიჯი | 0:0 |
| ალტრინჩემი-ფარსლი | 0:0 |
| ბარტონი-დროილსდენი | 3:0 |
| ექსეტერი-უოკინგი | 2:2 |
| გრეისი-რაშდენი | გადაიდო |
| ჰალიფაქსი-იორკი | 2:2 |
| ჰისტონი-სტეფორდი | შეწყდა |
| უეიმაუთი-ტორკი | 0:0 |

**იტალია — სერია B**

| | |
|---|---|
| ალბინოლეფე-რავენა | 3:1 |
| ასკოლი-ლეჩე | 2:1 |
| ბარი-პიაჩენცა | 2:1 |
| ბოლონია-აველინო | 3:1 |
| ბრეშა-პიზა | 1:0 |
| ჩეზენა-გროსეტო | 0:0 |
| ფროზინონე-მესინა | 4:0 |
| მანტოვა-ვიჩენცა | 2:3 |
| მოდენა-კიევო | 1:2 |
| ტრევიზო-რიმინი | 0:2 |
| ტრიესტინა-სპეცია | 0:0 |

**შოტლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| პარტიკი-ლივინგსტონი | 1:1 პენ. 5:4 |
| როსი-სტ. ჯონსტონი | 0:1 |

**ჰოკეი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| დიუსელდორფი-კრეფელდი | 6:3 |
| ინგოლშტადტი-ჰამბურგი | 4:3 |
| კიოლნი-აისბარენი | ო.ტ. 3:4 |
| მანჰაიმი-დუისბურგი | 3:2 |
| ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 5:3 |
| შტრაუბინგი-იზერლონი | 7:0 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ზვოლენი-ჟილინა | 7:3 |
| კეჟმაროკი-კოშიცე | 1:5 |
| ნიტრა-მარტინი | 4:7 |
| პოპრადი-სკალიცა | 3:4 |
| ტრენჩინი-მიკულაში | 3:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| კაპა-კერპეტი | 1:4 |
| კიეკო-პიუკ | 3:2 |
| საიპა-ილვესი | 6:1 |
| ტაპარა-ტპს | 6:1 |
| ჰპკ-ლუკო | 3:2 |
| ესეტი-იუვიასკიულა | 3:6 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| დავოსი-ცუგი | 7:2 |
| ციურიხი-ლანგნაუ | 6:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ლინჩოპინგი-ჰვ 71 | 0:4 |
| ფერიესტადი-მოდო | 0:3 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მარსელი**

| | |
|---|---|
| მაუ-ელგინი | 6:3, 6:3 |
| ე. მარეი-ჰუტა გალუნგი | 6:4, 6:4 |
| ბერერი-გაბაშვილი | 6:7, 4:6 |
| ფერერო-ლი | 6:4, 6:1 |
| ბენეტო-პაველი | 6:2, 6:0 |
| ბაღდატისი-კლემანი | 6:3, 6:4 |

**ATP. კოშტა დო საუიპე**

| | |
|---|---|
| ალდი-კორია | 4:6, 5:7 |
| ანდრეევი-შვანკი | 3:6, 2:6 |
| სტარაჩე-მინარი | 4:6, 6:4, 2:6 |

**ATP. დელრეი ბიჩი**

| | |
|---|---|
| ბეკერი-კუნიცინი | 3:6, 6:7 |
| მიულერი-ლევინე | 7:5, 7:6 |
| რასელი-ბოგომოლოვი | 6:1, 6:0 |

**WTA. ანტვერპენი**

| | |
|---|---|
| არვიდსონი-ტუ | 6:1, 6:2 |
| ციბულკოვა-ობზილერი | 6:3, 3:6, 6:3 |
| კ. ბონდარენკო-დიტი | 6:4, 3:6, 4:6 |
| კნაპი-შვედოვა | 3:6, 6:4, 6:2 |
| პირონკოვა-კრემერი | 6:1, 6:1 |
| შავაი-კლეიბანოვა | 2:6, 3:6 |
| სუგიამა-მაესი | 7:5, 6:3 |

**WTA. ვინია დელ მარი**

| | |
|---|---|
| პინი-ლაგოსტერა ვივესი | 4:6, 6:7 |
| სუარეს ნავარო-დე ლოს რიოსი | 6:7, 4:6 |
| ერანი-სანჩესი | 1:6, 6:2, 6:1 |
| კანეპი-როდინა | 6:3, 6:4 |
| კოსტანიჩი-მატეკი | 4:6, 7:6, 7:6 |
| პენეტა-არნი | 6:2, 6:2 |

ინტერვიუ შაკილ ონილთან

# დანარჩენს ფრენსის ფორდ კოპოლა იტყვის

**შაკილ ონილი კარიერას "ფინიქსში" გააგრძელებს და ეს NBA–ს მთელი სეზონის და იქნებ, ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი გამორჩეული მოვლენაა. შეგახსენებთ, რომ ონილში "ფინიქსმა" "მაიამის" უკანახაზელი მარკუს ბენქსი და ვარსკვლავი ფორვარდი, უნივერსალი შონ მერიონი მისცა, რამაც არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. როგორ მოერგება ბებერი, ბოლო დროს პერმანენტულად დაშავებული ონილი არიზონელთა ზესწრაფ კალათბურთს? გამონახავს თუ არა იგი საერთო ენას "სანზის" ახალგაზრდა ვარსკვლავ ამარე სტაუდმაიერთან? რამდენად ძლიერი იქნება მისი და სტივ ნეშის ტანდემი? კითხვა უამრავია, მაგრამ მათზე პასუხებს მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მივიღებთ, ანუ მაშინ გაირკვევა ყველაფერი, როდესაც "დიზელი" "ფინიქსში" თავის პირველ შეხვედრას ჩაატარებს. შეგახსენებთ, რომ წელს ონილმა "მაიამიში" ყოფნისას უამრავი მატჩი ზურგის, საზარდულისა და მუხლების მიკროტრავმების გამო გამოტოვა. იქამდე კი მისტერ ონილი სამედიცინო შემოწმებას გადის და გუნდს საშინაო შეხვედრებზე გვერდით უზის, საგარეო მატჩებისას კი ონილს არ ტვირთავენ და შინ ყოფნის საშუალებას აძლევენ. შაკთან ვრცელ და ყველანაირად საინტერესო ინტერვიუში არა მარტო მისი და "ფინიქსის" ალიანსზე, არამედ ბევრ სხვა საინტერესო ამბავზეც მოისმენთ ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშის მოსაზრებებს.**

**- შაკ, რამდენიმე დღეც და მოედანზე უკვე "ფინიქსის" მაისურით გახვალთ. პრესკონფერენციაზე აშკარად მოგიხდათ "სანზის" მაისური. "ჰიტიდან" წამოსვლაზე გული არ გწყდებათ?**

- მე არ მწყდება, ვისაც უნდა დაწყდეს, ის ხალხი ფლორიდაში დარჩა.

**- კერძოდ, ვინ?**

- პატ რაილი, "მაიამის" მთელი ორგანიზაცია, ყველა ჩვენი ფანი.

**- როგორც ვიცით, ეს გადაწყვეტილება რაილიმ თქვენთან ორსაათიანი საუბრის შემდეგ მიიღო. განიხილებოდა ასევე "დალასის" ვარიანტიც, მაგრამ შაკმა "ფინიქსთან" მოლაპარაკების დაწყება მოითხოვაო - აღნიშნა რაილიმ. მართალია?**

- კი, მართალია, რადგან ტეხასს არიზონა მირჩევნია და თანაც, "სანზში" სტივ ნეშია.

**- კი, მაგრამ "დალასში" ხომ დირკ ნოვიცკია.**

- ნოვიცკი კარგი მოთამაშეა, მაგრამ მასში არ არის მტაცებლის ინსტინქტი, ნეში კი სულით ჩემპიონია. გარდა ამისა, მომწყინდა ერთ ადგილზე დგომა, "ფინიქსში" ცოტას გავიქცევი კიდეც. "სანზში" ხომ ყველა დარბის, ერთ ადგილზე ვერავინ ჩერდება.

**- გაიქცევით? რამდენს, შაკ? ორ წუთს, სამ წუთს, თუ ამაზე ნაკლებს?**

- გაცილებით მეტს. "ფინიქსში" რომ გადმოვედი, წინასწარ ვიყავით შეთანხმებულნი სტივ კერთან, რომ სამედიცინო შემოწმებას მაქსიმალურად ყურადღებით გავივლიდი. შაკი არ არის ცირკი, რომლის სანახავადაც მშობლებს დარბაზში ბავშვები მოჰყავთ. შაკი არის გლადიატორი, რომელიც მოედანზე სხვების დასაჩოქებლად გადის. "მაიამიდან" ძალიან გაბრაზებული წამოვედი და როდესაც შაკი გაბრაზებულია, იგი საშინელ რალაცეებს აკეთებს.

**- მაგალითად, რას?**

- მაგალითად, იგებს ჩემპიონატებს.

**- და თქვენ გჯერათ, რომ მეოთხე გუნდთან ერთად ჩემპიონი გახდებით?**

- კი, ამაში დარწმუნებული ვარ.

**- შაკ, "მაიამიში" გადასვლისთანავე "ჰიტის" ფანებს შეპირდით, რომ გუნდს გააჩემპიონებდით, "ფინიქსში" თქვენს წარდგენაზე კი გაცილებით ფრთხილი პროგნოზი გააკეთეთ. ბოლომდე არ გჯერათ, რომ კოალიცია "სანზი+შაკი" ეგრევე ყველას გადაუვლის?**

- მჯერა, მაგრამ დასავლეთიდან ფინალში გასვლა მაინც გაცილებით რთულია, ვიდრე აღმოსავლეთიდან. "მაიამიში" რომ გადავედი, ჩვენს გარდა მთელს კონფერენციაში ერთადერთი ნორმალური გუნდი, "დეტროიტი" იყო და სხვა კონკურენტი არ გვყავდა. "პისტონზს" ჩემს მეორე ფლორიდულ პლეიოფში მოვუგეთ და ვილაც-ვილაცეებს უკანალი რომ გაენძრიათ, პირველივე ჯერზე სუპერფინალში გავიდოდით. "დეტროიტს" 3:2-ს ვუგებდით, მეექვსე შეხვედრას საკუთარ მოედანზე ვატარებდით და მაინც დავმარცხდით. მეორე წელს კი "პისტონზი" უშანსოდ დავტოვეთ.

**- "პისტონზის" გარდა კიდევ იყო ლებრონის "კავალიერსი", რომელმაც შარშან ფინალი ითამაშა.**

- კი, კარგი გუნდია, მაგრამ არა იმდენად სახიფათო, რომ სერიოზულ კონკურენტად, ჩემპიონობის რეალურ კანდიდატად ჩამეთვალა.

**- შაკ, მინდა შეგახსენოთ ორი თვის წინათ თქვენს მიერ ნათქვამი. მაშინ აღნიშნეთ, რომ ბოლო წლებში, ლიგის საუკეთესო მოთამაშის დასახელებისას სამარცხვინო კანდიდატები გადიოდნენ პირველ ადგილზე, დღეს კი ერთ-ერთი ასეთი "სამარცხვინო" კანდიდატი თქვენი თანაგუნდელია...**

- სტივ ნეში?

**- დიახ.**

- მართლა ასეთი რამ ვთქვი?

**- ნამდვილად.**

- რალაც ვერ ვიხსენებ, მაგრამ თუ მართლა ვთქვი, ამოშალეთ თქვენი არქივიდან, რადგან სტივი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა.

**-"მაიამისთან" ერთად ჩემპიონი რომ გახდით, საინტერესო შედარებები მოიყვანეთ.**

- შემახსენეთ. მე ყოვეთვის საინტერესო თემებზე ვსაუბრობ და კონკრეტულად რას გულისხმობთ?

**- ანფერნი ჰარდევეი "ნათლიმამიდან" ფრედო კორლეონეს შეადარეთ, კობი ბრაიანტი სანტინო იყო, ხოლო დუეინ უეიდი კი - მაიკლ კორლეონე...**

- თავისთავად, ალბათ, ხვდებით, რომ შაკი ვიტო კორლეონე იყო, არა?

**- კი, ვხვდებით. მაშინ ვინ არის სტივ ნეში?**

- ძმები აღარ დაგვრჩა, არა? მოდით, ეს ფრენსის ფორდ კოპოლამ გადაწყვიტოს. პირადად ვთხოვ ფრენსისს, ამაში დაგეხმაროთ. დაუსრულებელი საქმეები არ მიყვარს. ისე, მაცადეთ... რას იტყვით, სტივი ტომ ჰეიგენი რომ გახდეს?

**- შესანიშნავი არჩევანია.**

- კი, ვიცი. ხომ გახსოვთ, ჰეიგენი კორლეონეების ოჯახში ერთადერთი არასიცილიელი იყო, სტივი კი...

**- სტივი კი?**

- სტივი კი... "სანზში" ერთადერთი კანადელია.

**- არაჩვეულებრივია, ბრავო!**

- მე უბრალოდ, ჩემს საქმეს ვაკეთებ.

**- როგორ გგონიათ, რა აკლდა "ფინიქსს" ჩემპიონობისთვის?**

- თავისთავად, შაკის გარდა, არა?

**- კი, რა თქმა უნდა.**

- გუნდს "სან ანტონიო სპურსის" კომპლექსი ჰქონდა. ხომ გესმით, ყოველთვის არსებობს გუნდი, რომელიც შენზე უკეთესი შეიძლება არ იყოს, მაგრამ ვისიც გეშინია და საბოლოოდ მაინც წააგებ. იგივე "სან ანტონიოს", მე რომ "ლეიკერსში" ვიყავი, ჩვენი კომპლექსი ჰქონდა - სამი წლის განმავლობაში, ტიმისა და "ადმირალს" ყველა თამაში მოვუგეთ, შევარცხვინეთ, თუმცა დევიდ რობინსონი იქით იყოს და დანაკნი ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშეა. უბრალოდ, ტიმი, ამ ინტერვიუს თუ წაიკითხავ, მინდა იცოდე, წელს ჩემპიონობის ნულოვანი შანსი გაქვს. წელს შაკი "ფინიქსთან" ერთად გაჩემპიონდება.

**- "სან ანტონიო" თავის დივიზიონსაც კი ვერ იგებს, "ფინიქსიც" არასტაბილურია, "დალასი" სამარცხვინოდ აგებს - ვინ არის დასავლეთის ყველაზე კარგი გუნდი?**

- ის, ვინც ფინალში გავა და თქვენ პასუხი უკვე იცით, არა?

**- "ფინიქსი", რა თქმა უნდა.**

- მიყვარს ჟურნალისტები, ვისაც ნორმალურად მოსმენა შეუძლიათ და ვინც კალათბურთში ერკვევა. კომპლიმენტები დაიმსახურეთ.

**- რას იტყვით კრის პოლსა და მის "ნიუ ორლეანზე"?**

- კრისი კარგი მოთამაშეა, თუმცა სტივი მასზე ბევრად მაგარია.



შაკილ ონილი

**- კი მაგრამ, "ნიუ ორლეანმა" წლევანდელ რეგულარულში "სანზს" ყველა მატჩი რომ მოუგო?**

- რეგულარულს თავიდან, პატრიკ იუინგის "ნიქსიც" იგებდა, ჩემპიონი კი მაიკლ ჯორდანის "ჩიკაგო" ხდებოდა.

**- ესე იგი, "ნიუ ორლეანი" საჩემპიონოდ ვერ იბრძოლებს?**

- ვერანაირად. დასავლეთში სამი საუკეთესო გუნდი "ფინიქსი", "სან ანტონიო" და "დალასია".

**- "ლეიკერსი"?**

- ჩვენთან ახლოს ვერ მოდის, "ნიუ ორლეანს" კი მირჩევნია.

**- წლევანდელი "ლეიკერსის" მონაწილეობით რომელიმე მატჩი თუ ნახეთ?**

- მხოლოდ ფრაგმენტები.

**- გვეთანხმებით, რომ კობი ბრაიანტი კარიერაში ყველაზე სრულყოფილ კალათბურთს თამაშობს?**

- კი, ძალიან კარგ ფორმაშია და პაუ გასოლთან ერთად, ეს გუნდი ბევრს მიაღწევს. პაუ ფუნდამენტალურად ერთ-ერთი სრულყოფილი მაღალი მოთამაშეა, კობი კი მთელი თავისი კარიერის განმავლობაში საუკეთესოებში შედის.

**- როგორც ვიცით, კობისთან ელექტრონული ფოსტით მიმოწერა გაქვთ.**

- კი, ვჭორაობთ ხოლმე. მიყვება ოჯახის ამბებს, მე კი მას ჩემს ახალ სიმღერებს ვუგზავნი.

**- ანუ, კვლავ მეგობრები ხართ.**

- ჩვენ ყოველთვის მეგობრები ვიყავით, უბრალოდ, ორი წლის განმავლობაში ერთმანეთისთვის ვერ მოვიცალეთ.

**- მაშინაც არ გეცალათ, როდესაც ორი წლის წინათ, ბრაიანტმა "ჰიტისა" და "ლეიკერსის" შეხვედრისას ხელი გამოგიწოდათ, თქვენ კი მას ზურგი შეაქციეთ?**

- რაილიმ სწორედ იმ მომენტში რალაც მკითხა და კობის ხელი მაგ მიზეზით ვერ ჩამოვართვი. მერე კი თამაში დაიწყო და ხელის ჩამორთმევის დრო აღარ იყო.

**- შაკ, ჩვენი ლიგის ისტორიაში არ ყოფილა დომინანტი ცენტრი, ვინც ჩემპიონი ოთხ სხვადასხვა გუნდთან ერთად გამხდარა. მზად ხართ ახალი გამოწვევისთვის?**

- კი, გამოწვევისთვის ყოველთვის მზად ვარ. შაკი გახდება უფრო დიდი, ვიდრე მოუზეს მელონი, ჰაკიმ ოლაჯუონი, ჯორჯ მაიკანი და უილტ ჩემბერლენი. მხოლოდ ბილ რასელსა და ქარიმს ვერ გადავასწრებ, მაგრამ ისინი ხომ მართლაც განსაკუთრებულები იყვნენ, არა?

**- კიდევ რამდენი ჩემპიონობის მოგების რეალური შანსი გაქვთ?**

- ალბათ, მინიმუმ ორის. მინდა მეჯიქსა და მაიკლს დავეწიო. ისინი ხომ 6-6-ჯერ გახდნენ ჩემპიონები.

**- გეშლებათ, მეჯიქი ჩემპიონი ხუთჯერ გახდა.**

- ჰოდა, მას წელსვე დავეწევი, მაიკლს კი - ერთი წლის შემდეგ.

**- "ფინიქსის" მთავარი პრობლემა ყოველთვის დაცვაში ერთი-ერთზე თამაში იყო. როგორ ფიქრობთ, გამოასწორებთ ამ მინუსს?**

- ჩემი აზრით, ჩემპიონობის მოსაპოვებლად დაცვაში იდეალური თამაში აუცილებელი არ არის. კარგი დაცვითაც მოიგებ, ოღონდ შენი ჩასაგდები უნდა ჩააგდო და მეტოქეს შეტევაში ბურთი არ უნდა მოახსნევინო.

**- როგორ წარმოგიდგენიათ ამარე სტაუდმაიერთან ერთად თამაში?**

- მშვენიერი მოთამაშეა, რომელიც სულ მალე ლიგის უძლიერეს ცენტრად უნდა იქცეს. ამარეს პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ ბურთის მიღებისას მხოლოდ ფარს ხედავს. გვერდითაც უნდა მიმოიხედოს, რადგან კალათბურთი ხუთი-ხუთზე თამაშია. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემთან, სტივისთან და არაჩვეულებრივ მწვრთნელ, მაიკ დენტონისთან ერთად, სტაუდმაიერი ძალიან ბევრს მიაღწევს. კარგია, რომ ამარეს დასავლეთში თამაში უწევს, სადაც თითქმის ყველა გუნდს ძლიერი მაღალი მოთამაშე ჰყავს. ამარე აუცილებელ გამოცდილებას დააგროვებს და მერე აფეთქდება! ნამსხვრევებში კი მთელი ლიგა აღმოჩნდება.

**- რას ფიქრობთ უილ ბინუმზე? არის თუ არა ეს ახალგაზრდა "მომავლის ცენტრი"?**

- კარგი, ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ იცით, რას ვერ ვხვდები? თუ გუნდში ლამარ ოდომი და ბინუმი გყავს, ორი თვით პაუ გასოლის ყიდვა რალაში გჭირდება?

**- რატომ, მხოლოდ ორი თვით? პაუ და უილი ერთმანეთს კარგად შეავსებენ, არა?**

- და ლამარი? მას რალას უშვებიან? "ლეიკერსმა" თავის საქმეებს თავად მიხედოს, თუმცა მაინც მგონია, რომ გასოლი, ბინუმი და ოდომი ერთად, ერთ სასტარტო ხუთეულში ზედმეტი და ნაკლებად გამოსადეგი ფუფუნებაა.

**- შაკ, თქვენთან საუბარი, როგორც ყოველთვის, ძალიან სასიამოვნო იყო. როგორია თქვენი საფინალო პროგნოზი?**

- ფინალში "ფინიქსი" და "დეტროიტი" გავლენ და "სანზი" ბოლო სერიას 4:2 მოიგებს. ფინალების საუკეთესოდ სტივ ნეშს დაასახელებენ, ხოლო შაკს კი არიზონაში ძეგლს დაუდგამენ.

**ზურაბ თალაკვაძე**


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდებრიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშარიანი (ტ: 46 34 48)
ბაჟარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უბულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

აღმაშენებლის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუტია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა